CMYK

# საერთო გაზეთი

№40 (352) ● 16 დეკემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი






## რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ალეკო ელისაშვილის მიერ აგორებულ სკანდალთან?



## ვინ დაალაგა სქემა, რომლის მიხედვითაც ეს ტრაგიკომედია დაიწყო და განვითარდა?

## ლევან შონია: ჩვენი მიზანია, ყოველი წელი გვქონდეს წინაზე უკეთესი



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

თუ ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობის" მიერ კანონმდებლობაში სპეციალურად დატოვებული ხვრელები დროულად არ ამოქოლა, ცილისწამებების და პროვოკაციების ნიაღვარი სახელისუფლებო სტრუქტურებს მთლიანად დაანგრევს

## რატომ გადაემტერა „პატრიოტი" მურმან დუმბაძე ბიძინა ივანიშვილს და რატომ დაუმოყვრდა ვინმე ლიონია „კოსმოსას"?



## „კოკასა შიგან რაცა დგას", ანუ სპეცოპერაცია „კოკაინი" „ქართული ოცნების" წინააღმდეგ



## მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვა მგზავრობის საფასურს და მარცხენასაჭიანი მანქანების ფასს გაზრდის



## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ალეკო ელისაშვილის მიერ აგორებულ სკანდალთან?

## ვინ დაალაგა სქემა, რომლის მიხედვითაც ეს ტრაგიკომედია დაიწყო და განვითარდა?

ძალიან ღრმად ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ „წესიერ“ და „პატიოსან“ ალეკო ელისაშვილს ერთ მშვენიერ დილას უცებ გაახსენდა, რომ წელიწადნახევრის წინათ მასზე, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეზე, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლები ზეწოლას ახდენდნენ.

მას ისიც გაახსენდა, რომ ეს მაღალჩინოსნები მიანიშნებდნენ, რომ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში ამ საქმეების მოსაკვარახჭინებლად მილიონნახევარი დოლარი იყო გადადებული, საიდანაც 200 000 დოლარი ბეს სახით უკვე ჰქონდათ აღებული ვიღაც-ვიღაცებს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ალეკო ელისაშვილი, როგორც ვთქვით, წელიწადნახევრის წინანდელ ამბავს იხსენებდა, თუმცა ახლა კი არა სწორედ წელიწადნახევრის წინათ უნდა აეტეხა განგაში, თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა.

— მე მჯერა ელისაშვილისო, — გამოხტა უცებ ავანსცენაზე ელისო კილაძე და ელისაშვილის ზღაპარს თავისი ზღაპარიც მოაყოლა.

ზღაპარს იმიტომ ვამბობთ, რომ არც ელისაშვილს და არც კილაძეს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ, რომ ეს წელიწადნახევრის წინათ მომხდარი საგანგაშო ამბავი რეალობას შეესაბამებოდა.

დაიწყო გამოძიება და მოწმედ გამოიძახეს ზვიად ქორიძე, შეწყალების კომისიის ახალი თავმჯდომარე, რომელმაც, როგორც ხმები გამოვიდა, ნაწილობრივ დაადასტურა, რომ ელისაშვილივით მასზეც ხდებოდა გარკვეული სახის ზეწოლები ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, თუმცა ამის დამადასტურებელი ფაქტები არც ქორიძეს წარმოუდგენია.

გაურკვეველი მიმართულებით მომზირალი ელისაშვილი ახლადგალვიძებულივით იმეორებდა, რომ მან მომხდარის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარესაც აცნობა, აცნობა მის მეუღლესაც, აცნობა პროკურატურის მაღლაჩინოსნებსაც და სხვათა შორის, აცნობა არა უშუალოდ პრეზიდენტს, არამედ მისი ადმინისტრაციის უფროსს ლაშა აბაშიძესაც, რომელიც დღეს ყოფილი სიძის ორგულობაშია ეჭვმიტანილი, რადგან მისი ოპონენტების ბანაკში გადაბარგდა და მარგველაშვილის გუნდის წევრად დიდი ხანია აღარ ითვლება.

ელისაშვილის აგორებულ სკანდალს, რა თქმა უნდა, მყისვე მოჰყვა დიდი გამოხმაურება, დიდი საქმის გარჩევები და დისკუსიები, რომლებიც დღემდე გრძელდება და, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, თუმცა, ჯერჯერობით, არავის უთქვამს: აბა, ერთი წუთით ყველანი დავწყნარდეთ და მშვიდად გავიაზროთ, რაზეა აქ საუბარი და საერთოდ, რაზე ვდაობთ და ვკამათობთ?!

დიახ, არავის დაუსვამს ეს კითხვა, თორემ უცებ ნათელი გახდებოდა, რომ ეს გნიასი და დავიდარაბა აბსოლუტური ბლეფია, ვიღაცის მიერ სპეციალურად დადგმული ავაზაკური შოუა და სხვა არაფერი.

საქმე ის არის, რომ რა რეკომენდაციებიც არ უნდა გასცეს შეწყალების კომისიამ ან ამ საქმესთან დაკავშირებულმა რომელიმე ორგანიზაციამ, რამდენი ფულიც არ უნდა აიღოს რომელიმე პარლამენტარმა თუ სხვა მაღალჩინოსანმა, რა ზემოქმედებაც არ უნდა მოახდინოს კომისიის თავმჯდომარეზე თუ მის წევრებზე, ამ მცდელობიდან პრეზიდენტის საბოლოო სიტყვის გარეშე არაფერი გამოვა.

პრეზიდენტია ის, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს და ვინც საბოლოო სიტყვას ამბობს.

პრეზიდენტს, შეიძლება, 500 კაცის სია წარუდგინონ შესაწყალებლად, მან კი მხოლოდ 50 შეიწყალოს.

ასე რომ, საქმის ფინალზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ამა თუ იმ პატიმრის შეწყალების საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურის სხვადასხვა ეტაპზე ვინმე მილიონს აიღებს ქრთამად თუ ორ მილიონს.

ასეთ ქრთამს აზრი არ აქვს და, აქედან გამომდინარე, მას არავინ გაიღებს.

აი, ამიტომ არის სრული ბლეფი, სრული მისტიფიკაცია, სრული აბსურდი ის, რასაც ელისაშვილი ჰყვება, რასაც ქორიძე ბანს აყოლებს და რასაც კილაძე თავის კომპეტენტურ ბეჭედს ატყამს.

ეს ხმაურიანი სკანდალური საქმე, დარწმუნებული ვართ, უშედეგოდ დამთავრდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამართლებრივად მას არ შეიძლება შედეგი ჰქონდეს.

მაშინ რას ისახავდა მიზნად ამ აბსურდის თეატრის მორიგი წარმოდგენა, რომელ-



**„ამ სპექტაკლს ჰყავს კიდევ ერთი მთავარი სამიზნე — ბიძინა ივანიშვილი. სწორედ მის დარწმუნებას ცდილობენ ამ იაფფასიანი პროვოკაციის ავტორები, თითქოს მის გარშემო, მის გუნდში, მხოლოდ მექრთამეები, კორუფციაში ჩართული გარეწრები და არამზადები ტრიალებენ, რომლებიც პატიმრების ხარჯზეც კი ფულს აკეთებენ.“**

### ალეკო ელისაშვილის მიერ გამოძიებისთვის წარდგენილ ტელეფონში მაღალჩინოსნების სმს-ები არ აღმოჩნდა



თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული მობილურ ტელეფონში მის მიერ დასახელებული მაღალჩინოსნების მოკლეტექსტური შეტყობინებები არ აღმოჩნდა. ამის შესახებ განცხადება მთავარ პროკურატურაში გაკეთდა.

პროკურორ კოკა კაციტაძის თქმით, მობილური ტელეფონის შემოწმება ალეკო ელისაშვილის თანდასწრებით მოხდა, ხოლო შემდეგ, დეპუტატის თანხმობით, იგი დაილუქა და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზისთვის სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაიგზავნა.

„მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 2015 წლის 14 დეკემბერს მოწმის სახით დამატებით დაიკითხა ალექსანდრე ელისაშვილი, რომელმაც გამოძიებას წარუდგინა ის მობილური ტელეფონი, რომელშიც მისი განმარტებით, უნდა ყოფილიყო ცალკეული მაღალჩინოსნების მიერ გამოგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინებები. ალექსანდრე ელისაშვილის თანდასწრებით მოხდა ამ მობილური ტელეფონის დათვალიერება და მასში არ აღმოჩნდა მის მიერ მითითებული და დასახელებული მაღალჩინოსნების მიერ გამოგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინებები. ბატონმა ელისაშვილმა განაცხადა თანხმობა, რომ მობილურ ტელეფონს ჩაუტარდეს ექსპერტიზა. აქედან გამომდიანარე, მისი თანდასწრებით მოხდა მობილური ტელეფონის დალუქვა და იგი გაგზავნილია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. ექსპერტიზა დაადგენს, რა მესიჯებია ტელეფონში და როდის არის გამოგზავნილი“, - განაცხადა კოკა კაციტაძემ.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მაც მთელი ქვეყანა შეაწრიალა და შეაშფოთა?

რას ისახავდა მიზნად და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დისკრედიტაციას, რასაც ამ სკანდალური შოუს დამდგმელებმა და მისმა მთავარმა აქტიორებმა ნაწილობრივ მიაღწიეს.

ეს არის გაგრძელება იმ შეთქმულებისა თუ დივერსიისა, რომლის განხორციელებას „ნაცმოძრაობა“ „რუს-



თავი-2“-ის მეშვეობით ცდილობდა და ცდილობს და რაშიც, როგორც ჩანს, პირდაპირ არიან ჩართულნი ის ადამიანები, რომლებმაც ეს სახელმწიფოებრივად საშიში და სახიფათო სპექტაკლი დადგეს.

ამ სპექტაკლს ჰყავს კიდევ ერთი მთავარი სამიზნე — ბიძინა ივანიშვილი. სწორედ მის დარწმუნებას ცდილობენ ამ იაფფასიანი პროვოკაციის ავტორები, თითქოს მის გარშემო, მის გუნდში, მხოლოდ მექრთამეები, კორუფციაში ჩართული გარეწრები და არამზადები ტრიალებენ, რომლებიც



პატიმრების ხარჯზეც კი ფულს აკეთებენ.

**იმდენად შოკისმომგვრელი ინფორმაციაა ეს და თანაც ისეთი მზაკვრული ფორმითაა შემოგდებული, ადამიანმა, შეიძლება, უცებ, ცხელ გულზე დაიჯეროს კიდევაც...**

**სწორედ ამაზეა გათვლილი ამ დახვეწილი აფერისტების ეს ავანტიურა, ისე, როგორც სხვა ავანტიურები სხვა დროს და სხვა თემებთან დაკავშირებით.**

დაწყებული „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი „აგენტურული ქსელის“ აღმოჩენით, გაგრძელებული ღარიბაშვილის ე.წ. „კახური კლანის“ მხილებით და ვითომდა ივანიშვილ-ღარიბაშვილს შორის არსებული უკომპრომისო, სამკვდრო-სასიცოცხლო „დაპირისპირების“ გაღვივების მცდელობით და ამ თემის გარშემო ხანგრძლივი მანიპულირებით, ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, ბიძინა ივანიშვილი დაარწმუნონ — მის გარშემო ყველა მოღალატეა, ყველა კორუფციაშია ჩაფლული და არავის ნდობა და არავისზე დაყრდნობა არ შეიძლება!

მათ შესანიშნავად იციან, თუ ამ მიზანს განახორციელებენ, ხანმოკლე დროის შემდეგ, ეს „ქართული ოცნების“ სრული დემორალიზაციით, მისი დაშლით და დაქუცმაცებით დამთავრდება!

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ის არის, რომ ეს ადამიანები ამ ბინძური ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას სახელმწიფოს, ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის გულშემატკივართა და მხარდამჭერთა ნიღბით ცდილობენ.

პატარა ამბავი ხომ არ არის, „კორუმპირებულთა“, „ორგულთა“, „მექრთამეთა“ გამოაშკარავებაში რომ ეხმარები ხელისუფლებას?

წყარომ, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, ელისაშვილ-კილაძის მიერ აგორებული სკანდალის „წარმომავლობის“ უცნაური ვერსია შემოგვთავაზა: „სცენარი, რომლის მიხედვითაც პროცესები განვითარდა, არ არის გამორიცხული, მთლად გიორგი მარგველაშვილის კაბინეტში თუ არა, სადღაც მის სიახლოვეს იყოს მოფიქრებული და დაწერილი.

საქმე ის არის, რომ ამ სკანდალური სიუჟეტის მთავარი მოქმედი პირები სწორედ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის უშუალო რწმუნების ქვეშ მოქმედი ორგანიზაციის თავმჯდომარეები არიან — ერთი ყოფილი, ერთიც — მოქმედი.



ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ადამიანებს თავიანთ უშუალო „უფროსთან“ დათათბირების გარეშე გადაედგათ ის ნაბიჯები, რაც გადადგეს.



**შედეგიო, ვთქვით ზემოთ და იცით, რა შედეგი მოიტანა ვითომ ბიძინა ივანიშვილისთვის გაწეულმა სამსახურმა — სოციალურ ქსელებში თუ საინფორმაციო საშუალებებში მოსახლეობის მხრიდან ივანიშვილის წინააღმდეგ აგრესია და კრიტიკული გამოხტომები ერთიორად გაიზარდა — ეს რა მექრთამეები დაგვასვა თავზეო.**

**როგორც ვხედავთ, მიზანი მიღწეულია — მექრთამეობის ფაქტები, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, არ დადასტურდება, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ მექრთამეების კოალიციის იარლიყი დიდხანს ექნება აწებებული შუბლზე.**

**პატივცემულო ხელისუფლებავ, ნუთუ ძნელია ამის დანახვა და ამის გაანალიზება, რაც ახლა ვთქვით?**

**უბრალოდ, ღირსების ამბავია — როგორ აძლევთ ამ წვრილფეხა პროვოკატორებს და დემაგოგებს იმის უფლებას, თვალში ნაცარი გაყარონ და თავის ჭკუაზე გატიალონ წაღმა-უკუღმა.**

ელისაშვილის განცხადებას, თუ გახსოვთ, ტელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში მარგველაშვილის უეცარი განრისხება და გაცხარება უძღოდა წინ, როცა მან მაგიდას მუშტი დაარტყა და იყვირა: მე შეკითხვა გავუგზავნე პროკურატურას და დღემდე არ მიმიღია პასუხი, რამდენი ადამიანი დაისაჯა პატიმართა წამების გამოო?



არ არის გამორიცხული, პატიმართა წამების თემას ავტომატურად მიბმოდა პატიმართა შეწყალების თემაც.

ასეა თუ ისე, სწორედ მარგველაშვილის მუშტის დარტყმის შემდეგ გაუნათდა გონება ელისაშვილს, ცოტა მოგვიანებით, ქორიძეს და თითქმის იმავდროულად, კილაძესაც.

თუ მართლაც მარგველაშვილია „იდეის ავტორი“, ოდესღაც მის მშობლიურ გუნდს დღეს ოპონენტად მოკიდებულმა პრეზიდენტმა რამდენიმე „კურდღელი“ ერთად „მოუკლა“, რითაც, ალბათ, დიდად ისიამოვნა და მცირედით მაინც დაიცხრო ბრაზი ყოფილი თანამებრძოლების მისამართით.

როგორც ცნობილია, ბოლო ხანებში დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ პრეზიდენტ მარგველაშვილსა და „კავკასიის“ ხელმძღვანელობას, რაშიც, როგორც ამბობენ, იმ ამბავსაც მიუძღვის დადებითი როლი, რომ ბატონი აქუბარდიას ქალიშვილი მარგველაშვილის უშიშროების საბჭოში მუშაობს.

**რაღაც უცნაური წრე იკვრება — გიორგი მარგველაშვილი თავისი ორი „ქვეშევრდომით“, ტელეკომპანია „კავკასია“, რომლისთვისაც ეს „ქვეშევრდომები“ ახლო მეგობრები და ყოფილი თანამშრომლები არიან და „რუსთავი-2“-ის დასაცავად რკინის ქალამნებასხმული ქალბატონი ჯანგირაშვილი, რომელიც რამდენჯერმე ეწვია პრეზიდენტ მარგველაშვილს „თავისუფალი სიტყვის“ დამცველი ელჩის სტატუსით.**

ვფიქრობთ, სწორედ ამ ადამიანების ინტენსიური ურთიერთობების და თანამშრომლობის დროს დაიბადა იდეა, წინ წამოეწიათ პატიმართა შეწყალების თემაც, რომელიც, თავისი განსაკუთრებული სპეციფიკურობის გამო, საშუალებას იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციებით გაიშალოს და გაპიარდეს პატიმართა შეწყალების პროცესები და ამ პროცესებთან რაღაცით დაკავშირებულ ადამიანებს, მონდომების შემთხვევაში, სრულიად დაუმსახურებლად, ადვილად მოეცხოთ ჩირქი.“

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რამდენად შეესაბამება რეალობას კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ეს ვერსია, თუმცა ვარაუდის სახით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ ვერსიას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.

ახლა საბოლოო სიტყვა გამოძიებას ეკუთვნის, რომელიც, იმედია, სწორად გაიკვლევს გზას ამ ჩახლართულ-ჩალუსკუმებულ ლაბირინთში და ერთმანეთში არეულ და აზელილ ტყუილ-მართალს ერთმანეთისგან გაჰყოფს და გააცალკევებს.

**„საერთო გაზეთი“**

# რატომ გადაემტერა „პატრიოტი“ მურმან დუმბაძე ბიძინა ივანიშვილს და რატომ დაუმოყვრდა ვინმე ლიონია „კოსმოსას“?

## მურმან დუმბაძე, თავის პოლიტიკურ თანამოაზრეებთან ერთად „ნაცმოძრაობის“ გულშემატკივრად დარჩა და დღემდე მიშას ელოდება აჭარის მეორედ გასათავისუფლებლად, ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილის კადრებისგან!

ყოფილი „რესპუბლიკელი“ არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს სხვა მურმან დუმბაძე, რომელმაც, მართალია, ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობა კი დაკარგა, მაგრამ იპოვა მეორე, მისდამი სიმპათიით განწყობილი მილიონერი ვინმე ლიონია „კოსმოსა“, რომელიც არა რიკოთს გამოღმა, არამედ მურმანას ყურისძირში, ქობულეთში სახლობს.

მურმანს მობეზრდა ეკლად ყოფნა და ახლა უკვე სააკაშვილის ხელშეწყობით ჩვენში დამკვიდრებულ მილიონერს უპატაკა: მოდი, ერთად გავიფურჩქნოთ, ვითარცა ვარდნი, ივანიშვილის მიერ ნეხვით მოსვრილ საქართველოშიო.

ვინ არის ან ერთი, ან მეორე ადამიანი, რომლებიც დღენიადაგ, თურმე, ნუ იტყვით და, „ხალხზე ზრუნვით, მათი კეთილდღეობისა და საქართველოს უკეთესი მომავლისთვის“ დღენიადაგ ზრუნავენ.

თუ უკრაინულ მედიას დავეყრდნობით — ლიონია „კოსმოსა“ კიევის მერობიდან უკრაინელებმა ისე გამოაპანღურეს, სიკვდილს ძლივს გადარჩენილა! იქვე, უკრაინაში მის სახელს უკავშირდება არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც საბიუჯეტო თანხების მითვისებასა და გაფლანგვას ეხება და, ყველაზე მთავარი, ლეონიდ ჩერნოვეცკი თურმე — ოთხი ქვეყნის მოქალაქის პასპორტს ფლობს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქის და ყველაზე მთავარი შეკითხვა — საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რა მოსაზრებებით და რა



ლეონიდ ჩერნოვეცკი და მურმან დუმბაძე

მურმანი შუშის კოლბაში აღმოჩნდა ყველასგან მიტოვებული...

2012 წლის არჩევნების შემდეგ, მართლია, ერთხანს „რესპუბლიკელად“ რჩებოდა, მაგრამ „აზიზიე“ გახდა სწორედ ის გამყოფი, რამაც მშობლიური პარტიიდან მისი დისტანცირება, ანუ გარიცხვა გამოიწვია. იქამდე კი იყო პიკი, მურმანის ზეობის პიკი და აჭარაში ამა თუ იმ მინისტრების დანიშვნაში აქტიური ჩართულობა, თავგამოდება და თუ ჩემს წყაროს ბათუმიდან დავეყრდნობით, ამ ყველაფერს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და დეპუტატი ბათუმიდან მურმან დუმბაძე არცთუ უანგაროდ აკეთებდა. მას ყველაფრის

**7. პაატა დუმბაძე** — აჭარის ავტოსატრანსპორტო წარმოების ხელმძღვანელი;

**8. დავით დუმბაძე** — ქედის რაიონის გამგებელი, უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, მურმან დუმბაძის ძმაკაცი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მის გადეპუტატებაში.

ძვირფასო მკითხველო, ამ შთამბეჭდავი სიის ჩამონათვალის მიხედვით, ხომ საინტერესოა, მურმან დუმბაძის პროტეჟეებმა რა სარგებლობა მოუტანეს როგორც აჭარას, ისე, ზოგადად, საქართველოს?

ფაქტობრივად, მურმან დუმბაძის პროტეჟე, სოფლის მეურნეო-

ლო, მურმან დუმბაძემ თავის დაქალ უფლებადამცველ მედეა ვასაძესთან ერთად ქობულეთს გაემგზავრა, სადაც თურმე მილიონერ ჩერნოვეცკის ეს ორი პიროვნება

ხოლო პოლიტსაბჭოს სხდომებზე დუმბაძე ისე იქცეოდა, როგორც „ბეგი“ და როგორც გაირკვა, აჭარაში ჩასულ ღარიბაშვილს და კალაძეს ყველაზე მეტად ზუსტად ეს „ბეგთაბეგობა“ სცემიათ თვალში.

საიდან ამხელა ამბიცია კაცს, რომელსაც ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე საკუთარი სოფელიც კი არ ენდობოდა და წინა ხელისუფლებისდროინდელ არჩევნებზე თითო-ოროლა კაცი თუ აძლევდა ხმას და ისიც მხოლოდ საკუთარი ნათესავები?!

ანდა თუკი მართლაც ოპოზიციაში იყო სააკაშვილის რეჟიმთან — ამოდენა სახლ-კარი როგორ წამოჭიმა, როგორ მოაწყო და ყველა სართულზე, ყველა ოთახში ბუხარი მაქვსო, ვის გასაგონად ამაყობს?

რელიგიური თემებით მანიპულირება დაიწყო ამ ბოლო დროს მურმანმა და „აზიზიეს“ მეჩეთის ბათუმში აშენება გახდა მისთვის სავიზიტო ბარათი — ჭეშმარიტ მამულიშვილად რომ შესულიყო საქართველოს ისტორიაში. იქამდე კი შემოჰკრა ავბედითმა ზარმა და

უფლება მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით ავანტურისტია და ძალიან უყვარს ფული, რომელიც ძალიან იოლად მიეცემა.

აი, სია იმ მინისტრებისა, რომლებსაც დეპუტატი მურმან დუმბაძე ლობირებდა, რათა ისინი მინისტრები გამხდარიყვნენ:

**1. გიორგი თავამაიშვილი** — განათლების მინისტრი;

**2. ზაურ ფუტკარაძე** — სოფლის მეურნეობის მინისტრი, მურმან დუმბაძის ძმის ნუგზარ დუმბაძის ბიზნესპარტნიორი;

**3. ნუგზარ სურმანიძე** — ჯანდაცვის მინისტრი, მურმან დუმბაძის ცოლის ნათსავი და ძმის ნუგზარ დუმბაძის ბიზნესპარტნიორი;

**4. არჩილ ბექთაშვილი** — ხელვაჩაურის რაიონის მიწის აღიარების კომისიის თავმჯდომარე.

**5. გურამ დუმბაძე** — მურმან დუმბაძის ძმა, ხელვაჩაურის საკრებულოს ფაქტიური თავმჯდომარე, რომელიც ოფიციალურად საკრებულოს წევრად არის „არჩეული“;

**6. მერაბ დუმბაძე** — შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი, მურმან დუმბაძის ყური, რომელიც „ნაცმოძროაბის“ აქტიური მხარდამჭერია და მონაწილე ყველა იმ კრიმინალისა, რასაც „ნაცმოძრაობა“ აჭარაში ჩადიოდა.

ბის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე ჩემს საგაზეთო სტატიას გადაჰყვა, რომელშიც დოკუმენტურად იყო დადასტურებული ის, რომ მინისტრის ხელშეწყობით გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, მისმა შერჩეულმა ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა შპს „უნივერსალმა“ — სახელმწიფო პროგრამა ჩააგდო, რადგან თურქეთის რესპუბლიკიდან ჩამოსატანი კაკლის (ჩანდლერის ჯიშის) ნერგები ისეთი არასტანდარტული ჩამოიტანა, კრიტიკას რომ ვერ უძლებდა და ყველაფერ ამაში სახელმწიფომ 84 000 ლარი, ფაქტიურად, წყალს გაატანა.

მინისტრი ფუტკარაძე თვენახევრის უკან მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუმცაღა, აუცილებლად გამოსაძიებელია იმავე სოფლის მეურნეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოყვანილ მეწველ ძროხებში გადახდილი არარეალური თანხების საქმეც, რომლის გამოძიების შემთხვევაშიც ყველა დარწმუნდება, რომ მურმან დუმბაძის „მინისტრი“ ფუტკარაძე კარგა გაყოლება „მაყუთს ტეხავდა“!

საერთოდაც, მურმან დუმბაძის მიერ დანიშნული კადრები ერთგვარი გამაღიზიანებელია აჭარის სინამდვილეში და როგორც ჩემი ბათუმელი წყარო მიამბობს: „ძირეულად შესასწავლია სად წავიდა ფერმერებზე გამოყოფილი თანხები და რომელ ფერმერებს დაურიგდათ იგი?! მურმან დუმბაძესთან დაახლოებულებს ხომ არა? ანდა თითქოს მეფუტკრეობის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები, რომ აღარაფერი ვთქვა მეთევზეობის განვითარებისთვის გამოყოფილ არაერთ ათეულათას ლარზე? აჭარაში ყველამ იცის, რომ თევზის ბიზნესი — მურმან დუმბაძის ძმისა და მისი ბიზნესპარტნიორის ლევან ვარშა-



არგუმენტების მოშველიებით გასცა მასზე ქართული პასპორტი?! ლიონია „კოსმოსი“ საქართველოში ჩამოსვლისთანავე აგებს ფეშენებელურ სახლს ზღვის სანაპიროზე, შიგადაშიგ ქველმოქმედებს და ახლა უკვე იმ აზრზეა, გაჭირვებულ ხალხს დაუდგეს გვერდით და საქართველოში სიღარიბეს შეერკინოს.

მურმან დუმბაძეს, მართალია, მთლად „კოსმოსას“ ოდენობის ქონება არ გააჩნია, მაგრამ არც იგია წაქცეული გლახა და უპოვარი...

ისიც მართალი, რომ მურმან დუმბაძის ქონება, ძირითადად, „ოპოზიციაში“„ნაშოვნი „კაპიკებია“, თუმცა მურმანს ჯერ ყველაფერი კიდევ წინ აქვს — არჩევენები ახლოვდება, უფრო მეტი ფული უნდა იშოვოს და ვიღაცასათანაც ხომ უნდა იყოს ჩაგრული მასების ხმაც რომ მიიტანოს ხელისუფლებამდე?!

მოკლედ, როგორც კი ლიონია „კოსმოსისგან“ შეთავაზება მიი-

საკუთარ გუნდში შეუდარებელ ძალად შეუფასებია დაურწმუნებია ისინი, რომ მათ ჯერ კიდევ ბევრი შეუძლიათ საქართველოს კეთილდღეობისთვის და ამის აღსანიშნავად გამომშვიდობებისას ფოტოთი უკვდავუყოფიათ შეყრა ერთურთთან.

ჰოდა, ახლა ზუსტად ის დროა, საზოგადოებამ ზედაპირულად მაინც იცოდეს მურმან დუმბაძის პოლიტიკაში არსებობის დედააზრი რა არის, რა გაუკეთებია მას და თუკი კვლავ პარლამენტში მოხვდება რის გაკეთებას არ დაიზარებს ერთადერთი სამშობლოსთვის?!

მაშ, ასე...

აჭარაში 2012 წლის არჩევნების შემდეგ მურმან დუმბაძის გარეშე თანამდებობაზე არავინ ინიშნებოდა!!!

მეტიც, იგი მთავრობის ხელმძღვანელ არჩილ ხაბაძეს სახალხოდ, პირდაპირ ეუბნებოდა „შენ მართლა ხომ არ გგონია, რომ აჭარის ხელმძღვანელი ხარო?“



მედეა ვასაძე

ლომიძის საკუთრებაა. სწორედ ლევან ვარშალომიძის დახმარებით აილო ერთი მილიონი სესხი მურმან დუმბაძემ და ამ პატივისცემას იმით იხდის, რომ – კრინტს არ ძრავს იმ ნაციონალებზე, რომლებიც, როგორც აჭარის მთავრობაში, ისე ზედა თუ ქვედა რგოლებში დღემდე მუშაობენ, დღემდე მავნებლობენ და ინტრიგებში ხლართავენ ისედაც ეკონომიურად დაუძლურებულ და გაწამებულ აჭარას!!! გაუგონარი ამბავია, ეს ინტრიგანი და პოპულისტი მურმან დუმბაძე ვითომ ოპოზიციაში იყო, ვითომ „ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერი იყო და დღემდე არაფერს ამბობს იმ ნაციოანლებზე, რომლებიც თავის დროზე და ახლაც თანამდებობებზე რჩებიან?! მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. დღეს აჭარის მთავრობის აპარატის უფროსად მუშაობს რუსლან ქორიძე, რომელიც ქალაქის მერად დანიშნეს ნაციონალებმა იმის გათვალისწინებით, რომ ვარშალომიძის კლანს წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე, ნაცების აქტიური მხარდამჭერი იყო. მურმან დუმბაძე დუმილის პოზიციას ამჯობინებს იმ ფაქტზეც, რომ იმავე მთავრობის აპარატში დღემდე მუშაობს – ირაკლი ბერიძე, რომელიც ვარშალომიძის დროს პროტოკოლის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ თანხების მითვისების გამო გაათავისუფლეს და „ნაცმოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი ბონი-ბარცხანას მიკრორაიონის გამგებლად დანიშნეს. ახალი ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ირაკლი ბერიძე კვლავ პროტოკოლის უფროსად დააბრუნეს, თუმ-



მურმან დუმბაძე

ცა მურმანს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, რადგან ასეა საჭირო! ვინ არის მარინა სარჯველაძე, რომელიც ნაცების აქტიური მხარდამჭერია და რომელიც ისევე, როგორც წინა ხელისუფლების დროს, დღემდე – საქმეთა წარმოების დეპარტამენტის უფროსია, ანდა პაატა კაიკაციშვილი, რომელიც რესურსების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსად მუშაობს და იმავდროულად, ვარშალომიძეების ნათესავია? რატომ, რატომ ერთხელ მაინც არ გახდა „ოპოზიციონერი“ მურმან დუმბაძის კრიტიკის მახვილი ჩემს მიერ ზემოთჩამოთვლილი ნაცბანდის პერსონები? იქნებ იმიტომ, რომ მურმან დუმბაძისა და მისი ძმის ეკონომიურად მომძლავრებაში ლევან და გურამ ვარშალომიძეებს თავი არ დაუზოგავთ? მურმან დუმბაძე, თავის პოლიტიკურ თანამოაზრეებთან ერთად, „ნაცმოძრაობის“ გულშემატკივრად დარჩა და დღემდე ელოდება მიშას აჭარის მეორედ გასათავისუფლებლად ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილის კადრებისგან! არ ამბობს ამას მურმანი და არც არასდროს იტყვის, იმიტომ რომ, ვინ ვინ და ნაცებმა ყველაზე უკეთ იციან, დუმბაძეების საქმენი საგმირონი და ხელი ხელს ბანს პრინციპით იმიტომაც მისცეს მწვანე გზა იმ მინისტრებს, რომლებიც მურმან დუმბაძის ხელდასმით დაინიშნენ და თვითონ მურმანიც გიჟი ხომ არ არის, ეს ხალხი და მათგან მიღებული სარგებელი – დარტყმის ქვეშ დააყენოს?



აჭარის განათლების მინისტრი გიორგი თავამაიშვილი



აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფურკარაძე



აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნუგზარ სურმანიძე

აჭარაში არავისთვის არც ის არს საიდუმლო, თავის დროზე გასული საუკუნის 80-იან წლებში ქედის რაიონი სოფელი მეძიბნედან რატომ აიყარნენ და რატომ გადასახლდნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში დუმბაძეები, მაგრამ დღეს ამაზე სასაუბროდ თავს არ შეგაწყენთ, ვინაიდან მურმანის სიყმაწვილის ცოდვებზე მაშინაც ბევრი ითქვა და ეს ისტორია დღემდე ბევრს ახსოვს აჭარაში. მაშინაც ბევრი ითქვა და ითქვა ის, რაც დიდ სირცხვილად ითვლება დღემდე. ყმაწვილი იყო, მხოლოდ მესამე კურსის სტუდენტი მაშინ მურმანი და შეიძლება, ცდუნებას ველარ გაუძლო. აი, უკვე დავაჟკაცებულ, მეტიც ასაკში შესულ მურმანზე კი იმას გეტყვით, რომ განსაკუთრებული ალღო აქვს, რა თემები გამოჩხრიკოს, როგორ ითამაშოს გაუთვითცნობიერებელი ადამიანების ფსიქიკაზე და მხოლოდ იმ თემებით მანიპულირებს, რომლებიც არათუ პოლიტიკურ დივიდენდებს აძლევს მას, არამედ ამ დივიდენდებით ფინანსურადაც ძლიერდება! ამის დასადასტურებლად მოვიყვან ყბადაღებულ ასაშენებელ „აზიზიეს“ მეჩეთის მაგალითს...

აბა, დააკავირდით, რატომ აღარ გაჰყვირის ეს „პატრიოტი“, თავის კუთხეზე შეყვარებული, უანგარო პოლიტიკოსი დუმბაძე იმას, რომ „ჩემს გვამზე გადაბიჯების შემდეგ თუ აშენდება „აზიზიეს“ მეჩეთი ბათუმშიო?“ ხომ საინტერესოა, რატომ დადუმდა ასე უეცრად და რატომ გაივსო პირი ზღვის წყლით მაშინ, როცა „აზიზიეს“ აშენების თემა „მავანის“ მიერ დღის წესრიგიდან ჯერ მოხსნილი არ არის? მართალია, მურმანი კი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილთან „აზიზიეს“ გამო დამეძაბა ურთიერთობაო“, მაგრამ დღეს, როცა სახალხოდ გაჰყვირის, 2016 წელს ეს ხელისუფლება უნდა შევცვალოთო – რა უშლის ხელს, რატომ აღარ სწყალობს „აზიზიეს“ არაშენების ესოდენ მამულიშვილურ საქმეს?! ეეჰ, არ იცნობთ თქვენ ამ ადამიანს კარგად, არ იცნობთ და, რადგან მე თანამდებობრივად მევალებოდა მისი ბიოგრაფიის დეტალურად შესწავლა, მჯერა იმ კულუარული ინფორმაციისა, რასაც დღეს ბათუმში მურმან დუმბაძისა და თურქულ „ზირაათ ბანკზე“ ჩურჩულით ყვებიან“. – ასე ასრულებს საუბარს ჩემი წყარო.

ძვირფასო მკითხველო, როგორც დღევანდელი წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, მურმან დუმბაძე და უკრაინიდან სამარცხვინოდ გამოგდებული კიევის მერი, მილიონერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, იგივე „ლიონია კოსმოსი“ საქართველოში სიდუხჭირის აღმოსაფხვრელად და იბერიის გასაბრწყინებლად პოლიტიკურ სარბიელზე ერთად შემოჭენებას გეგმავენ, თუმცა იქამდე, ვფიქრობთ, რომ დროული იყო თქვენთვის მოგვეთხრო ზოგიერთი ეპიზოდი მურმან დუმბაძის ცხოვრებიდან, რომელიც, ვფიქრობთ, რომ აუცილებლად შესასწავლ საქმეებად უნდა შევიდეს პროკურატურაში, თუ ამ ქვეყანას მართლაც ჰყავს პროკურატურა და ხელისუფლება!!!

დღეს მურმან დუმბაძე „ნაცმოძროაბის“ ირიბი მხარდამჭერია, „ლეონიდკოსმოსა“ კი „ნაცმოძრაობის“ დროს ჩვენში შემოფარებული ოლიგარქი და თუკი მათი ალიანსი თუ პარტია მომავალ არჩევნებზე პარლამენტში მოხვდება, რას მივიღებთ? მივიღიებთ იმას, რომ – კრემლის მიერ ხელდასმული იანუკოვიჩის კიევის ყოფილი მერი პრორუსულ ძალად გვეყოლება პარლამენტში და იქნებ, ვინმემ ამიხსნას, ამ სულით და გულით დასავლეთის მხარდამჭერ რესპუბლიკელ მურმან დუმბაძეს რა ხელი აქვს, რა ხედვები აერთიანებს და რა ოცნებები აქვს ასახდენი „კოსმოსში აჭრილ“ ლიონიასთან?

ჰო, მართლა... ტერეშკოვა მედიკო (ვასაძე) არ დამიტოვოთ მიწაზე, ბიჭებო, თორემ ეს ისეთი ვინმეა, რაკეტის ილუმინატორს ჩაგიმტვრევთ, თავებს გარეთ გაგაყოფინებთ, უჰაერობით გაგგუდავთ და შემდეგ „სტრელკას“ და „ბელკას“ დააგლეჯინებს თქვენს თავს. ამის შემდეგ იქვე, კოსმოსში, უთქვენოდ უცხოპლანეტელებსაც დაუმეგობრდება, რომლებთან ერთადაც პარლამენტშიც შეფრინდება და აქ, მიწაზე მოსიარულეებსაც ენასაც გამოგვიყოფს, იმის სადემონსტრაციოდ: აი, ხომ გეუბნებოდით, მაგარი ვარო?

**ირინე გოგოსაშვილი**
**555 25 43 35**

# SOS!

ვისაც აქვს ღირსება, აწუხებს საქართველოს მომავალი, 19 დეკემბერს 14 საათზე გელით მშვიდობიან სახალხო საპროტესტო აქციაზე, რომელიც გაიმართება ბათუმში ბარათაშვილის და ზუბალაშვილის ქუჩების კვეთასთან მიმდებარე სკვერში.

- სამი წელია ვერ ხერხდება „ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების და დედა-საქართველოსთან დაბრუნების მემორიალის“ დადგმა ქ. ბათუმში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელნი ანგარიშს უწევენ მეზობელი თურქეთის ინტერესებს აჭარისადმი. ამ ფაქტმა, რომ თურქეთის მხარეს არ მოეწონება აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების ოფიციალურად აღნიშვნა, ყველაფერს ფარდა ახადა და ნათელი მოჰფინა...



- ხელისუფლება ვერ იცავს საკუთარი ქართველი ხალხის ინტერესებს, ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

- ბათუმი და მისი შემოგარენი უცხოელთა გარყვნილების ცენტრად გადაიქცა სადაც იბილწება ჩვენი ერის ღირსება და მომავალი... ასე რომ, წინაპართა სიცოცხლის ფასად შენარჩუნებული აჭარა ჩვენ თითქმის აღარ გვეკუთვნის...

ასეთ დამოკიდებულებას თავმოყვარე ქართველი ხალხი არ იმსახურებს.

ხალხის ნება უზენაესია!

გელით 19 დეკემბერს - ეს დღე ჩვენი ქართული ეროვნული ღირსების აღდგენის დღე უნდა გახდეს!

საზოგადოებრივი გაერთიანება, საორგანიზაციო კომიტეტი.

# ე.წ. შეწყალების საქმეზე პროკურატურის მაღალჩინოსნები დაიკითხნენ

ე.წ. შეწყალების კომისიის საქმეზე პროკურატურის მაღალჩინოსნები დაკითხნენ.

აღნიშნული ინფორმაცია მედიანიუსს მთავარ პროკურატურაში დაუდასტურეს.

უწყების ცნობით, დაიკითხნენ მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე, პროკურატურის პრესამსახურის თანამშრომელი ნათია სუხიაშვილი, ვაკე-საბურთალოს პროკურორი ნიკა სანიკიძე.

**ცნობისთვის:** პროკურატურამ გამოძიება შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის განცხადების საფუძველზე დაიწყო, როლის თანახმადაც, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები თანხის სანაცვლოდ კონკრეტულ პატიმრებს შეწყალებას ჰპირდებოდნენ და მასზე ამ მიზნით ზეწოლას ახდენდნენ.

ალეკო ელისაშვილის თქმით, მან ე.წ. შეწყალების საქმეზე ადრეც მიაწოდა პროკურატურის თანამშრომლებს ინფორმაცია. არსებული ინფორმაციით შეხვედრა ნათია სუხიაშვილის ორგანიზებით შედგა. თუმცა გუშინ მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, გოგაძესა და ელისაშვილს შეხვედრაზე ე.წ. შეწყალების კომისიის საქმეზე არ უსაუბრიათ.

# „კოკასა შიგან რაცა დგას“, ანუ სპეცოპერაცია „კოკაინი“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ



## ელისაშვილებისა და კილაძეების კოკაში არაფერი არ დგას, გარდა „ვოზდუხისა“. საინტერესოა, ამ „ვოზდუხმა“ როგორ დააშინა ვიღაც-ვიღაცები ისე, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ?!

„კოკაინური სპეცოპერაცია“ კოკაინის გარეშე“, - რამდენიმე თვის წინ ამ ქვესათაურით გამოაქვეყნა „გურია-ნიუსმა“ ვრცელი სტატია, რომელიც სწორედ იმ გახმაურებულ საქმეს ეხებოდა, რომელიც ახლა დამოკლეს მახვილივით უნდათ ჩამოკიდონ „ქართული ოცნების“ თავზე.

სტატიაში ვკითხულობთ:

„2010 წლის 2 ივნისს ქართველმა სამართალდამცველებმა სოფელ ტყაჩირში, სათბურიდან ერთი მილიონ შვიდასი ათასი ევრო ამოიღეს. ამ რეიდს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა და ხელისუფლების კონტროლირებადმა მედიასაშუალებებმა უპრეცედენტო მასშტაბის სპეცოპერაცია უწოდეს(?!). თავისი მოსაზრება კი იმით გაამყარეს, თითქოს, ბოლო ათწლეულის ყველაზე მასშტაბური ნარკოდანაშაული გახსნეს. ამ საქმეს რეზონანსი ნამდვილად ექნებოდა, სამართალდამცავებს ფულთან ერთად, 220 კილო კოკაინი მართლა რომ აღმოეჩინათ. როგორც ამბობენ, სპეცოპერაციას პირადად ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა.

იმავე დღეს, მიხეილ სააკაშვილმა ამ საქმეზე ბრიფინგი მოაწყო და პირდაპირ ეთერში გამოუტანა განაჩენი ბოჭორიშვილსაც და მასთან დაკავშირებულ სხვა პირებსაც. იმ დროისთვის, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი ნარკოკარტელსა და დანაშაულებრივ ჯგუფზე საუბრობდა, ქართველი სამართალდამცავების მიერ ამოღებული ერთადერთი მტკიცებულება, ნუგზარ ბოჭორიშვილის სათბურიდან ამოღებული ფული იყო. საქმის მასალებს, კოკაინის სახით, რაიმე სახის მტკიცებულება დღემდე არ შემატებია...

მიუხედავად არარსებული მტკიცებულებებისა, 2010 წლის 3 დეკემბრის ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ნუგზარ ბოჭორიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნარკოტიკულ დანაშაულში, ასევე იარაღის შეძენა-შენახვა-ტარება - გასაღებასა და განზრახ მკვლელობის მომზადებაში. მას დაუსწრებლად შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მასთან ერთად მსჯავრდებულ ანასტასია ზაუტაშვილს, გიორგი ჩეჩელაშვილს, რომან მესუმიანს და მევლუდ სვანიძეს 30 და 24 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ. არც ერთი მსჯავრდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და როგორც ადვოკატები მიუთითებენ, მთელი სისხლის სამართლის საქმე, მხოლოდ პოლიციის მიერ ფალსიფიცირებულ მტკიცებულებებს ემყარება. მტკიცებულებების გამყარება კი მოწმეთა ჩვენებებით მოხდა. დღეს, სამივე მათგანი აცხადებს, რომ ის რაც აღიარეს, სინამდვილეში ცრუ ჩვენება იყო.

სასამართლომ სწორედ კახაბერ სვანაძის, მერაბ ბოჭორიშვილის, ალექსანდრე ბოჭორიშვილის ჩვენებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადგენილად ისეთ ფაქტობრივ გარემოებები, როგორიცაა, ჯართის შემოტანა, ჯართის დაჭრა, "კოკაინის" პაკეტების ამოღება, შემდეგ მანქანების დაშლა, "კოკაინის" პაკეტების მომზადება მანქანაში ჩასალაგებლად, "კოკაინის" ევროპისკენ გატანა, " „კოკაინის" ოდენობა“.

ეს იყო რამდენიმე თვის წინ და უფრო ადრე, რამდენიმე წლის წინაც ასე იყო, რა ხდება დღეს? დღეს ერთი ჯგუფის მიერ „კოკაინის საქმე“ სხვა რაკურსით ტრიალებს და ატრიალებს მხოლოდ რამდენიმე პირს - ბესელიას, კობახიძეს, საქმეში ბრალდებლებს, პროკურორების და მოსამართლეების გარეშე. ე.წ. ნარკოტრანზიტის თემა „უფრო გამყარებული“ რომ ჩანდეს მას „დაუპლიუსეს“ სხვა რამდენიმე საქმეც. საბოლოოდ მივდივართ იქითკენ, რომ მალე 200 პოლიტპატიმრის საქმეს თავად პოლიტპატიმრებს შეუბრუნებენ და ყველა ის პირი, ვინც მათ უკანონოდ დაკავებასა და უკანონოდ გასამართლებაში ფიგურირებს, უმწიკვლო ანგელოზებად გამოცხადდებიან. პოლიტპატიმრების თემა, რომელიც იმ პირთათვის, ვინც დღეს პოლიტპატიმრების წინააღმდეგ აღმართეს მახვილი, ადრე უმთავრესი თემა იყო როგორც სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი ნიშანი, დღეს გამოცხადდა უსამართლო სამართლის საწყისად! რატომ „კოკაინის საქმე“? მითუმეტეს, რომ ამ საქმეში მსჯავრდებულთაგან არც ერთი პოლიტპატიმარად არაა აღიარებული! საქმე ისაა, რომ დაინტერესებულმა პირებმა სხვა მეორე „რეზონანსული საქმე“ ვერ იპოვეს, სადაც თავის დროზე ადვოკატად გამოდიოდა მანანა კობახიძე. მოდავე „შაიკა“ ზონდერ გოგა ონიანს აცხადებს გმირად, იმიტომ რომ თურმე ის უფლებათა დამცველია, მაგრამ უფლებების დაცვას ბრალად უყენებს მანანა კობახიძეს. საინტერესოა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სულით ნაცი რომ იყოს, რას იზამდა თემის „ამწევი“ ელისო კილაძე?! აი, მაგალითად კომიტეტს ჟურნალისტკა ნანული-ნანუკა ჟორჟოლიანი რომ ხელმძღვანელობდეს, საინტერესოა ელისო კილაძე თუ იტყოდა ჟორჟოლიანი „ერთ ადგილს ათამაშებდაო“ და თუ გაუხსენებდა მას, 2012 წლის არჩევნებამდე (2011 წელს, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის საწყის ეტაპზე) როგორ ეძახდა ბიძინა ივანიშვილს „ქვეყნის მამას“, „უდიდეს ქველმოქმედს“ (ვაზელინწასმულობის აპოგეაა მისი შოუ, სადაც სტუმრად ჰყავდა ბერა ივანიშვილი) და ახლა როგორ წერს ფეისბუქზე იგივე ივანიშვილზე - „ქველმოქმედი არა კვახი“... საინტერესოა, თუ იტყვის ოდესმე ელისო კილაძე, რომ 2011 წელს ნანუკა ჟორჟოლიანი ცდილობდა ივანიშვილის წრესთან დაახლოებას და რაც „დააიგნორეს“ ამის შემდეგ გახდა ივანიშვილი „კვახი“?

საქმეზე, საქმის დეტალების გარეშე! ეშმაკები კი დეტალებშია! ე.წ. საერთაშორისო ნარკოდანაშაული (რაზედაც ერთი კვირაა ადამიანების მწამებელი პარტიის წევრები თუ მათი თავგადაკლული გამთეთრებელი ე.წ. ჟურნალისტი ელისო კილაძე საუბრობს), - ვანო მერაბიშვილის პრესტიჟის საქმე, რომლის შესახებაც თავის დროზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტშიც კი იმსჯელეს, თუმცა დეპარტამენტის ანგარიშში არაა შეტანილი ის განსაკუთრებით დიდი ოდენობის კოკაინი, რომელიც თურმე მერაბიშვილმა ამოიღო! მიზეზი? დეპარტამენტმა ვერ მიაგნო ამოღებულ რამდენიმე ათეულ კილო კოკაინს! ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ზემოთნახსენები ანგარიში, სასამართლო პროცესზე იქნა წარდგენილი, მაგრამ სასამართლომ მსოფლიო დემოკრატიის ჩირაღდნოსნების დასკვნა არაფრად ჩააგდო. მეტიც, სასამართლომ არ მოიძია ის 220 თუ 90 კილოგრამი კოკაინის თუნდაც 0,9 მილიგრამი და საქმეზე ხუთ ბრალდებულს ისე მიუსაჯა ზოგს უვადო და ზოგს ვადიანი სასჯელი, რომ მთავარი მტკიცებულება კოკაინი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ დღემდე არავინ იცის. დავიწყებას მიეცა ასევე, ის მილიონზე მეტი ევრო, რომელიც ამოღებულ იქნა ერთ-ერთი ბრალდებულის სახლიდან და რომლითაც მიხეილ სააკაშვილმა, როგორც მან პირდაპირ ეთერში განაცხადა, პირველკლასელებს ნოუთბუქები შეუძინა.

ჯერ კიდევ 2010 წელს, როცა ეს ე.წ. საერთაშორისო ნარკოდანაშაულის ფაქტი „გაიხსნა“, უამრავი სტატია გამოქვეყნდა სხვადასხვა ბეჭდურ თუ ინტერნეტგამოცემაში, სადაც იწერებოდა იმ აუტანელი ტანჯვა-წამების შესახებ, რასაც ამ საქმეში ბრალდებულების მიმართ ქონდა ადგილი. ისიც ცნობილია, რომ მოიტაცეს ანასტასია ზაუტაშვილის (ნუგზარ ბოჭორიშვილის მეგობრის) მცირეწლოვანი შვილი, ისიც ცნობილია, რომ ხუთივე დაკავებული სასტიკად სცემეს.



ელისო კილაძე



ალეკო ელისაშვილი

ამონარიდები ჩვენებებიდან:

"სამი თვე ვიყავი მარტო კამერაში... ყოველდღე იყო ცემა ციხის ბადრაგებიდან. მერე მასმენინებდნენ ხმებს, ჩემი შვილების ხმები მესმოდა, წიოდნენ, კიოდნენ... დედაჩემის ხმასაც მასმენინებდნენ, ძმა მყავს ავად და ბოლოს იმის ხმაც მომასმენინეს, ისინი შველას მთხოვდნენ..."

"მე მიცემული მაქვს ჩვენება, სადაც ვთქვი, რომ ჩემთან ინახებოდა სახლში ჩანთები, რომლებიც მოიტანა მევლუდ სვანიძემ, ნუგზარ ბოჭორიშვილის სიძემ და მითხრა შემენახა ჩანთები, სულ ვთქვი, რომ იყო 8 ჩანთა, ასევე ვთქვი, რომ ჩანთებში თუ რა იყო არ ვიცოდი. სინამდვილეში, ჩანთები ჩემთან იმ პერიოდში არ ინახებოდა და ჩანთები მქონდა მანამდე დიდი ხნით ადრე, რაც წაღებული იყო 8 თვით ადრე და იქ იყო ნივთები, რასაც მევლუდი ყიდდა მაღაზიაში. ეს იმიტომ ვთქვი,

**ნუთუ არ იცის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, რომ ბოჭორიშვილსა და მის მეგობრებს „ნაცმოძრაობამ“ იმ კოკაინის გამო მიუსაჯა 24 და 30 წელი, რომელიც თვალით არავის უნახავს**

რომ ვიყავი შიშის ქვეშ. პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მაკითხავდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მელოდება 20 წლიანი თუ არ ვიტყოდი, რომ იმ პერიოდში ჩანთები ინახებოდა ჩემთან. ასევე ზეწოლა იყო ფიზიკური. დაკითხვაზე ვიყავი თბილისში და იქაც მაშინებდნენ, რომ მელოდებოდა 20 წლიანი პატიმრობა.''

რაც შეეხება ანასტასია ზაუტაშვილს, ციხეზე ძალიან ბევრ პატიმარს ჰყავს ის ნანახი სასტიკად ნაცემი, ფეხებს რომ ძლივს მიათრევდა. მას ბევრი პატიმრის თანდასწრებით აქვს არაერთგზის მოყოლილი რა ტანჯვა-წამება გამოიარა. რა ხდებოდა 2010 და მის შემდეგომ პერიოდში 2012 წლამდე, ახლადამობრწყინებულ ვარსკვლავს, ელისო კილაძეს, ნამდვილად არ ეცოდინება, მაგრამ ის დასკვნებს ვერც ბოლო პერიოდში გავრცელებული ვიდეოჩანაწერებიდან აკეთებს. ტვინი ამ ნაწილში გადაკეტილი აქვს, არადა, თავის დროზე, როცა ღარიბაშვილმა ე.წ. კასრების ფირები ჟურნალისტებს აჩვენა, მაყურებელთა შორის ელისო კილაძეც იყო. ანუ, მან არჩევნების დასრულებისთანავე იცოდა როგორ მოიპოვებდა აღიარებით ჩვენებებს ნაციონალური ხელისუფლება დაკავებული პირებისაგან, თუმცა ამ სამართლის მოყვარე ,,ჟურნალისტს'' აზრად არ მოსულია კატეგორიულად


ანასტასია ზაუტაშვილი

მოეთხოვა (რასაც ახლა დიდი სიამოვნებით აკეთებს ბესელიას და კობახიძესთან მიმართებაში) ფირების შემოქმედთა წინააღმდეგ ან თავად ფაქტზე გამოძიება დაწყებულიყო.

დღეს კი ,,იბრძვის'' ქინძისო ,,სამართლიანობის დამკვიდრებისთვის'', მაგრამ მას მეხსიერებიდან ერთი უხერხული პოზა გაუქრა: პრესაში ახლადგამოჩენილი ,,ქრონიკა+''-ის ერთ-ერთ ნომერში ბოჭორიშვილის საქმეზე სტატია იყო გამოქვეყნებული და საინტერესოა, რატომ გახდა ახლა ადვოკატი მირიან ნიკოლაძე და ე.წ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულები კილაძისათვის დევნის სუბიექტი და რატომ იყო ერთ დროს მათი დამცველი? როცა უნდა იცავს და როცა უნდა არა? თუ მხოლოდ გელა ხვედელიძის სჯერა კილაძეს და სასამართლოზე ყოფილი ჩინოსნის ნათქვამი ერთადერთი ფრაზა - თავს დამნაშავედ არ ვცნობ - არის სამართლიანობის პიკი, რამაც უბიძგა კილაძეს მისგანვე ჩარტყმული ჩინოსნის გათეთრებისაკენ?!

რატომ არ ახსენებს ელისო კილაძე კუდ-ის თანამშრომელს, რომელიც ნუგზარ ბოჭორიშვილს ფულს და კოკაინს სთხოვდა, ეს ხომ დადასტურებული ფაქტია? ისიც საინტერესოა, თუ ელისო კილაძის ე.წ. ჩანაწერები ფასობს, ნუგზარ ბოჭორიშვილის მიერ ჩაწერილი ფირი რა ნიშნით დაიწუნა პროკურატურამ, სადაც ჩანაწერთან ერთად ბოჭორიშვილის განცხადებაც დევს გამოძიების წარმოების შესახებ? რატომ დააობა თაროზე პროკურატურამ ამ (და სხვა) საქმეში მსჯავრდებლების განცხადებები?! რომ არა პროკურატურის და პარლამენტის ხელოვნურად შექმნილი მუხრუჭი, ზოგადად პოლიტპატიმრების საქმეების გადასინჯვის შესახებ, დღეს კილაძეს და მის დამქაშებს საინფორმაციო ღრუ ამოქოლილი ხომ ექნებოდათ იმ მასით, რითაც სხეულზე კანი ასკდებათ?! სამართლანობის აღდგენა რომ მომხდარიყო, ელისაშვილი და ნაციონალებისაგან მართული მოჟურნალისტო ელემენტები, ხომ ვერ გაბედავდნენ ხმის ამოღებას, ხომ არ ექნებოდათ მცდელობა საზოგადოების აზრზე ზეგავლენა მოეხდინათ? ვინ არის ელისო კილაძე და ვინ მისცა მას ადამიანების ბედით თამაშის უფლება? მეტიც, იმ ადამიანების განცხადებებზე, ვინც პროკურატურას მიმართა კილაძის წინააღმდეგ, რატომ არ არის რეაგირება? იმიტომ ხომ არა რომ პროკურატურაში ქინძისოს ქინძები ან მოქინძო ელემენტები მფარველობენ? არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ამბობენ რომ კილაძეს და მის მსგავს ,,ჟურნალისტებს'' რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირთან ერთად, ერთი მინისტრიც აფინანსებს და მეტიც, ამ მინისტრის ,,შნირებიც'' არიან კილაძის ჩიტები!


მანანა კობახიძე

დავუბრუნდეთ ე.წ. ნარკოტრეფიკინგის საქმეს. კილაძე, ელისაშვილი და რამდენიმე ნაციონალი აცხადებს რომ თურმე მანანა კობახიძე მფარველობდა ნუგზარ ბოჭორიშვილს. არქივში კი ინახება 2015 წლის მარტში გავრცელებული ინფორმაცია:

,,ფაქტია, მანანა კობახიძე არაფერს აკეთებს, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილს დაეხმაროს, უფრო სწორად, სამართლიანობის აღდგენას დაეხმაროს. სამწუხაროდ, ამ ადამიანებმა დაივიწყეს სამართლიანობა, დაივიწყეს ნუგზარ ბოჭორიშვილიც და შეთითხნილი ბრალდებაც. თორემ ამ ადამიანებს ეს საქმე ორი წლის განმავლობაში პირზე ეკერათ, სანამ ხელისუფლება შეიცვლებოდა. ნუგზარ ბოჭორიშვილს მოლოდინი აქვს, რომ მის საქმესთან დაკავშირებით მაინც აღდგება სამართლიანობა, რადგან ხუთი ადამიანი აბსოლუტურად უკანონოდ ზის ამ საქმეზე ციხეში. ცხადია, იგი ღელავს, რომ ეს ადამიანები მისი ნათესაობისა და მეგობრობის გამო უკანონოდ სხედან ციხეში'', - აცხადებდა ,,ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის'' წარმომადგენელი ნიკა მემანიშვილი.

საინტერესოა, როცა ეს ინფორმაცია გავრცელდა სად იყო ალეკო ელისაშვილი? რატომ არ ამოიღო ხმა ელისო კილაძემ? რატომ არ ჩამოკრეს განგაშის ზარებს, კილაძემ თუ არა (არადა ყველაფერი ვიცით, - ამბობს) ელისაშვილმა ხომ იცოდა ის, რასაც ახლა ამბობს? და რა პირკატა ეცათ ახლა? საქმე ისაა, რომ 2015 წლის მარტში და უფრო ადრე, ხმაური ძალიან არაეფექტური იქნებოდა, 2016 წლის დადგომამდე ერთი თვით ადრე კი ზედგამოჭრილია. ხალხს კარგა ხანს არ დაავიწყდება ეს ვითომ სკანდალი და ელისაშვილი-კილაძის ტანდემსაც საქინძეთი ,,მოღვაწეობას'' საქმეში ჩაუთვლის, ალბათ დაუფასებს კიდეც. საქართველოს პრეზიდენტს კი ახლა ისღა დარჩენია ელისაშვილის გარდა კილაძესაც შესთავაზოს თავისი პირადი დაცვით მომსახურეობა. კანონი მარგველაშვილს ფეხებზე კიდია, პრეზიდენტის (როგორც ასეთის) პირადი დაცვა კი მისი საკუთრება. მარგველაშვილს დაავიწყდა რომ მას კერძო დაცვა არ ემსახურება, გარდამავალი დროშასავით ხან ვის და ხან ვის რომ გადაულოცოს. მარგველაშვილის დაცვას ქართველი ხალხი აფინანსებს და ხალხის არჩეულს კი უნდა ეკითხა ხალხისთვის, უნდათ თუ არა ელისაშვილის დაცვის შემთხვევაში გადაუხადონ მათ ხელფასი! ელისაშვილს კი თავის მხრივ დაავიწყდა, რომ როცა განაცხადა პრეზიდენტს სიტყვიერად მოვახსენე კორუფციული სქემის შესახებო, დანაშაულის ,,წილში'' გაიყვანა ,,პლასტელინა''. რას ვიზამთ ასეც ხდება, აი, ჯოჯოხეთს რა ანათებს ამის დადგენა კი არცთუ ისე რთულია, მაგრამ დამდგენს სძინავს სალათას ძილით, გამომღვიძებელს კი ფეხებზე კიდია წითელსაჯდომა მაიმუნების ,,დოღი''!.. ისე, საინტერესოა ელისაშვილი რატომ არ დაინტერესდა რა მანქანებით გაათავისფლეს პატიმრობიდან მარგველაშვილის სიძე?!!

კანონის დაცვაზე თუ მიდგება საქმე, ამოჩემებული საქმეებით აპელირება ვითომ ძალიან კანონიერია? რატომ აქვს კილაძეს+ელისაშვილი+რამდენიმე კაცის მედალს მხოლოდ ერთი მხარე, ესეც ხომ საინტერესოა? ისიც ხომ ფაქტია, რომ ერთი სმს-ი (კილაძე ამბობს სმს-ი გაუგზავნა კობახიძემ ელისაშვილს და სმს-ში მე კატეგორიული ტონი შევამჩნიეო) ვერ გამოდგება საქმეში მყარ მტკიცებულებად და ეს იურისტმა (ასე ამბობს) კილაძემაც ხომ იცის? და რომ იცის მის ერთ ფრაზაშიც იგრძნობოდა როცა გდშ-ზე მოევლინა მრევლს: მე ვიცი სმს-ის შესახებ და კატეგორიული ტონი იგრძნობოდა სმს-შიო, - განაცხადა. ანუ, მე (ან ჩვენ) ვფიქრობთ ასე და აბა ერთი კაი ბიჭები არიან პროკურატურაში რასაც ელისო ფიქრობს იმის საწინააღმდეგოდ იფიქრონ! ასევე ძალიან საინტერესოა ზვიად ქორიძის პოზიცია, რომ არა ელისაშვილი-კილაძე ზვიად ქორიძე დაადასტურებდა იმ ფაქტს რომ მასზეც მიდიოდა ,,ზეწოლა''? კაი, ვთქვათ ელისაშვილმა არსებული დანაშაულის შესახებ ზეპირი ,,მოხსენება'' გააკეთა ,,ზემოთ'', ქორიძე რატომ დუმდა ზეპირადაც და წერილობითაც? რა იყო, ე.წ. კანონიერი ქურდია და უტყდება წერაც და ლაპარაკიც? თუ შეეშინდა ბადრი პატარკაციშვილის გაზეთის ყოფილ რედაქტორს ვინმე წარსულს (არა მხოლოდ გაზეთში მუშაობის, ტელეკომპანიებშიც მუშაობდა ქორიძე და არ იხსენებენ მის ,,მოღვაწეობას'' კარგად) გამახსენებსო და ამიტომ დუმდა?...

კიდევ ერთი ნარკოსკანდალის შესახებ, რომელზედაც ელისო კილაძე გასაგები მიზეზების გამო არ ისაუბრებს. ეს საქმე ეხება ნანუკა ჟორჟოლიანის ახლო მეგობარს, გიგი უგულავას. შეგახსენებთ გავრცელებულ ინფორმაციას:


ნუგზარ ბოჭორიშვილი

,,სად გაქრა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაჭრილი ჯარისკაცებისთვის სპეციალურად გამოგზავნილი მორფინი? — ამ საკითხით ამერიკული მხარეა დაინტერესებული. ამის შესახებ ინფორმაცია ,,ტელეგრაფმა'' რამდენიმე თვის წინ გაავრცელა. მათივე ინფორმაციით, მთავარი პროკურატურა 2008 წლის ომის დროს ამერიკიდან საქართველოში გამოგზავნილი მორფინის საკითხზე მოკვლევას აწარმოებს, თუმცა შედეგები საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია.

სად წავიდა 1 კონტეინერი მორფინი, ამ საკითხით თავად ამერიკული მხარეც არის დაინტერესებული'', — აღნიშნავდა ,,ტელეგრაფთან'' საუბრისას რესპონდენტი, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ინკოგნიტოდ დარჩენა სურს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურა ინფორმირებულია, ჩვენი უწყების შესაბამისი სამსახურები მოკვლევას აწარმოებენ. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებას ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციას უახლოეს დღეებში მივაწვდით, — აცხადებდნენ მაშინ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, თუმცა რა ეტაპზეა გამოძიება და, საერთოდ, დაიკითხა თუ არა ვინმე, ამ დრომდე უცნობია''.

კიდევ ერთი სკანდალი, რაზედაც ელისო კილაძე არასდროს არაფერს იტყვის, ეს არის ნანუკა ჟორჟოლიანის ძმის სკანდალი. კილაძე არასდროს გაიხსენებს ნანუკას ძმა როცა დააკავეს მეორედ (პირველ დაკავებაზე არაფერს ვიტყვი) როგორ ყვიროდა ,,ირაკლი კოდუას ცოლის ძმა ვარ'' ხელი არ მახლოთო. არც იმას გაიხსენებს კილაძე, როგორ გამოაგდო ციხიდან ვანო მერაბიშვილმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ჟორჟოლიანის ძმა!

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ,,კოკაინის საქმიდან'': როგორც ზემოთ ვთქვი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში არაა ასახული განსაკუთრებით დიდი ოდენობის კოკაინი, როგორც ამოღებული რაოდენობა. რაც იმას ნიშნავს რომ ის არ არსებობდა! სასამართლო პროცესი ისე დასრულდა, კოკაინი მოთხოვნის მიუხედავად მტკიცებულებად არავის წარმოუდგენია და შესაბამისად არც არავის გაუნადგურებია. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო ვიდეო-ფირი, სადაც ნათლად ჩანდა მანქანის ,,კაპოტზე'' დაწყობილი, ცელოფნის პარკში შეფუთული, თეთრი ფერის ფხვნილი, რომელზედაც ითქვა რომ ეს იყო ამოღებული კოკაინი. სასამართლო პროცესზე დაისვა საკითხი, ვინ გადაიღო ფირი და როგორ მოხვდა ,,ტვიმედზე'' ის? შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასამართლოს წარუდგინა ოფიციალრი დოკუმენტი, სადაც მითითებული იყო, რომ ფირი გადაიღო ,,იმედის'' გადამღებმა ჯგუფმა. თავის მხრივ ,,იმედმა'' ოფიციალურად განაცხადა რომ მათ ფირი მიაწოდა შს სამინისტრომ. სასამართლომ მოწმის სტატუსით არ დაკითხა ,,იმედის'' ჟურნალისტი, მიუხედავად იმისა ადვოკატებმა ჟურნალისტის დაკითხვის შუამდგომლობა დააყენეს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მყოფმა მოწმეებმა სასამართლოს განუცხადეს, რომ: როცა იქ ჟურნალისტი მივიდა, მანქანის მეტი არაფერი დახვდა. ჟურნალისტმა დაიწყო ყვირილი ეს რაა, რა ვაჩვენო ხალხსო და ადგილზე მყოფმა პოლიციელებმა მანქანის ,,კაპოტზე'' დააწყვეს ,,გარაჟიდან'' გამოტანილი თეთრი ფხვნილი ე.წ. ცარცი, რომელიც ,,დააფასოეს''. ჟურნალისტმა გადაიღო ეს და საღამოს ნაჩვენებ სიუჟეტში ითქვა რომ ეს იყო ამოღებული კოკაინი.



კიდევ ვიმეორებ, თუ მანანა კობახიძემ, ეკა ბესელიამ ან ვინმემ ზოგადად პატიმრებს თავისუფლების სანაცვლოდ ფული გამოსძალა, ან ცდილობდნენ გამოძალვას, ან პატიმრებმა ნებაყოფლობით გადაიხადეს, დამნაშავე დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში უნდა დაისაჯოს, მაგრამ ელისო კილაძის და მისი მეგობრების მედალს ერთი მხარე რატომ აქვს, ესეც გასარკვევია, ალბათ!

ელისაშვილებისა და კილაძეების კოკაში არაფერი არ დგას, გარდა ,,ვოზდუხისა''. საინტერესოა, ამ ,,ვოზდუხმა'' როგორ დააშინა ვიღაცვიღაცები ისე, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ?!

**ქეთევან ზარნაძე**
**599 52 60 30**

# დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## თუ ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობის“ მიერ კანონმდებლობაში სპეციალურად დატოვებული ხვრელები დროულად არ ამოქოლა, ცილისწამებების და პროვოკაციების ნიაღვარი სახელისუფლებო სტრუქტურებს მთლიანად დაანგრევს

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი **დიმა ლორთქიფანიძე:**

**— ბატონო დიმა, ბოლო დროს აშკარაა, რომ მასმედიის დიდი ნაწილი, იქნება ეს ელექტრონული მედია თუ ბეჭდური გამოცემები, შინაგადად, ქართულ სახელმწიფოს უპირისპირდებიან. სამწუხაროდ, მედიაში სახელმწიფოებრივი აზროვნება დაიკარგა. იფეთქა ცილისწამებების ტალღამ, რასაც დასასრული აღარ უჩანს. რას უკავშირებთ ყოველივეს?**

— შევეცდები, ამის გამომწვევ მიზეზებზე, რასაც ისტერიული კომპრომატების ომი, ბრალდებები ჰქვია, კონკრეტულად გიპასუხოთ. იმის გამო, რომ მსგავსი ცილისმწამებლური პოლიტიკისგან თავდაცვის მექანიზმი არ არსებობს, ეს ისტერიები უფრო ღრმავდება და დასასრული არ აქვს. არჩევნებამდე ცხრა თვეა დარჩენილი, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდება საზოგადოება, დაშანტაჟების კუთხით, არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე. რეალურად, ამის გამომწვევი მიზეზი, ინსტრუმენტის დონეზე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაჟინებული მოთხოვნით, 2004 წლის ივნისში ჩაიდო, როცა სისხლის სამართლის კოდექსიდან ძალიან მნიშვნელოვანი — 148-ე მუხლი ამოიღეს, რომელიც ცილისწამებისთვის დანაშაულის დაბრალებით სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ეს მუხლი, პირველ რიგში, ადამიანისთვის წინასწარი შეთანხმებითა და განზრახვით ისეთი ქმედების დაბრალებას გულისხმობდა, რომელიც თავის მხრივ, როგორც ინკრიმინირებული ქმედება, სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალური ნაწილით იყო დაკვალიფიცირებული. ბუნებრივია, როცა ეს მუხლი არსებობდა, პოტენციური მბრალმდებელი — ჩვეულებრივი მოქალაქე თუ ჟურნალისტი, ადამიანებზე პირდაპირი იერიშის მიტანას თავს არიდებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ მუხლის ამოღების მოტივი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით შეინიღბა, ყოველდღიურად, ძალიან სერიოზული ბრალდებების მოწმენი ვხდებით. მსგავსი ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში ადამიანებს წესით მრავალი წლით ციხეში ყოფნა მოუწევდათ. საზოგადოების ინტერესი, ასეთი ბრალდებების მიმართ, საკმაოდ დიდია, რასაც საჯარო ინტერესიც ეწირება. საზოგადოება დაიღალა — მთავარ აქცენტებზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, ჩვენი თავისუფალი დრო, პერსონალურ ინტრიგებს ეწირება. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, რასაც ბოლო დროს ადგილი ჰქონდა — ერთი მხრივ, ალეკო ელისაშვილმა გარკვეულ პირთა წრე, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას წარმოადგენენ შეწყალების კომისიასთან, თავმჯდომარესთან დანაშაულებრივი გარიგების მცდელობაში დაადანაშაულა, რაც წელიწადნახევრის წინ მომხდარა. ამ პერიოდის მანძილზე მსგავსი არაფერი მოგვისმენია. ამას მოჰყვა ზვიად ქორიძის განცხადება, რომ თურმე, თანამდებობის პირების მხრიდან ისიც განიცდის ზეწოლას და საქმე ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით აღიძრა. უკვე რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ კვამლს ვხედავთ უცეცხლოდ. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი კორუფციულ გარიგებასა და ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. თუ ამ ყველაფერს სამართლებრივი რეგულაციების, სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარების დონეზე ხელისუფლებამ წერტილი არ დაუსვა, მუდმივად მაინტრიგებელი თამაშების მონაწილენი გავხდებით, რაც ჩვენს დღის წესრიგში არ ჯდება იმიტომ, რომ ქვეყანა ყოველდღიური პრობლემებისა და სერიოზული გამოწვევების წინაშეა. პოლიტიკური ყურადღების მთელი კონცენტრაცია სწორედ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის საკითხებზე უნდა იქნას გადატანილი და არა გაუთავებელ ბრალდებებზე.



**— მუხლი რომელზეც თქვენ საუბრობთ 2004 წელს ამოიღესო, ბრძანეთ. გამოდის მას მერე ინერციით ამ ხაზს მივყვებით? რატომ არ დააბრუნა ეს მუხლი ახალმა ხელისუფლებამ კანონში?**

— მოგახსენებთ. გასაკვირი ის კი არაა, რომ მედიის ესა თუ ის საშუალება კონიუნქტურის ტყვეობაშია, საგანგაშო ისაა, რომ ჟურნალისტს შეზღუდვა არ აქვს ნებისმიერი მასშტაბით განახორციელოს ბრალდება პირთა წრის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არგუმენტები ზურგს არ უმაგრებს. ამ მუხლზე ყურადღება ამიტომაც გავამახვილე — იგი სერიოზული ალვირი იყო არა თავისუფალი, არამედ წინასწარი განზრახვით ცილისმწამებლური სიტყვისა. 2004 წელს, გიგა ბოკერია, თავისუფალი სიტყვის დაცვის მოტივებით, მაქსიმალურად ცდილობდა ამ მუხლის ამოღებაზე ლობირება გაეწია. მისი აზრით, ჟურნალისტს დიახაც, უფლება უნდა ჰქონოდა ნებისმიერი ინფორმაცია გაევრცელებინა თუკი წყარო მიაწვდიდა და შესაბამისად, არავითარი მექანიზმი ასეთი სიტყვის ჩახშობის თვალსაზრისით, არ უნდა არსებულიყო.

საქმეც ესაა, როდესაც ადამიანებს კორუფციაში ვადანაშაულებთ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს მათ ღირსებაზე, საქმიან რეპუტაციაზე, მომავალზე და ა.შ., ძალიან სერიოზული დარტყმაა. გამყარებული არგუმენტების გარეშე ადამიანის გათელვა ვფირობ, არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ ადამიანური, მორალური თვალსაზრისითაც მიუღებელი უნდა იყოს. მორალურ მხარეს უნდა ამყარებდეს რეგულაციები, რითაც დაზღვეული უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანი, პირველ რიგში, ჟურნალისტი, რათა წინასწარი შეგნებული დივერსიული ქმედება ადამიანის დადანაშაულების განზრახვისა, თუ ეს კონკრეტული არგუმენტებით არ მყარდება, ძირშივე აღიკვეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რასაც დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ვხედავთ, მხოლოდ დასაწყისი იქნება. ყველამ ვიცით, რომ ბოლო სამი-ოთხი წელია, მედია საშუალებებიდან, კომპრომატების ფრიალი გახშირდა. საბოლოო ჯამში, ხდება თემის გაუბრალოება, ადამიანის ღირსების დაცვის სადარაჯოზე დგომის ვალდებულების დაკნინება, რაც საზოგადოებაში ქაოსს ჰქმნის, რაც დაუშვებელია. „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან მინდა უფლებადამცველებს მოვუწოდო ამასთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირონ. მოსმენებთან დაკავშირებით ხომ ვიხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით კამპანია — „ეს შენ გეხება!“. ვფიქრობ, ცილისმწამებლური, დაუზოგავი პოლიტიკის მსხვერპლთა სავალალო შედეგების დაცვის, თითოეული უფლებადამცველის ვალდებულება უნდა იყოს.

**— ახალი ხელისუფლება ამაყობს რომ მედია მისი მარწუხებისგან, წინამორბედისგან განსხვავებით, თავისუფალია, მაგრამ განა ხელისუფლებისგან თავისუფალი მედია, თავისუფალს ნიშნავს?**

— ანუ, ერთია რას დეკლარირებ, მეორეა, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე. პირად მაგალითზე გეტყვით, რაც რამოდენიმე დღის წინ თავს გადამხდა: ერთმა საკმაოდ პოპულარულმა გამოცემამ მოულოდნელად აბსოლუტურად, თითიდან გამოწოვილი ინფორმაცია დაბეჭდა თითქოს, მე, პაატა ბურჭულაძესთან პოლიტიკური ალიანსისთვის ვემზადები, რასაც თქვენი გაზეთის ფურცლებიდან კატეგორიულად უარვყოფ. ამ გაზეთის მიზანი ორი კურდღლის დაჭერა იყო — ერთი მხრივ, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისთვის“ დარტყმა მიეყენებინათ, ხოლო მეორე მხრივ, პაატა ბურჭულაძის ჯერ არ შექმნილი ორგანიზაციისთვის გარკვეული პიარი გაეკეთებინათ. ეს ხომ უკვე კონიუნქტურაა. ხომ აშკარაა, რომ ამას ჟურნალისტს ვიღაც უკვეთავს. ადამიანი ჩემზე წერს და ერთი კითხვაც არ დაუსვამს, საერთოდ, არც დაურეკავს თუნდაც იმისთვის, რათა გაეგო, აღნიშნულს ვადასტურებ თუ უარვყოფ, არამედ ისე წარმოუდგინა საზოგადოებას თითქოს, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. განა, ამ დროს, საკუთარი თავის დაცვის უფლება არ უნდა მქონდეს?! მაინცდამაინც ყოველწუთს სასამართლოში ხომ არ უნდა ვირბინოთ?! უნდა არსებობდეს თუნდაც, შიდა ტრიბუნალი, სარევიზიო ჯგუფი, რომელიც მსგავს ფაქტებზე გადაწყვეტილებას სწრაფად მიიღებს. არ შეიძლება ჟურნალისტი ტოტალური დაუსჯელობის სინდრომით სარგებლობდეს. ამ შემთხვევაში, აღარც ეთიკა არსებობს, არც მორალი, არც სისხლის სამართლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით გამოწვეული შეზღუდვა. გამოდის, რომ ჟურნალისტს შეუძლია თავი მეოთხე ხელისუფლად წარმოიდგინოს, ივაჭროს, მიიღოს შემოსავალი გამომდინარე იქედან, რომ მას ვინმეს წინააღმდეგ ყველაზე უხამს, ბინძური ფორმებით ბრძოლას დაუკვეთავენ. ამიტომ, დღეს შექმნილი ვითარება, ჩემი ისტორიაც ძალიან სერიოზული დასკვნების გაკეთების საბაბს მაძლევს — დაუყოვნებლივ, თანამოაზრეებთან ერთად, უნდა დავიწყოთ იმაზე ფიქრი, რათა ცილისწამების მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შემუშავება მოვახდინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს, ქვეყანას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. აქვე, კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ: 7 დეკემბერს, ღამის 9 საათზე, „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში გადაცემა „ფაქტორში“ ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ვინმე თეო ხატიაშვილმა მოულოდნელად განაცხადა — თითქოს, რაღაც კონკრეტული აქცია ჩაეშალათ სწორედ იმიტომ, რომ მათ „ფეის-ბუქის“ საშუალებით ატერორებდნენ, ემუქრებოდნენ და ერთ-ერთი დამმუქრებელი დიმიტრი ლორთქიფანიძეა, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც გვაქვსო. ასე მოულოდნელად ცილისმწამებლური პასკვილი გამომიცხო. ეს ძალიან მოულოდნელი იყო, ჯერ ერთი, მას



საერთოდ არ ვიცნობ, არამც თუ რამე არ მიმიწერია, არც კი დამილაიქებია და ამ დროს, პირდაპირ ეთერში, ასეთ მტკნარ სიცრუეს ამბობს. მუქარა დანაშაულია, თუ ვემუქრებოდა ე.ი. დანაშაულს ჩავდიოდი, მაგრამ ის თუ მაბრალებს, პასუხი არ უნდა აგოს?! მას დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნება საჯაროდ მოვთხოვე და როგორც წრუწუნა, ისეა გაჩუმებული, ცდილობს, დრო გავიდეს რომ ამაზე ყურადღება აღარ გავამახვილო. ვიმეორებ, თუ დანაშაული არ ჩამიდენია, მან ჩემი ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის პასუხი ხომ უნდა აგოს. ისე გამოიყვანა, თითქოს, დიმიტრი ლორთქიფანიძე ვინმე თეო ხატიაშვილს მუქარის წერილებს წერს. რაზე აღარ მიდიან პოლიტიკური გუნდები არჩევნების წინ, რაც ამაზრზენი, ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია.

12 gv.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center
PMMG
ISFED
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
TDI
საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
MDF
GRASS
REFORMANDA

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ცნობილი უფლებადამცველი, ადვოკატი **გიორგი თევზაძე**.

# გიორგი თევზაძე: მე, პირადად, მხარს ვუჭერ იმ მოსაზრებას, რომ პატრიარქს პატიმრის შეწყალების ექსკლუზიური უფლება მიენიჭოს

**გიორგი თევზაძე**: – რა იყო აქ აჟიოტაჟის ასატეხი, ეს იყო უბრალოდ პატრიარქის პოზიცია. ხომ არ გვავიწყდება, რომ საზოგადოებაში ყველაზე დიდი ნდობით საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი სარგებლობს, საპატრიარქო ერთადერთი ინსტიტუციალური ორგანოა, რომელსაც საზოგადოება ყველაზე მეტად ენდობა. საპატრიარქოში ისედაც მოქმედებს შეწყალების კომისიის მაგვარი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილი მოსამართლე, ბრწყინვალე პიროვნება და დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი მზექალა ქარსელაძე. მათთან შედის უამრავი განცხადება, რომელსაც განიხილავენ, სწავლობენ და საბოლოო ჯამში საქართველოს პრეზიდენტს აწვდიან. რატომ არ შეიძლება საპატრიარქოსაც ჰქონდეს შეწყალების უფლება, მე პირადად მხარს ვუჭერ იმ მოსაზრებას, რომ პატრიარქს პატიმრის შეწყალების ექსკლუზიური უფლება მიენიჭოს. ეს რა თქმა უნდა გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს კონსტიტუციაში და კანონმდებლობაში, რაც უკვე დამუშავების პროცესში უნდა იყოს. ქვეყნის სათავეში მოსულმა ყველა ხელისუფლებამ თავის ჭკუაზე შეცვალა კონსტიტუცია, დღესაც მიმდინარეობს ეს ცვლილებები. ნაციონალების მმართველობისას მე საკონსტიტუციო კომისიის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლდით, ძალიან ბევრ საკითხს ვაპროტესტებდი, როგორც ხსენებული საბჭოს ერთ-ერთ წევრს მქონდა შენიშვნები, მაგრამ კომისიამ უმეტესწილად არ გაითვალისწინა. ასეთი კომისია დღესაც მოქმედებს, სადაც სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები არიან წევრებად, მაგრამ აღარ არის მრჩეველთა საბჭო, ანუ უფლებადამცველები ვეღარ ვღებულობთ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში. ამას თავი დავანებოთ, ფაქტია, მუშაობს კომისია მუშაობს, საკონსტიტუციო ცვლილებებსა და ჩანაცვლებებზე მსჯელობისას რატომ არ შეიძლება პატრიარქისთვის შეწყალების უფლების მინიჭებაზეც იმსჯელონ და ეს ცვლილება შესაბამისობაში მოიყვანონ პრეზიდენტის უფლებებთან. დავუტოვოთ პრეზიდენტს პატიმართა შეწყალების უფლება, მაგრამ ამ ჰუმანურ საქმეში პატრიარქის ჩართულობაც გავითვალისწინოთ. მე, როგორც უფლებადამცველს ეს მოსაზრება მაქვს. კოალიცია „თქვენი უფლებებისთვის“, რომელშიც ათობით არასამთავრობო ორგანიზაციაა გაწევრიანებული და რომლის სპიკერიც გახლავართ, მხარს უჭერს იმ პოზიციას, რომ კარგი იქნებოდა თუ პატრიარქსაც მიეცემოდა პატიმრების შეწყალების უფლება. აქვე მინდა იმ მედიასაშუალებების გასაგონადაც გავაკეთო განცხადება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ნებსით თუ უნებლიედ ძალიან სცოდავენ, როდესაც რამდენიმე ფართოდ გაპიარებული არასამთავრობო ორგანიზაცია აკეთებს რაიმე განცხადებას, რატომღაც მთელი არასამთავრობო სექტორის პოზიციად წარმოაჩენენ. ამ ორგანიზაციებმა, რომლებიც მედიის „ფავორიტობის“ გარდა, ხელისუფლების მხარდაჭერითაც სარგებლობენ, რა თქმა უნდა დაგმეს

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



პატრიარქის წინადადება და პრემიერ-მინისტრის ინიციატივა და მართლაც სვავებივით დააცხრნენ. ამ „გაპიარებულთა“ პოზიცია, როგორც ყოველთვის, თანხვედრაშია „რესპუბლიკური პარტიის“ პოზიციასთან. მედიამ ამ შემთხვევაშიც ხსენებულ არასამთავრობოთა პოზიცია მთელი სამოქალაქო სექტორის პოზიციად წარმოაჩინა. ცალკეული ორგანიზაციების აზრი, 4-5 კი არა 25-იც რომ იყვნენ, როდესაც საქართველოში რეგისტრირებულია ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია, მათი არც პოზიციაა და არც მოსაზრების საპირწონე. როგორც გითხარით ჩვენს კოალიციაში შემავალთ სხვა პოზიცია აქვთ, რა გამოდის ჩვენ არ გვაქვს ჩვენი პოზიციის გაჟღერების, დაფიქსირების და განცხადების უფლება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს კოლეგებს არ ვეთანხმებით? სხვათა შორის, ბევრ სხვა საკითხშიც განსხვავებული პოზიცია გვაქვს, თუნდაც საარჩევნო კანონმდებლობასთან და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომ მინდა მედიის წარმომადგენლებს მივმართო, რომ თუნდაც ჩვენმა კოალიციამ გააკეთოს განცხადება, მოიხსენიონ როგორც სამოქალაქო სექტორის ნაწილის პოზიცია, რადგან არც ჩვენი მოსაზრებაა ყველას პოზიცია. მე ბევრ რამეში არ ვეთანხმები არასამთავრობო სექტორის ნაწილს და რატომ უნდა შეიზღუდოს ჩემი უფლება, როცა დემოკრატიულობასა და უფლებების დაცვაზე გვაქვს პრეტენზია?

მართალია მიწვეული ვიყავი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დავესწარი რუსთაველის თეატრში გამართულ მსჯავრდებულთა მონაწილეობით დადგმულ სპექტაკლს, რადგან საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე ვიყავი. ვინც დაესწრო სპექტაკლს, ყველა აღნიშნავდა, რომ მართლაც ძალიან კარგი, მნიშვნელოვანი წარმოდგენა იყო, ამ ემოციურ ფონზე გააკეთა პატრიარქმა განცხადება, რომელიც მავანთათვის გაუგებარი ყოფილა, რაც პირადად ჩემთვის და სხვა უფლებადამცველთათვის გასაგებია. მე რა თქმა უნდა მივესალმები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციას, რომ ის არათუ დაეთანხმა პატრიარქის წინადადებას, არამედ სურვილიც გამოთქვა, რომ საკანონმდებლო ინიციატივით შესულიყო შესაბამის ორგანოებში. ამით რა თქმა უნდა გამოჩნდა პრემიერ-მინისტრის ძალზე დადებითი განწყობა და პოზიცია.

**- ბატონო გიორგი, არასრულწლოვანთა ქორწინებასთან დაკავშირებით შემუშავებულ კანონზეც მინდა გკითხოთ, რომელიც იმ პირთა მკაცრ დასჯას ითვალისწინებს, ვინც არასრულწლოვანთან თუნდაც საქორწინო კავშირში შევა. ზოგიერთ მათგანს უკვე შვილები ჰყავს და რამდენად**



**ჰუმანურია ოჯახის დანგრევა და მცირეწლოვანი ბავშვების წლობით უმამოდ დატოვება? ახალმიღებულ კანონს უკუქმედების ძალა არ ჰქონია, მაშინ ამ პირებზე რატომღა ვრცელდება და საერთოდ რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ამგვარი კანონის მიღება?**

- საერთოდ ყველა კანონი, რომელიც ამძიმებს პირის ბრალეულობას თუ მდგომარეობას, უკუქცევის ძალა არ აქვს, ხოლო შემსუბუქების შემთხვევაში აქვს. რაც შეეხება თავად ხსენებულ კანონს, მისი შემოღება ერთის მხრივ არ არის ცუდი ნაბიჯი, რადგან ხშირად ხდება არასრულწლვანის გათხოვება (მცირეწლოვანისაც კი), არცთუ იშვიათად მისი ნების საწინააღმდეგოდაც კი, რის გამოც ეს ადამიანი განათლების გარეშე რჩება, ნაადრევი მშობიარობა მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, ამიტომ ყოვლად დაუშვებელია ნაადრევი გათხოვება. აქვე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი რელიგიის აღმსარებლობისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, 13-14 წლის გოგონებს ათხოვებენ, რადგან ასეთი ტრადიცია აქვთ, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უნდა იყოს რაღაც დათქმები, რომ არავის უფლება არ შეიზღუდოს, მაგრამ კარგია, თუ ეს ყველაფერი რეგულაციაში მოექცევა და კანონის სახე მიეცემა. რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებით ტელევიზიით გასულ სიუჟეტებს, იმ ადამიანებს უკვე შექმნილი აქვთ ოჯახები, შვილები ყავთ და ისმის კითხვა, სახელმწიფო რატომ უნგრევს მათ ოჯახს, როცა პირიქით, ოჯახის შენარჩუნებაზე უნდა ზრუნავდეს, რა ხდება, ამიტომ ყველაფერი შესასწავლია. თუ მართლაც არის ასეთი მიდგომა, ეს არასწორია, აქ არამარტო საზოგადოების რეაქცია, ხელისუფლების პოზიციაც მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ კეთილი ნება უნდა გამოიჩინოს, რომ ოჯახები არ დაინგრეს, თორემ კანონის უზენაესობას ყველამ უნდა სცეს პატივი, იქნება რიგითი მოქალაქე თუ სახელმწიფო უწყებები. ასე რომ, ხელაღებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ არ უნდა მიეღოთ ეს კანონი, რომელიც გარკვეულწილად ბევრ დადებით შედეგს მოიტანს, მაგრამ ბევრი საკითხიც გასათვალისწინებელია, რომ არავის უფლება არ დაირღვეს.

რა პრინციპით და კრიტერიუმით იწყალებს სახელმწიფო პატიმრებს, ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა მჯელობის საგანი, თუმცა ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებულია, რაც დღესაც გრძელდება. ზოგიერთი მსჯავრდებულს, რომელსაც არ ჩაუდენია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, სასჯელის ნახევარზე მეტიც მოხდილი აქვს და არც შინა განაწესს არღვევს, რატომღაც შეწყალებაზე უარს ეუბნებიან, მავანს კი მძიმე დანაშაულისთვის შეიძლება ერთი წელიც არ ჰქონდეს მოხდილი, მაგრამ პრეზიდენტმა „პატივი დასდოს“ და გაათავისუფლოს. ხომ არ მოქმედებს ამ შემთხვევაშიც შერჩევითობის პრინციპი, ამ კითხვას სულ სხვა ადრესატები ჰყავს, მაგრამ გიორგი თევზაძესაც დავუსვით.

**გიორგი თევზაძე**: „სიმართლე გითხრათ, მაგ პრინციპთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რადგან არასდროს ვყოფილვარ შეწყალების კომისიის წევრი, ფაქტობრივად შეხება არ მქონია ამ პროცესთან. ერთადერთი ის იყო, რომ პატიმრის ოჯახის წევრები განცხადებით მოგვმართავდნენ და საქმის შესწავლის შემდეგ შესაბამის განცხადებას ვუგზავნიდით შეწყალების კომისიას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ, თუმცა ზოგჯერ ნაწილობრივ გაუთვალისწინებიათ, ვგულისხმობ შევარდნაძის მმართველობის პერიოდს. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სულ სხვა მიდგომები იყო, მეტსაც გეტყვით, მაშინ საერთოდ პროკურატურა იწყალებდა, მას ჰქონდა გადამწყვეტი როლი ამ პროცესში. სხვათა შორის, ბოლოს ელენე თევდორაძემაც აღიარა, რომ პროკურატურა მართლაც უხეშად ერეოდა შეწყალების კომისიის საქმიანობაში, უფლებადამცველებმა განცხადება გავაკეთეთ და პროტესტი გამოვთქვით, თუმცა წინა ხელისუფლება კატეგორიულა უარყოფდა ამ ყველაფერს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია პროკურატურა დღეს საერთოდ არ ერევა შეწყალების საკითხში. რატომ არის ის მიდგომები, რაზეც საუბრობთ, უკეთესია შეწყალების კომისიის წევრებს დაუსვათ, ფაქტია, რომ ეს კითხვები არსებობს საზოგადოებაში. მეც მაინტერესებს, რატომ ხდება, რომ ორი ადამიანიდან, რომლებსაც იდენტური პირობები აქვთ, ერთს იწყალებენ, მეორეს არა. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ შეწყალება ძალზე მნიშვნელოვანი და ჰუმანური ნაბიჯია, რაც სამართლიანად უნდა განხორციელდეს თითოეული პატიმრის მიმართ. შეწყალება საერთოდ პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა, მაგრამ არის დადგენილი კრიტერიუმები და ნორმები, მსჯავრდებულს, თუ ნაკლებად მძიმე დანაშაულია მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის 1/3, სხვა შემთხვევაში ნახევარი და ა.შ., თუმცა კონსტიტუციაში ჩადებულია მუხლი, რომ ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია თავად შეიწყალოს, შეიძლება ვინმე გუშინ დააკავეს, მაგრამ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ის გათავისუფლებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესებიდან თუ ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე და ა.შ. მას კანონით აქვს მინიჭებული ეს უფლება და თუ ვინმეს არ მოწონს, მაშინ მოუხსნან.

**- პატიმრის ვადაზე ადრე (ე.წ. უდო) და ჯანმრთელობის მდგომარეობის („აქტიროვკა“) გამო გათავისუფლების მექანიზმები რეალურად მუშაობს თუ შესაბამის კომისიებს ფორმალური სახე აქვს? ჩემი ერთ-ერთი რესპოდენტი, ყოფილი პატიმარი მორეს კურტანიძე მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ავადმყოფი იყო, მისი არაერთი მიმართვის მიუხედავად 2013 წელს, ვითომდა სანიმუშო ყოფაქცევის გამო გაუთავისუფლებიათ.**

- მინდა გითხრათ, რომ ე.წ. აქტიროვკის კომისია შექმნილია არა სასჯელაღსრულების უწყებაში, არამედ ჯანდაცვის სამინისტროში, თუმცა მის მუშაობაში მონაწილეობას სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენლებიც ღებულობენ მონაწილეობას, ანუ უწყებათაშორისი კომისიაა. ეს კომისია რომ არაეფექტურად, გაჭიანურებულ რეჟიმში მუშაობს, თავადაც აღიარებენ. ერთობლივ შეხვედრაზე ამ კომისიის წარმომადგენელმა განგვიცხადა, რომ უამრავი განცხადებაა შესული და მათი მუშაობის არაეფექტურობა გადატვირთვის ბრალია, გასაგებია, მაგრამ მძიმე ავადმყოფი ადამიანის პატიმრობაში დატოვება ყოვლად დაუშვებელია, აქედან გამომდინარე სხვა მიდგომებია საჭირო. ამისთვის ხსენებულ უწყებებთან ერთად სასა-

12 gv.



# ლევან შონია: ჩვენი მიზანია, ყოველი წელი გვქონდეს წინაზე უკეთესი

**ინტერვიუ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, გუბერნატორთან, ბატონ ლევან შონიასთან**

**— ბატონო ლევან, გაზაფხულზე ჩვენ ჩავწერეთ ინტერვიუ, სადაც თქვენ საუბრობდით სამეგრელო-ზემო სვანეთში განხორცილებულ და განსახორცილებელ პროექტებზე. მოდით, შევაჯამოთ მიმავალი წელი, მოგვიყევით, რა გაკეთდა, რის განხორციელება ვერ მოახერხეთ?!**

— ჩვენი მუშაობის სტილი და მიზანია, ყოველი წელი გვქონდეს წინაზე უკეთესი.

ასე დავიწყეთ 2012 წლიდან მთელ ქვეყანაში, ასეა ჩვენს რეგიონშიც.

2015 წელს რეგიონში არაერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. 600-მდე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი და რეგიონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან 1100 პროექტი უკვე წარმატებით დასრულდა.

თუმცა ჩვენთვის უმთავრესი მაინც მოქალაქეა. სწორედ ისინი გვკარნახობენ, რა უნდათ, რომ გაკეთდეს რეგიონში, ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, ქუჩებში. ისინი გვიკვეთენ, გვირჩევენ, გვთხოვენ, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს და ასე ვმუშაობთ.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი არაერთი გზის პროექტი უკვე დავასრულეთ. მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის გზა დავაგეთ თეკლათი-ჭალადიდის მონაკვეთზე, ასევე კონფლიქტისპირა სოფლებში: **რიყეში, ფახულანში,** ამ სოფლებში გზის პრობლემა 30 წელზე მეტია ვერ მოგვარდა. იქაურ მაცხოვრებლებს დღეს თანამედროვე ინფრასტრუქტურა აქვთ ახალი განათებით, სანიაღვრეებით, გაბიონებით... გზები დავაგეთ ისეთ ადგილებში, სადაც ასფალტიანი გზა არასდროს ყოფილა. მაგალითად, **მარტვილში ქვაითის გზა** და ა.შ. აქაური მაცხოვრებლები, მართალია, ტერიტორიულად ახლოს არიან მარტვილის რაიონის ცენტრთან, მაგრამ იმის გამო, რომ გზა არ იყო მოწესრიგებული, გადაადგილება ძალიან დიდ დროს მოითხოვდა, მსუბუქი მანქანები თითქმის ვერ მოძრაობდნენ ამ მონაკვეთზე. დღეს ეს პრობლემა სრულად არის მოხსნილი.



რიყის გზა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)

საქმე ისაა, რომ განხორციელებული პროექტების, გაკეთებული საქმეების ჩამოთვლა ჩემთვის რამდენადმე ძნელია, ისე, არცთუ ცოტა გვიშრომია, თვალი რომ გადავავლე, ამიტომაც ვიქნები ამჯერად თამამი და კმაყოფილებით აღვნიშნავ, ჩვენ მოვახერხეთ **ნოქალაქევი-ლეძაძამე-დიდიჭყონის** გზის **მიკოტახილის** მონაკვეთზე თანამედროვე ტიპის გზის დაგება. მართლაც უზარმაზარი შრომა ჩაიდო ამ საქმეში. ბევრმა შეიძლება არ იცის, მაგრამ გზის ეს მონაკვეთი ძალიან პრობლემური იყო, ფაქტობრივად, გაუვალი. ამ მონაკვეთზე მსგავსი მასშტაბის რეაბილიტაცია არასდროს განხორციელებულა.

სამუშაოებზე 4,2 მილიონი ლარი დაიხარჯა.

დასაქმდა 230-მდე მოქალაქე, მათი 90% ადგილობრივი მაცხოვრებლები იყვნენ.

**— რამდენადაც ვიცი, რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.**

— ჩვენ გვესმის — რეგიონში მოსახლეობა რომ დამაგრდეს, უმთავრესია მათ ჰქონდეთ ყველა შესაძლო კომუნიკაცია. წელს რეგიონში არაერთი სოფლის გაზიფიცირება მოვახდინეთ. კონფლიქტისპირა სოფლებში მოქალაქეებს უსასყიდლოდ დავუმონტაჟეთ სახლებში გაზი. არის ახალი გზა, ახლა უკვე ოჯახებში მუდმივი გაზი და წყალი. გაზიფიცირების პროცესი რეგიონში გრძელდება, მომავალ წელს ყველა სოფლის გაზიფიცირება მოხდება.

აქვე გეტყვით, რომ წლეულს ძალიან დიდი, 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტები განხორციელდა **ფოთსა** და **ანაკლიაში**. ამ კუთხით ძალიან დიდი პრობლემაა ქალაქ **ზუგდიდში**. რეალურად, ყველაფერი, ყველა კომუნიკაცია ხელახლაა გასაკეთებელი. თუმცა, უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ შეთანხმება მიღწეულია და ზუგდიდისთვის, შეიძლება ითქვას, საუკუნის უმნიშვნელოვანესი პროექტი ძალიან მალე დაიწყება.

წყლით უზრუნველყოფის პროექტები ხორციელდება რეგიონის არაერთ სოფელში. იმ ადგილებსა და დასახლებებში, სადაც ონკანის წყალი არასდროს ჰქონიათ. მოსახლეობა დამოკიდებული იყო ჭის წყალზე. ჭები ზაფხულობით შრებოდა და მუდმივად წყლის დეფიციტი იქმნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს საკითხს სრულად გადავუწყვეტთ ჩვენს მოსახლეობას.

ბიუჯეტიდან ასიათასობით ლარს ვხარჯავთ ნაპირსამაგრ სამუშაოებზე. მაგალითისთვის გეტყვით, რომ **დაბა ჯვარში,** მდინარე **მაგანაზე** 162 ათასი ლარის სამუშაოები განვახორციელეთ, **კირცხში** 123 ათასი ლარისა და ა.შ. ამიერიდან, წყალდიდობების დროს, მდინარე ეზოებსა და სახლებში მოსახლეობას ველარ შეუვა. **ლახამულაში** აშენდა არხი, რომელიც სტიქიის შემთხვევაში ღვარცოფს უპრობლემოდ გაატარებს, ამ არხის არარსებობა მოსახლეობის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს. ყოფილა შემთხვევები, წყალი პირდაპირ მოსახლეობის სახლებში შევარდნილა. რა თქმა უნდა, საფრთხის ქვეშ იდგა ადამიანების სიცოცხლე...

რომ გითხრათ, ყველაფერი გავაკეთეთ-მეთქი, ცხადია, მართალი არ ვიქნები. კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი, მათ შორის, ნაპირსამაგრები წყალუხვ მდინარეებზე და ვაპირებთ, 2016 წელსაც ინტენსიურად გავაგრძელოთ მსგავსი ტიპის სამუშაოები. სტიქიამ ზიანი ვერ უნდა მოგვაყენოს, ჩვენმა მოქალაქეებმა უფრო დაცულად უნდა იგრძნონ თავი.



24 საათიანი წყალმომარაგება – სენაკი

**— ჩემთან საუბარში ადრე თქვით, რომ მიმდინარეობდა სკოლების რემონტი, საბავშვო ბაღების მშენებლობა და ა.შ. ამ კუთხით რა მდგომარეობაა?**

— ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საბავშო ბაღების მშენებლობაა. წლეულს რეგიონში არაერთი ახალი ბაგა-ბაღი შევიდა ექსპლუატაციაში. სრულად გარემონტდა ბევრი საბავშვო ბაღი. ახალი ბაღების მშნებლობა მიმდინარეობს **ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, აბაშაში, მესტიაში**...

წლეულს გავარემონტეთ სკოლები სოფელ **მეორე ჭოლაში, კიწიაში, ლესიჭინეში**. ამ სოფლებში სკოლები სასწრაფო და გადაუდებელ რემონტს საჭიროებდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა პროფესიულ სასწავლებელს — **„ლაკადას“ ქალაქ ჯვარში, ზუგდიდში** აშენდა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

**— სოციალური კუთხით რა სიახლეები გაქვთ?**

— სოციალური სფერო ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. დღეს საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელიც ყველა მის წინამორბედზე მეტად ორიენტირებულია ხალხზე. ზუგდიდში ხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტი ჩვენი მოსახლეობისთვის.

**— კონკრეტულად?**

— მოგახსენებთ. მაგალითად, ონარიას დასახლებაში, სადაც 100-ზე მეტი ოჯახი, გასული საუკუნის 40-იანი წლების ავარიულ ბინებში ცხოვრობდა, ეშინოდათ წვიმის, ქარის წამოქროლების, თოვლის, დღეს მთლიანად ამ დასახლებაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება - იცვლება ყველა სახლის სახურავი, აივნები, ხდება სახლების რეაბილიტაცია, დასახლებას უკვე აქვს წყალი, რომელიც არასდროს ჰქონიათ, არის გაზი და სხვა კომუნიკაციები.



დევნილთა დასახლება ზუგდიდში

**მნიშვნელოვანია ასევე პროექტი, რომელიც ზუგდიდში ხორციელდება და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ახალი სახლების აშენებას ითვალისწინებს. ეს სახლები მათ დღე-დღეზე, ახალ წლამდე გადაეცემათ. მინდა იცოდეთ, რომ სახლებში არის სრული რემონტი და ყოველგვარი საჭირო კომუნიკაცია.**

ეს პროექტი დასახელებულია ერთ-ერთ საუკეთესოდ და ის აუცილებლად გაგრძელდება მომავალ წელსაც.

ჩვენს რეგიონში მსგავსი პროექტები სხვა მუნიციპალიტეტებშიც ხორციელდება. მაგალითად, **ხობში,** იქ ადგილობრივი ხელისუფლება უსახლკარო და მძიმე სოციალური ფონის მქონე მოქალაქეებს აძლევს სამშენებლო მასალას, **ჩხოროწყუს** გამგეობამ კი რამდენიმე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს ახალი სახლები აუშენა, ზოგიერთ მათგანს ახალი საცხოვრებელი ბინები და სახლები უყიდა.

**— რეგიონში ბევრი დევნილია.**

— ჩვენი მთავრობის ერთ ერთი უმთავრესი საზრუნავი დევნილებია, ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი მიატოვეს, ცხოვრების ხელახლა დაწყება მოუწიათ. დევნილთა სამინისტრომ ზუგდიდში წელს 320 დევნილ

ოჯახს ახლადაშენებულ დასახლებაში გადასცა საუკეთესო ბინები, ახალი ბინები გადაეცა სოფელ **ახალსოფელში** დევნილ ოჯახებს. ბარამიას ქუჩაზე, ზუგდიდში ამჟამად მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა დევნილებისთვის. მიხარია, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს, ჩვენს დევნილებს, იმ სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში არ მოუწევთ გამოზამთრება, სადაც აქამდე ცხოვრობდნენ. ისინი გამოვიყვანეთ ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ადგილებიდან და შევეცადეთ ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეგვექმნა მათთვის. ბევრი ისევ რჩება მძიმე პირობებში, მაგრამ სწორედ მათთვის ვაშენებთ ახალ საცხოვრებებლებს, სრული ძალების მობილიზებით შევეცდებით, რეგიონში თითოეულმა მოქალაქემ თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს.

ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისთვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესია სპორტი. ამ განწყობით დავიწყეთ წელს ზუგდიდის სტადიონის მშენებლობა, იგი უეფას სტანდარტების იქნება. გავარემონტეთ სტადიონები **აბაშაში, მარტვილში**. რეაბილიტაცია ჩავუტარეთ სპორტსკოლებს, ავაშენეთ მინი-მოედნები, **მულახში** ვაშენებთ ძალიან მაღალი დონის სპორტკომპლექსს. სენაკში აღვადგინეთ ცხენოსნობის კლუბი, მოედანი.


მშენებარე საავადმყოფო რუხში


ფოთის მეექვსე საბავშვო ბაღი

ძალიან დიდი საჩუქარი გაუკეთა რეგიონს ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა**, რომელმაც ფოთში ააშენა სარაგბო კომპლექსი. რაც უმნიშვნელოვანესი სპორტული ობიექტია ჩვენი რეგიონისთვის.

სრულდება ზუგდიდის ყინულის სასახლის ბოლო ეტაპიც.

რეგიონი წელს გამოირჩეოდა კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მხრივ, სრული რებილიტაცია მიმდინარეობს ზუგდიდს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა **ჯვარის კულტურის სახლს**.

დაიწყო **ნიკო დადიანის** სასახლის რესტავრაცია.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც **სქურის მეათე საუკუნის მონასტრის აღდგენა** იყო. ამ საქმეში დიდი წვლილი კულტურის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიუძღვის. მონასტრის ტერიტორიაზე მხოლოდ ნანგრევები იყო, რესტავრატორებმა აღადგინეს ძეგლი ისე, რომ შეძლებისდაგვარად შეუნარჩუნეს პირვანდელი სახე და ავთენტურობა.

შეუძლებელია არ აღვნიშნო, რომ **ძალიან მალე კონფლიქტისპირა სოფელ რუხში გვექნება თანამედროვე სავაჭრო კომპლექსი ინფრასტრუქტურით, მომსახურეობის სერვისებით და რაც უმთავრესია, ეს პროექტი მეტად დაგვაახლოვებს ჩვენს აფხაზ დებთან და ძმებთან**. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანეს პროექტი ხორციელდება რუხში, სადაც მულტიპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს იქნება სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ექნება ყველა სერვისი, ყველა ინფრასტრუქტურა, თავისი ვეტმფრენის ასაფრენით ავადმყოფების გადასაყვანად და სხვა საჭიროებებისთვის. კლინიკა ექვსსართულიანი იქნება. ექვსივე სართული უკვე აშნებულია. მომავალ წელს კლინიკის სრული რემონტი განხირციელდება და ამით ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** კიდევ ერთი დაპირება შესრულდება. მან რეგიონში სტუმრობისას, ჯერ კიდევ 2012 წელს მისცა მოსახლეობას დაპირება ახალი კლინიკა აშენდება რუხშიო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს რეგიონს ამოუწურავი ტურისტული შესაძლებლობები აქვს. თუმცა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით სატრაბახო ნამდვილად არ გვაქვს. ინტენსიური სამუშაოები ამ მხრივ მიმდინარეობს, ვეძებთ სპონსორებს, ვგეგმავთ ახალ პროექტებს, ვფიქრობთ სიახლეებზე.

წელს გავხსნით სამთო-სათხილამურო **კურორტ თეთნულდს**. ეს არის თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე კურორტი, რომლის მშენებლობაზე 100 მილიონი ლარი დაიხარჯა. მომავალი წლისთვის განხორციელდება მარტვილის კანიონის განვითარების პროექტი, მოეწყობა ინფრასტრუქტურა, უკვე დაიწყო **ზუგდიდის უნიკალური ბოტანიკური ბაღის** აღდგენა-განვითარება, რაც ამ უიშვიათესი ბაღის გადარჩენისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. აქვე მოეწყობა შიდა ინფრასტრუქტურაც.

გვაქვს მეგაპროექტებიც — **ნენსკრა ჰესი** და **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი**, რომელიც, შეიძლება ითქვას, რეგიონის განვითარების ახალი ეტაპი იქნება. ათასობით რეგიონის მაცხოვრებლის დასაქმება იგეგმება მშენებლობის პროცესშიც და შემდეგ ეტაპებზეც. ორი კონსორციუმი უკვე გამოვლენილია. ამ ორიდან ერთს მთავრობა დაასახელებს.

თვით ანაკლიის განვითარებას ორი მიმართულებით ვგეგმავთ. პირველი — პორტი, მთლიანი ინფრასტრუქტურით, ანაკლიის მეორე მხარე იქნება ფესტივალების ადგილი. წელს უკვე ჩავატარეთ ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „ჯემ ფესტ“ - ფესტივალზე უამრავი საერთაშორისო და შიდა ტურისტი ვიხილეთ. ანაკლიაში უკრავდნენ მსოფლიო დონის მუსიკოსები. სარგებელი ნახა ადგილობრივმა მოსახლეობამაც, გააქირავეს სახლები, გაყიდეს პროდუქტი და ა.შ.

**— ყური მოვკარი, საახალწლო საჩუქარსაც უმზადებთ დევნილებს.**

— **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 16 სოციალურად დაუცველ ოჯახს საახალწლოდ ახალი, კეთილმოწყობილი სახლები გადაეცემათ**. **მუნიციპალიტეტის თექვსმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში სახლების მშენებლობა ბოლო ფაზაშია შესული**.

კეთილმოწყობილ სახლებთან ერთად ბენეფიციარებს მზის გამათბობლებიც დაუმონტაჟდებათ. სოციალურად დაუცველთა სახლების მშენებლობისთვის 380 ათასი ლარი დაიხარჯა. პროექტი ამით არ შეწყდება, მშენებლობები 2016 წელსაც გაგრძელდება, რისთვისაც ბიუჯეტში ნახევარი მილიონი ლარია გათვალისწინებული. ზუგდიდის გამგეობაში თანხის გაორმაგებაზეც მუშაობენ.

სოციალურად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებს, რომლებიც სპეციალურმა კომისიამ შეარჩია, სახლები უშენდებათ და მომავალი წლის დასაწყისში ბინები მათაც გადაეცემათ. მინდა იცოდეთ, რომ აქცენტი იმ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გაკეთდა, ვინც ავარიულ სახლებში ცხოვრობდა.

პროექტს აქც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს.


მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე

**— თქვენთან საუბრის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: ბევრი რამ გაგიკეთებიათ, ბევრი გიშრომიათ, ბატონო ლევან!**

— ერთი კაცი, ოცდაოთხი საათი რომ იშრომოს, მაინც ვერაფერს გახდება, თუ გვერდით არ ჰყავს საქმის ერთგული და თავდადებული ადამიანების გუნდი.

მეამაყება და მიხარია, რომ ჩვენ შევძელით მართლაც მონოლითური გუნდის შეკვრა, რომლის თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ საქმეს და მოვალეობებს.

ამ გუნდის წევრად მივიჩნევ არა მხოლოდ ადმინისტრაციას და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, არამედ რეგიონში მცხოვრებ ყველა პატიოსან და მშრომელ ადამიანს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ყველას, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის წინსვლა-განვითარებაში და ყველას წინასწარ მოგილოცოთ ახალი წელი!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18
**ზუგდიდი-თბილისი**


ნენსკრა-ჰესის მშენებლობის დაწყება

# თუ ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობის“ მიერ კანონმდებლობაში სპეციალურად დატოვებული ხვრელები დროულად არ ამოქოლა, ცილისწამებების და პროვოკაციების ნიაღვარი სახელისუფლებო სტრუქტურებს მთლიანად დაანგრევს

8 gv.


ლევან რამიშვილი

**— როგორ ფიქრობთ, ამ პროცესებს უხილავი ხელი ხომ არ მართავს, რომელიც ქართული სახელმწიფოს აშენებით დაინტერესებული არაა?**

— ეს უხილავი ხელი ყოველთვის იტრიალებს, სანამ საკანონმდებლო დონეზე მისი არსებობისთვის ნოყიერი ნიადაგი იქნება. და ეს მხოლოდ ერთი ხელი კი არ იქნება, არამედ იმდენი რამდენიც კონკრეტულ ძალას ან ძალთა ერთობას დასჭირდება იმისთვის, რომ არასასურველი კონკურენტები გზიდან ჩამოიშოროს. სიმართლე ერთია, მაგრამ ტყუილის მთქმელს ბევრი ვერსიის მოფიქრება შეუძლია, შედეგად, ელექტრომედიისა და პრესის მთავარ მომხმარებელს კონკრეტული ქმედებებიდან დასკვნების გაკეთება უჭირს და იბნევა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ერკვევა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და იმ ვერაგ მოქმედებებში, რაც „ნაცმოძრაობამ“, კონკრეტულად, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ თავის დროზე გააკეთა. ფაქტია, რომ დღეს ამ შედეგებს ვიმკით და კიდევ დიდხანს მოვიმკით იმიტომ, რომ ხალხის მიერ არჩეულ „ქართულ ოცნებაში“ არ არსებობდა ამ ინიციატივის დაყენების პოლიტიკური ნება, რათა ურემი არ გადაბრუნებულიყო და ასეთი ცილისმწამებლური პოლიტიკის შედეგად სერიოზული ზიანი არ მიგვედო.

**— ბატონო დიმა, ისევ ქართულ მედიაში არსებულ განუკითხაობას დავუბრუნდეთ. მაგალითად, ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორს თითქოს ყოველკვირეულად სახელმწიფო საიდუმლოების ამსახველ კადრებს აჩვენებენ, რასაც მერე გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავს. ასევე, თითქოს, ერტ-ერთ მაღალჩინოსანთან შეთანხმებით ბეჭდავს „ქართული ოცნებაში“ ჩანერგილი აგენტების სიას და ა.შ. რას ნიშნავს ეს? რას აკეთებს ამ დროს შესაბამისი სამსახურები — პროკურატურა, უშიშროება და ა.შ.?**

— მახსენდება, ბრიტანულ ტაბლოიდთან დაკავშირებული სკანდალი, როცა აღმოჩნდა, რომ ტაბლოიდი სასურველი პირების მოსმენაში პირდაპირ იყო ჩართული. წარმოიდგინეთ, გაზეთის რედაქციაში არსებობდა რაღაც საიდუმლო ელექტრონული ყუთი, საიდანაც სასურველი რესპონდენტების პირად საუბრებს უსმენდნენ და მიღებული ინფორმაციით სტატიებს წერდნენ. განვითარებულ დემოკრატიებში მომხდარი ასეთი ფაქტები და ამასთან დაკავშირებული სკანდალები, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენ, ამ მიმართულებით, სადღაც განვითარების ჩანასახოვან სტადიაზე ვართ და თითქოს, გასაკვირი სულაც არაა ჟურნალისტი წერდეს სპეცსამსახურებში ნანახი გარკვეული ინფორმაციების შესახებ, ასევე, იმას, რომ მას შეხვედრები აქვს აგენტურასთან, მასთან თანამშრომლობენ „სუსის“ სპეცსამსახურები და ა.შ. რატომ ხდება ეს? — იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიც, საკანონმდებლო დონეზე, სერიოზული ხარვეზია. იმიტომ, რომ ქვეყანაში ჟურნალისტი და პარლამენტარი მანიპულირებს იმით, რომ უფლება აქვთ გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი წყარო არასდროს დაასახელოს. ანუ როცა ჟურნალისტი ამბობს ინფორმაცია წყარომ მომაწოდაო, მას კანონი იცავს, რათა წყაროს ვინაობა არასოდეს არ იქნეს გამხელილი. ასევე, პარლამენტის წევრს მისი საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელების დროს მიღებული ინფორმაციის მიუხედავად, უფლება აქვს წყარო არ გაამჟღავნოს. აქაც, საკანონმდებლო თემებია დასალაგებელი, რათა ყველაფერი ჩარჩოში მოექცეს. მაგრამ მეორე მხრივ, საქართველოს სპეცსამსახურს ეს სახელწოდება იმიტომაც ჰქვია, რომ მისი სამუშაო რეჟიმი საიდუმლოა და ამას შესაბამისი კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომელიც საიდუმლო საქმიანობაზე დაშვების რეგლამენტაციას ახდენს. ვინც არ უნდა იყოს — ჟურნალისტი თუ პარლამენტის წევრი



თუ იგი საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების შესახებ კანონს არღვევს, მაშინ ასეთი საკითხზე რეაგირება საქართველოს პროკურატურის ვალდებულებაა.

ძალიან რთული სიტუაციაა იმ თვალსაზრისით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ ახერხებს ერთმანეთისგან გამიჯნოს სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმა და ისეთი წყალგამყოფი გაატაროს, რომლითაც ერთი მხრივ, ვინც არ უნდა იყოს იგი, მადა შეეზღუდოს უდანაშაულო ადამიანს თავს დაესხას, ხოლო მეორე მხრივ, სიტყვისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლებით მონიჭებულ ფარგლებში ხელი შეუწყოს ანალიტიკური სტატიების, წერილების წერას. როგორი ეჭვიც არ უნდა გქონდეს სხვა პირის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, უნდა არსებობდეს დადგენილი წესი და არა ვარაუდი, ჟურნალისტი ლოგიკური ჯაჭვის განვითარებით უნდა მივიდეს იმ უტყუარ დასკვნამდე, რომ სახეზეა კონკრეტული გადაცდომა. ეს იქნებოდა მაღალი ეთიკური ნორმების დაცვის პრეცედენტი, მაგრამ ამის გაჩენას სჭირდება განათლებული, მაღალრესურსული ჟურნალისტიკა. მე, ყოველთვის ვერიდები ჟურნალისტებზე პერსონიფიცირებულად აზრის გამოხატვას, მაგრამ კრებით სახელში ვიტყოდი, რომ ჩვენი ჟურნალისტთა კორპუსის ძალიან დიდი პროცენტი სამწუხაროდ, სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, რაც ყოველდღიურ პერიოდიკაში ჩანს.

**— ბატონო დიმა, საუბრის დასაწყისში ტქვენ ახსენეთ ყოველწუთს სასამართლოში ვერ ვირბენთ, რაიმე კომისია უნდა არსებობდესო. როცა ასეთი საინფორმაციო ომია გაჩაღებული, სამართალდამცავი რამდენად უნდა დაელოდოს შემოტანილ საჩივარს, მას დამოუკიდებლად რეაგირება არ შეუძლია?**

— სანამ 148-ე მუხლს ამოიღებდნენ, მანამდე იგი როგორც კერძო ბრალდების რიგ თანამდებობად ისე ითვლებოდა და ძიება აუცილებლად მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც კონკრეტული პირი სამართალდამცავ ორგანოებს განცხადებით მიმართავდა. დღესდღეობით, ამის საჭიროებას ვეღარ ვხედავ იმიტომ, რომ როდესაც პირის დადანაშაულება ხდება ნებისმიერ დანაშაულში, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული ამის განსაზღვრა და კვალიფიკაციის მინიჭება სტაჟიორი პროკურორისთვისაც ძალიან იოლი რამ იქნებოდა. ასე, რომ ამას არ დასჭირდებოდა დაზარალებულის მხრიდან მიმართვა. როდესაც ჟურნალისტი ვინმეს ადანაშაულებს, ხოლო ეს პირი აღნიშნულ დანაშაულს კატეგორიულად უარყოფს და თანაც, ამ დროს, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში სათანადო არგუმენტები და მტკიცებულებები არ ჩანს, ბუნებრივია, პროკურატურა, საგამოძიებო ორგანოები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გამოძიება დაიწყონ. დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული მხარეს არ წარმოადგენს და მის უფლებებს მთლიანად პროკურატურა იცავს. ასე, რომ ეს დამატებითი არგუმენტია იმისა, თუ რატომ უნდა იცავდეს პროკურატურა, ამ შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მე, პირადად, მხარს ვუჭერ იმ მოსაზრებას, რომ პატრიარქს პატიმრის შეწყალების ექსკლუზიური უფლება მიენიჭოს

9 gv.

მართლოც უნდა ზრუნავდეს. მე არ ვამბობ, რომ ეს კომისია არ მუშაობს, მაგრამ შედეგი უმნიშვნელოა, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას უკავშირდება, მოუცლელობის მომიზეზება გაუმართლებლად მიმაჩნია. რაც შეეხება ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიას, სასჯელაღსრულების მინისტრის შეცვლამდე ვერ გავიგე რა ფუნქციას ასრულებდა. ეს კომისია ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს, მისი მუშაობის თითქოს უფრო მეტ საჯაროობაზე დაიწყეს საუბარი. შაშკინამდე მხოლოდ სასჯელაღსრულების პროკურორი და უწყების თანამშრომლები იღებდა მონაწილეობას, მერე ვითომ უფრო გამჭვირვალე გახადეს და კომისიაში შეიყვანეს, ერთი პარლამენტარი, სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ერთიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი. შეიკრიბა ხსენებული სექტორის წარმომადგენლები და აირჩიეს ხუთი წარმომადგენელი, ვინც როტაციის პრინციპით, ხსენებული კომისიის წევრი უნდა ყოფილიყო. ნდობაგამოცხადებულ პირებში ჩემთან ერთად იყვნენ ლია მუხაშავრია, მანანა კობახიძე, თამარ ხიდაშელი და ერთი ბათუმელი ჟურნალისტი, მისი გვარი აღარ მახსოვს. მერე იქ რაღაც გაუ-



გებრობა მოხდა, ვინც ვერ მოხვდა ამ ნდობის ჯგუფში, ცალ-ცალკე შეიტანეს მოთხოვნები, 47-მდე განცხადება შეგროვდა, ხელახლა შეირჩა ხუთი წარმომადგენელი, მათ შორის მე და მანანა კობახიძე კვლავ მოვხვდით. მინისტრმა შაშკინმა საკონსულტაციო საბჭო შექმნა და სამოქალაქო სექტორის პირველ წარმომადგენლად კოტე კემულარიას არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი მესტვირიშვილი დაამტკიცეს. რა თქმა უნდა არავითარი როტაცია აღარ მომხდარა, ბრეჟნევივით ეს გოგონა იყო ბოლომდე ჩვენს წარმომადგენლად. სიმართლე გითხრათ, გული არც დაგვწყვეტია, რადგან „უდოს“ კომისიაში ერთი ადამიანის აზრს მაინც არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ კომისიის მიმართ დიდი უკმაყოფილება იყო პატიმრებში, რადგან ბევრს ეკუთვნოდა ვადამდე გათავისუფლება, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ, თუმცა მიზეზს ვერ ასაბუთებდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გარკვეული რეფორმები გატარდა სასჯელაღსრულების სფეროში, დაიწყო გადახალისება და ვფიქრობ, ეს კომისიები ეფექტურად ამუშავდება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქვე მინდა აღვნიშნო, პატიმრებისგან შემოსულ განცხადებებში (ძალიან ინტენსიურად შემოდის ეს განცხადებები) პრეტენზია სასჯელაღსრულების უწყების კი არა, ხელისუფლების მიმართაა, მათი ძირითადი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენა, საქმეების გადასინჯვა, უკმაყოფილოები არიან ხელისუფლებამ დანაპირები რომ არ შეასრულა, პირდაპირ წერენ, კოალიცია „ქართული ოცნება“ ციხის კადრების მეშვეობით მოვიდა ხელისუფლებაში, ჩვენი ოჯახის წევრებმა არჩევნებში მათ ხმა იმიტომ მისცეს, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედი გვქონდა და ახლა ყურადღება მოგვაქციეთო, სავსებით სამართლიანია მათი გულისწყრომა. ხელისუფალთ რატომღაც დაავიწყდათ დანაპირები, ალბათ მომავალი არჩევნების დროს გაახსენდებათ.

**- მისცემენ კი სამართლიანობის აღდგენის უფლებას ჩვენს მთავრობას ოკეანისგაღმელი „ბოსები“, რომელთაც ამ ეტაპზე ძალზე მკაცრი „მეფისნაცვალი“ დაგვინიშნეს, ხომ ხედავთ რა ამბავი ატყდა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით? აქვე მინდა გკითხოთ, ჩვენი ინფორმაციით, 10.000 პატიმარი იხდის სასჯელს, საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის ძალიან დიდი ციფრი ხომ არ არის?**

- ვინმესგან უფლების მიცემაში არ არის საქმე, ხელისუფლება გუნდურად სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და არა ვიღაცის პოზიციის გათვალისწინებით, არავის უნდა მიაქციონ ყურადღება, როცა საქმე ქვეყნის და საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს ეხება. პატიმრების ძირითადი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა, თუმცა არის გარკვეული პრეტენზიები სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით და მათი უფლებების დაცვის კუთხით. სასჯელაღსრულების ახალმა მინისტრმა რამდენიმე დღის წინ ოფიციალური ბრძანებით საკონსულტაციო საბჭო შექმნ, ამ სათათბირო ორგანოს წევრი მეც გახლავართ, პირველი სხდომა მალე გაიმართება. რამდენად ეფექტური იქნება ეს საბჭო ჯერ ვერაფერს გეტყვით, მოწადინება დიდია, მარტო შეხვედრად არ უნდა დარჩეს ჩვენი შეკრებები, წარმოდგენილი უნდა იქნეს რეკომენდაციები, შეჯერდეს გარკვეული საკითხები, მთავარია რა ბერკეტი ექნება ამ საბჭოს. ჩვენ მანამდეც არ გვიჭირდა მინისტრ კახიშვილთან ურთიერთობა და კომუნიკაცია, სხვას რომ თავი დავანებოთ, წლების მანძილზე მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს ბატონ კახისთან, აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით კანონმდებლობის დახვეწაში. ძალიან ბევრი ცვლილებები შედის პრობაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, სხვა მიმართულებითაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და ამ საქმეში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა, ვფიქრობ დადებით შედეგს მოიტანს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# როცა მესმის, ელისაშვილი პატიოსანი ბიჭიაო, სულ ის ბიჭები მახსენდება, „კავკასიის“ ეთერში რომ დაამწკრივეს და საპატიმროს გზას გაუყენეს

*ბოლო ერთი კვირაა, „აქუს ბუტკის“ ე.წ. ჟურნალისტს და თბილისის ჰამქარის კინტოს, აწ კი საკრებულოში შემთხვევით მოხვედრილ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს „გონება გაეხსნა“ და იმ ამბების გახსენება დაიწყო, რასაც თურმე ამდენი ხნის განმავლობაში საგულდაგულოდ მალავდა... არადა, როგორც ირკვევა, არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვისი დანაშაულის დაფარვასაც წარმატებით ახერხებდა და ჭირმა ბოლომდე თავი რომ ვერ დამალოს, მოდით, ახლა მე თქვენ იმ ამბავს გაგახსენებთ, რომელიც 2010 წლის 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიაში“ ხდებოდა, სადაც წარსულში „ჟურნალისტი“ ელისაშვილი აგრერიგად „გმირულად“ ირჯებოდა...*



ყველაფერი ერეკლე დეისაძის წიგნის „საიდუმლო სირობით“ დაიწყო. ქართული საზოგადოება იმდენად აღშფოთდა, რომ ქუჩაშიც გამოვიდა, არადა, საზოგადოება იმაზეც ღელავდა, რომ აღნიშნულ მკრეხელობას ილიაუნის უნივერსიტეტმა გაუღო კარი და პრეზენტაციაც იქ მოეწყო.

4 მაისს, გიგა ბოკერიას ცოლის „ტაბულოჩკა ტამარას“ „საიდუმლო სირობა“ შედგა, სადაც გადაწყდა, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრების დაპატიმრება აუცილებელი იყო, რადგან მათივე თქმით ისინი თავს გავიდნენ. სამი დღის შემდეგ 7 მაისს ტელეკომპანია კავკასიის“ გადაცემა „ბარიერში“ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრებს „აქუს ბუტკაში“ ეპატიჟებიან და გადაცემა მიჰყავდა „კნეინა ჯანგირას“, რომელიც გადაცემა „ბარიერის“ დასაწყისშივე ავლენდა მიკერძოებას, ე.წ. ლიბერალური ფრთისადმი, რომელიც წარმოდგენილი იყო ვინმე თეო ხატიაშვილით, ბექა მინდიაშვილით და „ნაცი“ სერგო რატიანით... მეორე მხარეს კი წარმოადგენდნენ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრები — ლევან ჩაჩუა, დავით შალამბერიძე, ჯაბა გურჩიანი, მალხაზ გულაშვილი, რატი მაისურაძე და სხვები. როგორც „აქუს ბუტკაში“ სჩვევიათ, სიმართლისა და მართლმადიდებლური მრწამსის დამცველებს სიტყვის დამთავრებას არ აცდიდა „კნეინა ჯანგირა“, თუმცაღა, როდესაც ბექა მინდიაშვილის მიერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო, თითქოსდა „მართლმადიდებლური მშობელთა კავშირი“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფაშისტური ორგანიზაციები არიან და წარმომადგენლები კი ფაშისტები, ამის შემდეგ ბექა მინდიაშვილი, ვინმე თეო ხატიაშვილი და სერგო რატიანი თანმხლები პირებითურთ სტუდიიდან გავიდნენ, ამ დროს ყვირის ნინო ჯანგირაშვილი, გარეთ რაღაცა ხდებაო და ამ შეძახილით ნელ-ნელა ძაბავს სიტუაციას სტუდიაში. დაახლოებით 15-17 წუთიანი წყვეტის შემდეგ, გადაცემა „ბარიერი“ გაგრძელდა, სტუდიაში შემორბიან ტელეკომპანიის თანამშრომლები, ვითომცდა ტუჩგახეთქილი აქუბარდიაც გამოჩნდა, რომელიც მალხაზ გულაშვილს და ლევან ჩაჩუას უმტკიცებდა თქვენმა ბიჭებმა მცემეს გარეთო. ჯანგირაშვილმაც იგივე გაიმეორა, რომ ტელეკომპანიის ეზოში მოხდა ჩხუბი და რომ სცემეს ბექა მინდიაშვილი და მისი თანამშრომლები. მოხდა უპრეცენდენტო რამ საქართველოს მედიაისტორიაში, **ქართველმა ჟურნალისტებმა — ჯანგირაშვილმა, აქუბარდიამ და ელისაშვილმა პირდაპირ ეთერში დააპატიმრებინეს სააკაშვილის ხროვას უდანაშაულო ადამიანები,** არადა, იმთავითვე ჩანდა, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ ბანდა ვიღაცის დირექტივებით იმართებოდა და ჯანგირ ხანუმიც ზედმიწევნით კარგად ასრულებდა ამ დირექტივას. უცნაურია, მაგრამ როდესაც სასამართლო სხდომები დაიწყო, ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ წარმოდგენილ ვიდეოკასეტებში, სადაც დაკავებულების ბრალეულობა უნდა დაფიქსირებულიყო, ჩანაწერში ჩხუბის, გინების და გადაცემის ჩაშლის მცდელობის არცერთი კადრი არ არსებობდა. ჩვენ ყველამ ვნახეთ როგორ მშვიდად იჯდა კადრში ლევან ჩაჩუა, მალხაზ გულაშვილი, ხოლო ჯაბა გურჩიანმა როგორ აიღო მიკროფონი და თქვა — „ნუ შემიგინებთ ღვთისმშობელს!“

საინტერესოა, დღეს რომ პირი დააღო ელისაშვილმა და იხსენებს „მოგონებებს გარდასულ დღეთა“, ის თუ ახსოვს, უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებაში ლომის წვლილი რომ შეიტანა?!.. თუმცა რა ემახსოვრება, მთვრალი დარბოდა იმ დღეს და გაჰყვიროდა, — გვირტყამენ, ამათიო!..“ არადა, ვინ იყვნენ ისინი, ვინც თითქოსდა, ურტყამდნენ ამ ჭრელა-ჭრულა უხსენებელს?!.. ვინ იყვნენ და

1. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენელი, ეკლესიის სტიქაროსანი და მედავითნე — ავთანდილ ზუმბაძე;

2. სასულიერო აკადემიის სტუდენტი — დავით შალამბერიძე;

3. მგალობელი ზვიად ბლიაძე, რომელიც ტელევიზიის ეზოში დააკავეს;

სხვათა შორის ზვიად ბლიაძის მამა „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტიდან მეორე დღეს ინსულტით გარდაიცვალა და მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის შესახებ კოდექსში წერია გამოსათხოვარ პანაშვიდზე პატიმრის მიყვანა შესაძლებელიაო, სააკაშვილის და ბოკერიას „ნაცხროვამ“ ზვიად ბლიაძეს ამის შესაძლებლობა არ მისცა და მან მამა საპატიმროში გამოიტირა. „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტიდან მეორე დღეს რიგ-რიგობით დააპატიმრეს სამი შვილის მამა — ლევან ჩაჩუა, რომელმაც, მეუღლის მეოთხე შვილზე ფეხმძიმობის ამბავი საპატიმროში შეიტყო. ასევე იმ დღეს დააპატიმრეს რატი მაისურაძე, რომელიც მთავარ სამმართველოში მოწმის სტატუსით შეიყვანეს და იქ დააკავეს იმ საბაბით, რომ ისინი მართლმსაჯულებას დაემალებოდნენ, თუკი იმ დღესვე არ დააკავებდნენო... ჩვენების მისაცემად მთავარი სამმართველოს შენობაში შევიდნენ შოთა აფხაიძე და გიორგი გაბედავა, რომლებიც იმავე მოტივით დააკავეს, რომ არ დამალულიყვნენ. 10 მაისს პოლიციის განყოფილებაში მე-12 კლასის მოსწავლე და ეკლესიის სტიქაროსანი ჯაბა გურჩიანი გამოიძახეს, იგი საკუთარი ფეხით მივიდა პოლიციაში, რის შემდეგაც დააკავეს. სასამართლო პროცესებზე სრულიად აბსურდული ბრალდებით დაკავებული 8 ბიჭის ადვოკატი პარლამენტის დღევანდელი ვიცე-სპიკერი, იმ პერიოდში კი ადვოკატი და უფლებადამცველი მანანა კობახიძე და ადვოკატი ბესარიონ ქარცივაძე იცავდნენ. სწორედ მაშინ შევიტყეთ, რომ „კავკასიაში“ მომხდარ ინციდენტზე 32 მოწმიდან ყველა მოწმე პოლიციელები იყვნენ. აღნიშვნად ღირს ის ფაქტი, რომ პოლიციელთა გარდა ყველა სხვა მოწმემ და მათ შორის ე.წ. დაზარალებულებმა, ანუ ტელეკომპანია „კავკასიის“ თანამშრომლებმა მათი სტუმრების რვავე მართლმადიდებელი ბიჭი უდანაშაულოდ სცნო იმ ბრალდებაში, რაც მათ წაუყენეს. აქუბარდია გაიძახოდა, — არა, კაცო, ჩემთვის არავის დაურტყამსო... იქით ჯანგირა მოსთქვამდა, — როგორ გეკადრებათ, ჩვენ არავის სახე არ გვახსოვს, ჩხუბიც კი არ ყოფილაო და აქეთ, ეს ვითომცდა სიმართლის დამცველი ბიჭი — ალეკო ელისაშვილი ქადაგებდა სასამართლო პროცესზე, — ეს ბიჭები არაფერ შუაში არიან და სასჯელს არ იმსახურებენო. უფრო მეტიც, უსინდისო ალეკო ელისაშვილი, რომელიც გადაცემა „ბარიერში“ ყველაზე მეტ აგრესიას ავლენდა და აშკარად ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო, ცოტა ხნის წინ ყელმოღერებული და მართალი კაცივით იმოძღვრებოდა, როცა შეიტყო, რომ რვა მართლმადიდებელს პოლიტპატიმრების სიით თავისუფლებაზე უშვებდა ახალი ხელისუფლება. აი, მისი სიტყვები: „ამ ფაქტს მივესალმები, ისინი დიდი ხნის განმავლობაში ტყუილად არიან დაკავებულები, ხელისუფლებამ მაშინ ამ ქმედებით ორი კურდღელი დაიჭირა, ერთის მხრივ „კავკასიას“ ჩრდილი მიაყენა, ვითომ ჩვენ დაჟინებით ვითხოვდით ამ ხალხის დაჭერას, არადა, ისინი არაფერ შუაში იყვნენო... ერთ-ერთი ოთხი შვილის მამა ჩაჩუა, არ მოსწონდათ, გულზე არ ეხატებოდათ, მისი დაჭერა უნდოდათ, მივიდნენ და დააპატიმრეს ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის გამო, მაშინ, როდესაც კაცი მთელი გადაცემის განმავლობაში სკამიდან არ ამდგარა. ძველი ბოღმა ჰქონდათ, ხელისუფლება ვერაფრით ახერხებდა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის გაჩერებას. ამ ინციდენტით ისარგებლეს, სცადეს, რომ ჩვენთვის ჩრდილი მოეყენებინათ და მეორეს მხრივ, ესენი გაანეიტრალეს. სინამდვილეში ტყუილად დაიჭირეს, მე ამოცნობაზე მიმიყვანეს, სამი ბიჭი წარმოადგინეს და არცერთი არ იყო ამ საქმესთან დაკავშირებული. ამას გარდა, ჩვენ — მე, დავით აქუბარდიამ, ნინო ჯანგირაშვილმა, „კავკასიის“ ოპერატორმა და ყველამ, ვინც იქ ვიყავით, სასამართლო პროცესზე ვთქვით, რომ ესენი არაფერ შუაში არ არიან... შეგიძლიათ კადრები ნახოთ, სადაც ჩანს, რომ ეს ბიჭები არაფერს აკეთებენ, მოკლედ, ჯავრი ჰქონდათ ამათი და ტყუილუბრალოდ ანგარიში გაუსწორეს, ძალიან კარგი, რომ სამართლიანობა აღდგება და ეს ბიჭები გათავისუფლდებიან. ვულოცავთ, ნამდვილად მიხარია!..“ — ეს განცხადება გააკეთა ალეკო ელისაშვილმა გაზეთ „გურია-ნიუსის“ ჟურნალისტთან...



აი, ძვირფასო მკითხველო, იმ ადამიანის პორტრეტი, რომელიც მაშინ გაჰყვიროდა — დამნაშავეები დაიჭირეთო, დღეს კი გაჰყვირის, — ძალიან კარგი რომ პოლიტპატიმრების სიაში არიან და ახალი ხელისუფლება მათ შეიწყალებსო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ დააწიოკა „ნაცმოძრაობამ“ და ტელეკომპანია „კავკასიის“ ბანდამ ერთობლივად ჩვენი კოლეგა მალხაზ გულაშვილის ოჯახი, როგორ გადახიზნეს მამა-შვილი გულაშვილები, პროვოკატორმა ტელევიზიამ და მათმა დამქაშებმა ქვეყნიდან შორს და რაღა შორს წავიდე, განა მე არ ვიყავი ამ ყველაფრის მოწმე და შემსწრე?!. მოვლენების ეპიცენტრში გახლდით მაშინაც, იქ, ილიაუნის უნივერსიტეტთან და მაშინაც, სასამართლოზე როგორი თავჩაქინდრული იდგნენ ხალხისგან მხილებული ტელეკომპანია „კავკასიის“ ვაიჟურნალისტები ელისაშვილი, ჯანგირაშვილი და აქუბარდია. მერწმუნეთ, გაიშიფრნენ და დღესაც თავდახრილები დადიან იმიტომ, რომ უკვე დღეს საზოგადოებამ აშკარად დაინახა ვისი მსახურები იყვნენ ისინი სინამდვილეში, მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ ტელევიზია „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერ აქციებზე მიბრძანდნენ და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ისროდნენ და დღეს, უკვე ნიღაბჩამოხსნილებმა აღარ იციან რომელ კედელს ეცნენ, ან ვის მიეკედლონ იმისათვის, ხვალ რომ უკეთესად აუხდეთ ოცნებები!!!

როცა მესმის, ელისაშვილი პატიოსანი ბიჭიაო, სულ ის ბიჭები მახსენდება, „კავკასიის“ ეთერში რომ დაამწკრივეს და საპატიმროს გზას გაუყენეს, არადა, მათ ზუსტად იმდენივე მიესაჯათ, რამდენიც გირგვლიანის მკვლელებს და ისინიც იმ მოსამართლემ გაასამართლა...

ისე, როგორია ელისაშვილო, ჯერ რომ აჭერინებ და მერე, ბოდიშებს იხდი?!.. სასამართლოზე ხელი ვერავის დაადე იმიტომ, რომ იმ ხელს მოგტეხავდა ის ხალხი, რომელიც იმ დარბაზში იჯდა. შეგეშინდა და რაღა არ იბოდიალე მაშინ!.. პატრიარქის განცხადების შემდეგ საზოგადოება ყალყზე იდგა, ყველა გაგინებდათ, გაფურთხებდათ შენც, ჯანგირაშვილსაც და აქუბარდიასაც და ამიტომაც იყო წელში გადატეხილებივით რომ დადიოდით იქამდე, ვიდრე ივანიშვილი არ გამოჩნდა იმავე „კავკასიაში“, სადაც ხალხი დააჭერინეთ და ხალიჩები დაუფინეთ. ამ ყველაფრის შემდეგ, კაცი გქვია შენ, ბიჭო?!.. რამდენი ხანი უნდა იცოცხლო, ამ ცოდვის ზიდვამ ხერხემალში რომ არ გადაგტეხოს?!.. არცერთი შენი სიტყვის არ მჯერა იმიტომ, რომ ცრუპენტელა ხარ და შენი ადგილი, რომელ ჰამქარშიც არის, ყველაზე კარგად იმ ბიჭებმა იციან, ამ საზოგადოებამ და უფალმა იცის!!! ფუი, შენს კაცობას!..

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

## უკრაინული მედია: ეკა ზღულაძე ბორისპოლის აეროპორტში დააკავეს

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე ზღულაძე ბორისპოლის აეიპორტში დააკავეს, — იუწყება უკრაინული ინტერნეტპორტალი უკრაინა.რუ. წყაროს ცნობით, ის საზღვარზე 4 მილიონი დოლარის გატანას ცდილობდა.



როგორც ინტერნეტპორტალი იუწყება, ამის შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე დაწერა.

„ორი კვირის წინ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე საფრანგეთში ქმართან მიემგზავრებოდა, რადგან ფეხმძიმედ არის და ორ თვეში უნდა იმშობიაროს. ბორისპოლში საბაჟოზე ის ფულით სავსე ჩემოდნით დააკავეს, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები, 4 მილიონი აშშ დოლარი იყო. შესაბამისი ორგანოების კითხვაზე, მადამ ზღულაძემ თვალის დაუხამხამებლად, ღიმილით უპასუხა, რომ ეს მისი პირადი ნივთებია, ფული კი პარიზში სამედიცინო პროცესის ორგანიზებისთვის სჭირდებოდა“, — წერს ვიტალი ზახარჩენკო.

მისი თქმით, ზღულაძემ ბორისპოლში 4 საათი გაატარა, რა დროსაც თავის ხელმძღვანელს, მინისტრ არსენი ავაკოვს ურეკავდა. ყოფილი მინისტრის თქმით, ამ უკანასკნელმა თავისი გავლენა იმისთვის გამოიყენა, რომ ეკა ზღულაძე “ლაჟვარდოვან სანაპიროზე გაეცილებინა”.

ზახარჩენკოს ცნობითვე, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს, ვასილი გრიცაკს მოახსენეს, რომ 10 (სხვა მონაცემებით — 14) მილიონი დოლარი ეკა ზღულაძესა და არსენი ავაკოვს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის გადასცეს, მაგრამ, მისი თქმით, შსს-ს ხელმძღვანელობამ დანიშნულებისამებრ გამოყენების ნაცვლად, ეს თანხა მიითვისა.

## ე.წ. შეწყალების კომისიის საქმეზე შესაძლოა, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც დაიკითხოს



მთავარ პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ ე.წ. შეწყალების საქმეზე საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაიკითხოს.

„დაიკითხება ყველა ის პირი, ვინც შემხებლობაშია სისხლის სამართლის საქმესთან,“ - ასე უპასუხა პროკურორმა კოკა კაციტაძემ მთავარ პროკურატურაში ჟურნალისტების შეკითხვას, მოსალოდნელია თუ არა საქმეზე საქართველოს პრეზიდენტიც დაიკითხოს.

ამასთან, პროკურატურაში აცხადებენ, რომ საქმეზე დაიკითხება ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილიც.

უწყების ინფორმაციითვე, ე.წ. შეწყალების საქმეზე ამ დროისთვის 30-მდე პირია დაკითხული, მათ შორის შეწყალების კომისიის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეები — ალეკო ელისაშვილი და ზვიად ქორიძე, დეპუტატები მანანა კობახიძე და ეკა ბესელია, ასევე მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე, ვაკე-საბურთალოს პროკურორი ნიკა სანიკიძე, მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ნათია სუხიაშვილი, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე, “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური და ჟურნალისტი ელისო კილაძე.

**„მედიანიუსი“**

# თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ახალი რექტორი უკანონოდ აირჩია — დაზარალებული ვარ მე, სამართალი უნდა აღდგეს!

ლამის წელიწადი სრულდება, რაც ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ეჭვქვეშ დააყენა ჩემი დოქტორის დიპლომის ნამდვილობის საკითხი, რის გამოც შემიჩერდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილება. ამ ხნის განმავლობაში ჩემს საქმეს განიხილავდა საქალაქო სასამართლო, რომელმაც 8 ოქტომბრის სხდომაზე ბათილად ცნო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადგენილება და მასვე დაავალა ახალი აქტის გამოცემა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა რეალურ ვითარებასთან. ხარისხის დიპლომის ნამდვილობა ეჭვქვეშ დადგა ჩემი რექტორის თანამდებობის გამო. მას შემდეგ პროცესები იმდენად თვალსაჩინოდ წარიმართა, რომ ყველაფერს ნათელი მოეფინა. დღევანდელი გადასახედიდან უკვე ცალსახად ვაცხადებ, რომ გარკვეული ჯგუფი მუშაობდა ჩემ წინააღმდეგ, როგორც უნივერსიტეტის გარეთ, ისე მის შიგნით. მათი მიზანი იყო რექტორის თანამდებობის ხელში ჩაგდება, რასაც ამ ეტაპზე მიაღწიეს კიდეც.



მაგრამ, მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ პროცესების განვითარებას: 2013 წლის 8 ნოემბრის არჩევნებისათვის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი იღებდა მონაწილეობას, რომლებმაც კენჭისყრამდე თანმიმდევრობით, ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს კანდიდატურები. რექტორობის ერთ-ერთ კანდიდატს არც დაუმალავს და საჯაროდ განაცხადა სხდომათა დარბაზში, სადაც რექტორის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, რომ ის ღამის 3 საათზე დააშანტაჟეს სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებმა და აიძულეს, მოეხსნა კანდიდატურა ერთ-ერთი კანდიდატის, ირმა შიოშვილის, სასარგებლოდ. ამის მომსწრეა დარბაზში მსხდომი რამდენიმე ათეული ადამიანი. მე აღარ ვყვები იმის შესახებ, თუ როგორ მოითხოვდნენ ჩემგან, რომ კანდიდატურა მომეხსნა ასევე შიოშვილის სასარგებლოდ. მაშინ ამ ძალებს ვაჯობეთ უნივერსიტეტის შიგნით და ხმათა უმრავლესობით აკადემიურმა საბჭომ ამირჩია რექტორის თანამდებობაზე.

როგორც ჩანს, ჩემი არჩევის წუთიდანვე დაიწყო ჩემ წინააღმდეგ საქმეების შეთითხვნა, რომლის მიზანიც ჩემი რექტორის თანამდებობიდან ჩამოშორება იყო. აქვე აღვნიშნავ, რომ უნივერსიტეტის კონსოლიდაციის მიზნით, პრორექტორად დავნიშნე ირმა შიოშვილი, რომელიც სრულყოფილად იყო ჩართული მართვის პროცესში. მან კი ჩემი ნდობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და გარე ძალებთან ერთად, რომელთა მიზანსაც კვლავ შეადგენდა მისი გარექტორება, დაგეგმა და ამ ეტაპზე წარმატებით განახორციელა ჩემი ჩამოშორება არა მხოლოდ უნივერსიტეტის მართვის სადავეებიდან, არამედ აკადემიური თანამდებობიდანაც. მოგაწვდით ფაქტებს და საზოგადოებამ თავად გამოიტანოს დასკვნები: განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის ნამდვილობის დადასტურების დეპარტამენტმა ეჭვქეშ დააყენა ჩემი დიპლომის ნამდვილობა, რასაც მოჰყვა ჩემ თავზე დატრიალებული მთელი ეს უბედურება. ჩემი წამოსვლიდან სულ რამდენიმე კვირაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შიოშვილმა სამსახურში მიიღო ზემოთ ნახსენები დეპარტამენტის უფროსის, ნუგზარ სიჭინავას, მეუღლე.

ჩემ წინააღმდეგ რომ შეთითხნილი იყო საქმე და საბუთები მიზანმიმართულად გაყალბებული, ეს სასამართლომაც დაადასტურა, რომელმაც ბათილად ცნო ამ დეპარტამენტის მიერ მიღებული დადგენილება.

უნდა ითქვას, დაინტერესებული პირი ირმა შიოშვილია.

იგი არც მალავს, რომ დაინტერესებული პირია. არის.გე-ს ჟურნალისტ ეკა წივწივაძესთან ინტერვიუში მან გასცა თავისი თავი, როდესაც ჟურნალისტის შეკითხვაზე — დაბრუნდება თუ არა ავთანდილ ღელაღუტაშვილი რექტორის თანამდებობაზეო, — მან განაცხადა — ამის საშიშროებას ვერ ვხედავო. ე. ი. ჩემი თანამდებობაზე დაბრუნება მისთვის საშიშროებას წარმოადგენს. წინდახედულება რომ გამოეჩინა ქალბატონ რექტორს, სხვაგვარად უპასუხებდა. ამ სიტყვებმა გამოააშკარავა, რომ ამ ყველაფრის უკან ის იდგა. თუმცა არც ადრე დაუმალავს მას, რომ დაინტერესებული პირი იყო.

მაგრამ კვლავ მივყვეთ მოვლენებს: 2014 წლის 11 დეკემბერს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ის არ დაეთანხმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნას ჩემ სახელზე გაცემული დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნამდვილობის არცნობის თაობაზე. 4 დღის შემდეგ ჩატარებულ სხდომაზე შიოშვილმა აკადემიურ საბჭოს მიაღებინა არაკანონიერი დადგენილება ჩემთვის ვადამდე რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რის დროსაც საფუძვლად გამოიყენა საინფორმაციო ცენტრის დადგენილება ჩემი რექტორის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, აკადემიურ საბჭოს ამისი უფლება არ ჰქონდა. 4 თვის შუალედის შემდეგ, 2015 წლის აპრილში, შიოშვილმა უკვე რექტორის რანგში აკადემიურ საბჭოს გააუქმებინა ზემოთნახსენები 2014 წლის 11 დეკემბრის დადგენილება, სადაც ჩემი უფლებები იყო დაცული. ამ ფაქტმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გაოცებაც გამოიწვია ჩემთან საუბარში. საბჭომ მისივე მითითებით ძალიან მალე გამოაცხადა კონკურსი რექტორის თანამდებობაზე. იმ პერიოდში ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ რექტორის თანამდებობა რეორგანიზაციის ჩასატარებლად სჭირდებოდა და ამიტომ ჩქარობდა. როგორც ჩანს, ქალბატონ ირმას მეტისმეტად ეჩქარებოდა ამ თანამდებობის ხელში ჩაგდება, თუმცა არც დაპირებული რეორგანიზაცია ჩაუტარებია და არც რაიმე მნიშვნელოვანი გაუკეთებია ამ ხნის განმავლობაში.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ აკადემიურ საბჭოს, განათლების კანონის თანახმად, ჩემთვის რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ შესაბამისი უფლებითაც რომ ყოფილიყო აღჭურვილი, სულ მცირე, უნდა დალოდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, რამდენადაც საქმე ეხებოდა ჩემი დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რომელიც უნივერსიტეტში დავიცავი. უნივერსიტეტის პრესტიჟის საკითხი იყო, რომ მის მიერ გაცემული დიპლომის ნამდვილობასთან დაკავშირებული კითხვები მოეხსნა და არა პირიქით. არც ერთი თავმოყვარე სასწავლებელი ამას არ გააკეთებდა.

უცნაურია, მაგრამ სასამართლო პროცესზე უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური თავგამოდებით ცდილობდა, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაემართლებინა. უფრო მეტიც, დამატებით არგუმენტებს სთავაზობდა მოსამართლეს ჩემ საწინააღმდეგოდ, თუმცა ამ უკანასკნელმა არც ერთი მის მიერ შემოთავაზებული არგუმენტი დასაბუთებულად არ ცნო და უკანონოდ გამოაცხადა, ისევე როგორც ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული დადგენილება. ასე რომ, ყველა სასამართლო სხდომაზე უნივერსიტეტი ამაყად აცხადებდა: დიახ, უკანონოდ გავეცი დიპლომიო. ღიმილის მომგვრელია, რომ მოსამართლემ დაამშვიდა თავისივე თავის წინააღმდეგ ამხედრებული უნივერსიტეტი — უკანონოდ არ მიგინიჭებია ხარისხიო და, თუ მაინცდამაინც გინდა, რომ ღელაღუტაშვილს დიპლომი არ ჰქონდეს, დამატებითი არგუმენტაცია წარმოადგინე, რადგანაც უკვე წარმოდგენილი დოკუმენტები სასამართლოსთვის საბუთი არ აღმოჩნდაო.

აი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს უნივერსიტეტს პირველი პირი და ლახავს მის ავტორიტეტსა და ღირსებას, როდესაც აიძულებს უნივერსიტეტის ერთ ინსტიტუციას, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოვიდეს მეორე ინსტიტუციის წინააღმდეგ.

ხარისხის დიპლომის ნამდვილობის არცნობას ავტომატურად მოჰყვა რექტორის სტატუსის შეჩერება. რამდენადაც სასამართლომ დაუსაბუთებლად აღიარა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არგუმენტაციები ჩემი დიპლომის ნამდვილობასთან დაკავშირებით, დიპლომის აღიარებას სამართლებრივად უნდა მოჰყვეს რექტორის სტატუსის აღდგენაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ორმაგ სტანდარტს.

აკადემიურმა საბჭომ ახალი რექტორი უკანონოდ განთავისუფლებული რექტორის ადგილზე აირჩია. დაზარალებული ვარ მე, სამართალი უნდა აღდგეს!

**ავთანდილ ღელაღუტაშვილი,**
**თელავი**

# ღია წერილი

## ბატონ ბიძინა ივანიშვილს

დიდად პატივცემულო ბატონო ბიძინა, ძალიან ბევრი სათქმელი დამიგროვდა, რაც აუცილებლად უნდა გითხრათ. ამიტომ მოგმართავთ ვრცელი წერილით.

მე თქვენი საუბრის, იდეოლოგიის და იდეალების მსმენელი, გულშემატკივარი და აქტიური შემსრულებელი გახლავართ, „ქართული ოცნების" წევრი დღიდან დაარსებისა დღემდე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შვიდნომრიანი მაისურები გვეცვა, განვახორციელე პროგრამა



„კარდაკარ", როდესაც „ნაცმოძრაობა" მძვინვარებდა და მათი ზონდერბრიგადები ხან მაისურებს გვახევდნენ ტანზე, ხან ქვებს გვესროდნენ, ხანაც ძაღლებს გვისევდნენ. საქართველოს თითქმის კუთხე არ დამიტოვებია, სადაც თქვენ და თქვენს ამალას არ ვახლდი, არც ერთი მიტინგი და ყრილობა არ გამომიტოვებია ჩემს თანაგუნდელებთან ერთად. ძალიან კარგად მახსოვს, ბათუმში კოკისპირული წვიმა იყო და თქვენი მიტინგი დედაენის ძეგლთან, თქვენი მზრუნველობით აღსავსე ხმა: ხალხო, მრცხვენია, მე მშრალი ვარ და თქვენ თავზე გაწვიმთ, ჩქარა დავამთავროთ მიტინგიო. ხალხის ხმა: არა და არაო. მონუსხულები გისმენდით, გალუმპულები და დაშლაც არ გვინდოდა. ჩვენი ბოლო მიტინგიც კარგად მახსოვს თავისუფლების მოედანზე, სადაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი საქართველოს ყველა კუთხიდან და თვით ქალაქიდან, თქვენი მხარდამჭერების მთელი არმია იყო და თქვენი, მართალია, მოკრძალებული, მაგრამ იმედიანი ნათქვამი, რომ ერთ გუნდად მოგვიხსენიებდით, კიდევ მეტს გვავალებდა ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ვწუხვარ, ბატონო ბიძინა, იმ დიდი არმიიდან ბევრი თქვენი გულშემატკივარი დარჩა თქვენს გუნდს მიღმა, სამაგიეროდ, მელიებივით ის ხალხი შემოიპარა სახელისუფლო სტრუქტურებში, ვინც ჩვენ ასე უმოწყალოდ გვდევნიდა, ნაცებს საამებლად გუნდრუკს უკმევდა, ახლა კი „ოცნებაში" ოცნება დაიწყეს იმაზე (თუკი ამის საბაბი ექნებათ) თუ ძირი როგორ გამოუთხარონ „ოცნებას" და რა რაოდენობის წყალი დაასხან ნაცების წისქვილზე. მასიური მოსყიდვები მიდის მოსახლეობისა, ხალხის გადაბირება ხდება, ხახანახირივით არიან მოდებულნი ქალაქს თუ რეგიონებში შავბნელი ძალები და შურსა და გესლს თესავენ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ამის შესაჩერებლად კი არავინ არაფერს აკეთებს.

ბატონო ბიძინა, ძალიან მინდა, რომ კითხულობდეთ უბრალო ადამიანების აზრსაც. ვერ გეტყვით, რომ მეფე გიორგივით ტყაპუჭი ჩაიცვათ და გლეხებში გაერიოთ, მაგრამ ხანდახან მგონია, ყველაფერზე არ ფლობთ ინფორმაციას. მგლები კრავებად იქცნენ და სახარებას უკითხავენ იმ ხალხს, ვისაც ქვეყანა გაუყიდეს, ნულოვანი ტოლერანტობა, 2008 წლის აგვისტოს ომი მოახვიეს თავზე და ჩვენს დასაცავად და სასიკეთოდ რაიმე კეთდებოდეს, ამას ვერ ვგრძნობთ. რა ქნას მარტო ჯანდაცვამ, ხალხი შიმშილით თუ დაავადდა? ვალის გადახდის საშუალება თუ არ მიეცათ ბანკებისგან თუ კერძო მევახშეებისგან, თავიანთი სახლ-კარიდან გამოყრილ, ქუჩაში დარჩენილებს, დარდითა და ფიქრით გათანგულ ადამიანებს, დაავადდებიან და რა უნდა ეშველოს სერგეენკომ? რა ქნან იმ ადამიანებმა, ვისაც ვერ მოისყიდიან, აზრს ვერ შეაცვლევინებენ განა იმიტომ, რომ ვერ ვხედავთ, რა ხდება გარშემო, არა, არ გვინდა, დავინახოთ და დავიჯეროთ აუგი, რაც ჩვენი რჩეული ხელისუფლების მისამართით გვესმის. არც წასასვლელი გვაქვს არსად და, არც წასვლა გვსურს, რომც გვქონდეს.

მე, მთელი ჩემი ოჯახით, სამეგობრო, — სანათესაოთი, ვმოძღვრავდი და დღემდე ვმოძღვრავ საზოგადოებას, სადაც კი ხმა მიმიწვდება, მხარი დაუჭირონ ჩვენს ხელისუფლებას, განა საამებლად, არა, ასეთი მსურს, რომ იყოს ის ხალხი, ვინც ჩვენ ავირჩიეთ და ვანდეთ ჩვენი ქვეყანა და მომავალი.

ბატონო ბიძინა, თქვენ უნდა დაბრუნდეთ, აუცილებლად პოლიტიკაში და დაუბრუნოთ რწმენა ხალხს. საზოგადოების თუნდაც იმ ნაწილის ხათრით, ვინც თქვენ შეგიყვარათ, გენდოთ, გამოგყვათ და ვინც ისევ თქვენში ეძებს გამოსავალს. ისევ თქვენს გვერდით დავდგებით და ძალიან ბევრს შევძლებთ, შეუძლებელსაც. ხალხი დიდი ძალაა, ხომ ხედავთ, რამდენჯერ დაგაპირისპირეს ღირსეულ ადამიანებთან, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია, გახლეჩა და სამოქალაქო ომი მოხდეს. ამ ყველაფერს გულისტკივილით ვიტან, შევყურებ და გული მწყდება, ჩემს ნალოლიავებ-ნაოცნებარს ეშმაკები ეპატრონებიან. განვედ, სატანავ! ღმერთო, შენ დაიფარე მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და ქართველი ერი ავი სულებისგან!

**პატივისცემით,**
**მზია უზუნაშვილი,**
**პედაგოგი, „ქართული ოცნების" აქტიური წევრი**
**ტელ.: 558 571 532**

# მიმართვა

წლების განმავლობაში კარგად მოფიქრებულმა და დაკანონებულმა ანტიეროვნულმა და ანტიადამიანურმა სააკაშვილ-ადეიშვილის სასამართლო სისტემამ, რომელსაც არავითარი კავშირი აქვს არათუ სამართალთან, არამედ საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროში არსებულ სამართლებლივ ნორმებთან, მოსპო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი სასამართლოს და ადამინის უფლებების მცნება. შეიქმნა და დღესაც ძალაშია კანონი, რომელიც პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა მოსამართლეებს წარსულში უკანონო, დაუსაბუთებელი და პოლიტიკური მოტივით გამოტანილი განაჩენებისთვის ,რაც დამონებულ მოსამართლეებს, თითქოს, მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებდა!. სულ, რამოდენიმე მოსამართლემ არ შეურაცხყო საკუთარი ღირსება და მოსამართლის მანტია.მაგრამ ისინი, სასწრაფოდ დაითხოვეს სასამართლოდან.მათ შორის იყვნენ დღევანდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონი ნინო გვენეტაძე და საკონსტიტუციო სასამართლოს ახლადდანიშნული მოსამართლე ბატონი მერაბ ტურავა. ხელისუფლების შეცვლიდან 3 წლის შემდეგ გაჩენილი იმედები, თუ ილუზიები, სასამართლოების მიმართ, შარშანდელი თოვლივით გაქრა.კოჰაბიტაციამ დამნაშავე მოსამართლეებს ახლა უკვე, უვადო მოსამართლეობის პრეტეზიაც კი გაუჩინა! მე, ასობით პატიმართა მსგავსად, მომესპო სამართლის ძიების ყველა გზა. ხელისუფლებას კი, პატიმრები მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ახსენდება და იყენებს აპრობირებულ და თითქოს კეთილშობილურ ხერხს, რაც პატიმართა შეწყალებით სრულდება. არაერთი უდანაშაულო პატიმარი გათავისუფლდა მსგავსი აქტით, რომლებმაც მრავალწლიანი მცდელობის შემდეგდ დაკარგეს სამართლიანობის მიღწევის ყოველგვარი იმედი და ამ გზით გადაირჩინეს თავი.წარმოდგინილი გაქვთ პატიმრის სულიერი მდგომარეობა,რომელიც ჩაუდენელ დანაშაულს აღიარებს, ინანიებს და შეწყალებას ითხოვს?! უდანაშაულო ადამიანის შეწყალება ბოროტება და ცინიზმია! ცინიზმია, ისიც,რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მეიშვილი,შავლიაშვილი და სილაგაძე ექვსი თვის ფიქრისა და სჯა-ბაასიის შემდეგ, ვერ ხედავენ მიზეზს სასამართლოს პროცესის გამართვისთვის და სარჩელს უკან მიბრუნებენ. აბა, სხვაგვარად როგორ იხსნიან კუბლაშვილის გუნდის წევრებს -ეკა არეშიძესა და მაია თეთრაულს.საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი როგორ ებღაუჭება სააკაშვილი ამ და სხვა დამნაშვე მოსამართლეებს, მომავალში შორს გამიზნული მერკანტილური ინტერესების გამო, რისთვისაც ხარჯავს ასტრონომიულ თანხებს! ჩემს დამნაშავეობა-უდანაშაულობაზე საუბარიც კი, ზედმეტია, რადგან მართლაც რომ მქონდეს დანაშაული ჩადენილი,უკვე თავისუფალი უნდა ვიყო პატიმრობისგან. მოვითხოვ და მივმართავ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს, სახალხო დამცველს,პარლამენტის იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებს, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, „საიას", საკონსტიტუციო სასამართლოს — ამიხსნან, რატომ არიდებენ თავს და არ მითვლიან 2004 წლის 9 თებერვლის უზ. სასამართლოს დიდი პალატის განჩინებას ჩემი რეაბილიტაციისა და კონპესაციის შესახებ. რომელსაც ცხრა მოსამართლე აწერს ხელს. ბატონი მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით და მათ შორის ქალბატონი ნინო გვენეტაძეცაა. დარწმუნებული ვარ, პოლიტიკურ ძალად აღიარებულ დამნაშავეებთან კოჰაბიტირებულ ხელისუფლებას, არ აწყობს ჩემი სასამართლო პროცესის ჩატარება, რადგან, თვალნათლივ გამოჩნდება თუ როგორ განაჩენებზე უწევთ, დღემდე თვალის დახუჭვა! იგივე მიზეზით არ ხდება, იმ ორასზე მეტ პოლიტპატიმრად აღიარებული სასამართლოს მიერ, უდანაშაულოდ ცნობა და რეაბილიტაცია. არის კიდევ ერთი, ხელისუფლებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზი. თავისუფალი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, კიდევ ერთხელ რომ გავმართლდე და მივიღო რეაბილიტაცია, დაისმება, ერთი შეხედვით რიტორიკული კითხვა: როგორ სახელმწიფოში მიცხოვრია ამ 23 წლის განმავლობაში, სადაც ორჯერ



დამაპატიმრეს,პირველად სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მომისაჯეს, მეორედ კი, 30 წელი. წლების შემდეგ, ორივე შემთხვევაში სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო და პატიმრობაში გატარებული 18 რესტიტუცია რაოდენობის კომპესაციით უნდა განისაზღვროს?! ამის შემდეგ კი ვისაუბროთ „ნატოზე", „ევროკავშირზე",საქართველოში ადამიანის უფლებებზე და ზოგადად, დასავლური ტიპის ფასეულობებზე!!! ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, მიუხედავად ჩემი ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისა, იძულებული ვარ, მივმართო პროტესტის უკიდურეს ზომას, შიმშილობას, დღეიდან-14 დეკემბრიდან. დღმდე ჩემი დუმილი, რაც ღარიბაშვილის ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობით იყო განპირობებული, ზოგიერთმა უნამუსო ადამიანმა, სიბრიყვედ ჩამითვალა. მე, დღეს ,ბრძოლას ვიწყებ და მივმართავ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა, ბრიტანული „ემნისტი ინტერნეიშელი"-ს, გერმანული „იგფმ.", ა.შ.შ-ში „ჰელსინკი ვოტჩი"-ს,გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს", ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარს", მისიებსა და საელჩოებს. მოვითხოვ შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნ დავით უსუფაშვილთან. სახალხო დამცველთან ბ-ნ უჩა ნანუაშვილთან. პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან. შიმშილობის შედეგად შესაძლო ლეტალურ შედეგზე მთელს პასუხისმგებლობას ვაკისრებ დღევანდელ ხელისუფლებას.

**პატივისცემით**
**ირაკლი დოკვაძე**
**14 დეკემბერი, 2015**



ნიკოლოზ კაჭკაჭური:

# მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვა მგზავრობის საფასურს და მარცხენასაჭიანი მანქანების ფასს გაზრდის



„არ მინდა ვიფიქრო, რომ მარჯვენასაჭიან მანქანებზე ახალი რეგულაციების დაწესება საწვავის ბიზნესში ჩართული პირების ინტერესებს უკავშირდება, თუმცა ასეთი ვარაუდი უკვე არსებობს“

**რამდენიმე დღეა, მარჯვენა საჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის გაუქმების მოთხოვნით, საქართველოს დიდ ქალაქებში მძღოლების საპროტესტო აქციები იმართება. როგორც ცნობილია, მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, 2016 წლის პირველი მარტიდან მარჯვენა საჭიანი ავტომობილებისა და ავტობუსების რეგისტრაცია აიკრძალება. ინიციატივის ავტორები უკვე რეგისტრირებული მანქანების მფლობელებს ამშვიდებენ და განმარტავენ, რომ უკვე ექსპლუატაციაში მყოფ მარჯვენა საჭიან და საჭეგადატანილ მანქანებსა და ავტობუსებზე აკრძალვა არ გავრცელდება და მათი ხელახალი რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება.**

**მარჯვენა საჭიანი მანქანების მძღოლებს დაპირების არ ჯერათ და საკანონმდებლო ინიციატივას ხმაურიანი აქციებით პასუხობენ. ავტომანქანების რეგისტრაციის ახალი წესის შემოღება აქციის მონაწილეებმა 13 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩართული ფარებით, უწყვეტი სიგნალებით და ლოზუნგებით “მარჯვენა საჭე ჩემი უფლებაა”, “მე მაქვს კატალიზატორი!”, “მე არ ვარღვევ წესებს!”, “მე არ ვაბინძურებ გარემოს!”,გააპროტესტეს. მარჯვენა საჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვას მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარეც ეხმაურება. ნიკოლოზ კაჭკაჭური აცხადებს, რომ ამ გაუაზრებლად მიღებულ გადაწყვეტილებას იმაზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე კანონპროექტის ავტორებს წარმოუდგენიათ. კანონის მიღების შემთხვევაში, ქვეყანა ევროპიდან შემოყვანილი, ძვირადღირებული და ექსპლუატაციის ვადაგასული ავტომობილებით გაივსება, რაც ქვეყნის ბიუჯეტსაც და მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად დააწვება.**

ბოლო ორი წელია, რაც საქართველო მარჯვენა საჭიანი ავტომანქანებით გაივსო და მარცხენა საჭიანების ოდენობას გადააჭარბა. ბუნებაში უმიზეზოდ არაფერი ხდება და რა თქმა უნდა, უმიზეზოდ არც ეს მომხდარა. საქმე იმაში გახლავთ, რომ იაპონური მანქანა ქართულ რეალობას კარგად მოერგო, რადგან მშვენიერ მდგომარეობაშია, მოხერხებულია და ხელმისაწვდომი ფასი აქვს. ამიტომ, ჩემი აზრით, მარჯვენა საჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა დიდი შეცდომაა, რომელსაც გამოუსწორებელი შედეგების მოტანა შეუძლია. გაიხსენეთ, როგორი მოშლილი და მაპატიეთ გამოთქმაზე, დამპალი მანქანები დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში იაპონური მანქანების გამოჩენამდე. ავტომანქანების ბიზნესში ჩართულმა ადამიანებმა იციან, რომ გერმანიიდან და ზოგადად, ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომანქანების დიდი ნაწილი ძალიან მოძველებულია. მანქანებით მოვაჭრეები ამ ნახევრად დამპალ მანქანებს თურქეთში გამოატარებენ, „შპაკლს“ წაუსვამენ, შეღებავენ, და თითქმის ახალი მანქანების ფასში ყიდიან, მაგრამ ასეთი „შეკოსმეტიკებული“ მანქანა ორ წელიწადში გადასაგდები ხდება. წარმოიდგინეთ, გერმანული მანქანიდან ნაწილის მოხსნა რომ დაგჭირდეს, იმდენად დამპალია, რომ ქანჩის შეხებისთანავე ტყდება და წყდება. იაპონურ მანქანებს კი 100-200 000 კილომეტრის გავლამდე, არანაირი რემონტი და შეკეთება არ ჭირდება. წელიწადზე მეტია, მარჯვენა საჭიანი მანქანა მყავს და საწვავის ჩასხმისა და საბურავის შეცვლის გარდა, არაფერი დაჭირვებია. საქართველოში ჩამოყვანილი იაპონური მანქანების გარბენი უმეტესად, 30 -50 000 კილომეტრს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომანქანა თითქმის ახალია. ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, იმაში, რომ საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი მანქანის შეძენა მოძველებულ, ევროპულ მანქანებზე 3-ჯერ და 4-ჯერ იაფად შეუძლიათ, ცუდი არაფერია. ჩემთვის სრულიად მიუღებელია კანონპროექტის ინიციატორთა არგუმენტები, რომ მარჯვენა საჭიანი მანქანები მოძრაობას აფერხებენ და ავტოსაგზაო შემთხვევებს იწვევენ, რადგან სრულიად საპირისპირო ინფორმაცია მაქვს. მთელი დღე ქუჩაში და მძღოლებთან ვარ და ჩემი დაკვირვებით, შემიძლია ვთქვა, რომ მარცხენა საჭიან ავტომობილები გაცილებით მეტ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობენ, ვიდრე მარჯვენა საჭიანები, რომლებიც გაცილებით უფრო ფრთხილად მოძრაობენ. ჩათვალეთ, რომ 1000 ავტოსაგზაო შემთხვევიდან 800 მარცხენა საჭიანის ბრალეულობით ხდება. მე მარჯვენა საჭიანი მანქანა მაქვს და წინა მანქანასთან დისტანციის დაჭერის შემთხვევაში, არანაირი პრობლემა არ მექმნება, თუმცა დისტანცია მარცხენა საჭიანის შემთხვევაშიც დასაცავია. თუ ვინმეს უნდა, რომ გავარდეს, გამოვარდეს და თავ-პირი დაილეწოს, ამას მარცხენა საჭიანითაც მოახერხებს და არც მარჯვენა საჭიანით გაუჭირდება. სხვა მხრივ კი საჭის მდებარეობაში ვერავითარ პრობლემას პრობლემას ვერ ვხედავ. თუ იაპონური მანქანების აკრძალვით ვინმე საცობების პრობლემის მოგვარებას ცდილობს, დავარწმუნებ, რომ მათ ნაცვლად, მყისიერად, მოძველებული ევროპული მანქანები გაჩნდება, რაც საცობების პრობლემას ვერანაირად ვერ მოაგვარებს. საცობების პრობლემა მოუწესრიგებელ საგზაო მოძრაობაშია და არა მარჯვენა საჭიან ავტომობილებში. ერთ კონკრეტულ მაგალითს დაგისახელებთ. მეტროისადგური „ისანის“ ქვევით, ნავთლუღის ქუჩაზე ახალი სუპერმარკეტი გაიხსნა. იქვე, 100 მეტრის დაშორებით, ორი, სხვადასხვანაირად მომუშავე შუქნიშანი დადგეს და ნავთლუღის ქუჩა საცობი რომ არასოდეს მინახავს, ახლა სრულიად გაუვალი გახდა. აი, ასეთი გაუაზრებელი მოქმედებები ხდება საცობების გამომწვევი მიზეზი და არა საჭის მდებარეობა.

**მძღოლთა უფლებების დამცველი აცხადებს, რომ მარჯვენა საჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვაზე საუბარმა პირველი უარყოფითი შედეგები უკვე მოიტანა და ბაზარზე მარცხენა საჭიანი ავტომანქანების გაძვირება გამოიწვია. ნიკოლოზ კაჭკაჭურის თქმით, ამას აუცილებლად მოჰყვება ტაქსით მგზავრობაზე ფასის მომატება, რაც შესაბამისად აისახება მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე და სხვა, გაუთვალისწინებელ შედეგებსაც მოიტანს.**

სამწუხაროდ, მარჯვენა საჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვაზე საუბარმა უარყოფითი შედეგები უკვე მოიტანა და ბაზარზე მარცხენა საჭიანი ავტომობილების გაძვირება გამოიწვია. უახლოეს ხანებში, გაძვირება არა მარტო მანქანის, არამედ, ტაქსით მგზავრობის ფასებზეც აისახება. ამჟამად, თითქმის ახალი იაპონური ავტომობილის შეძენა 2-დან 3000 დოლარის ფარგლებში არის შესაძლებელი, როცა გაცილებით ძველი მანცხენა საჭიანი გერმანული ან ამერიკული მანქანების ფასი 5-დან 10 000 დოლარამდე მერყეობს. რა თქმა უნდა, ტაქსის მძღოლი,რომელიც მანქანაში გაოთხმაგებულ ფასს გადაიხდის, მგზავრობასაც გააძვირებს. ის მძღოლი კი, რომელიც ახალი გერმანული ავტომობილის შეძენას ვერ შეძლებს, ისევ ძველებურად, ნახევრად დაშლილი და ამორტიზებული მანქანით იმოძრავებს, რაც არც გზებზე საცობების პრობლემას და არც ეკოლოგიურ მდგომარეობას სასიკეთოდ არ წაადგება.

**ნიკოლოზ კაჭკაჭური ყურადღებას კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებს, რომელიც მარჯვენა საჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას უკავშირდება. კერძოდ, საუბარია, მარჯვენა საჭიანი, იაპონური წარმოების, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიურ, ჰიბრიდული ავტომობილებზე, რომლებიც საქართველოში უკვე გამოჩნდა. ნიკოლოზ კაჭკაჭური აღნიშნავს, რომ დასატენი მოწყობილობით აღჭურვილი ავტომობილის საშუალებით, შესაძლებელია საწვავის მოხმარებისა და გამონაბოლქვის შეამცირება და ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, თუმცა ახალმა რეგულაციებმა შესაძლოა, ჰიბრიდული ავტომანქანების შემოყვანის იდეა საბოლოოდ დაასამაროს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ახალი რეგულაციების დაწესება საწვავის ბიზნესში ჩართული პირების ინტერესებს უკავშირდება, თუმცა ასეთი ვარაუდები უკვე არსებობს– აღნიშნა მძღოლთა უფლებების დამცველმა.**

სულ ახლახან, ჩვენს დედაქალაქში გამოჩნდა ეკოლოგიურად სუფთა, აკუმულატორებზე მომუშავე ჰიბრიდული ტაქსები. ამ ელექტრომობილების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ნულოვანი გამონაბოლქვი აქვთ, ბევრი საწვავი არ ჭირდებათ და უხმაურონი არიან. ელექტრომობილის მფლობელს შეუძლია, ღამით, სანამ მანქანა ფარეხში დგას, აკუმულატორები დამუხტოს და დღის განმავლობაში,აკუმულატორების ხარჯზე იმოძრაოს. წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი მანქანა თუ 100 კილომეტრზე 10-დან 15 ლიტრამდე საწვავს მოიხმარს, ჰიბრიდულ მანქანას იმავე მანძილის გასავლელად, 3-დან 5 ლიტრამდე საწვავიც ყოფნის. მარჯვენა საჭიანების აკრძალვაზე კი არა, მუნიციპალური ტრანსპორტის ჰიბრიდული მანქანებით ჩანაცვლებაზე უნდა ვიფიქროთ, რაც ჩვენს ეკონომიკას უზარმაზარ შეღავათს მისცემს. ავტობუსი რომ 50 ლიტრის ნაცვლად, 5 და 10 ლიტრს მოიხმარს, ეს ქალაქის ბიუჯეტს და ქვეყნის ეკონიმიკას არ წაადგება? გაუგებარია, რატომ ვუშვებთ ამ შანსს ხელიდან? რატომ არ ვითვალისწინებთ საკუთარი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას და რატომ ვუსპობთ ახალი და გამართული მანქანების ყოლის შანსს? არ მინდა ვიფიქრო, რომ ამ კანონის მიღება საწვავის ბიზნესში ჩართული პირების ინტერესებს უკავშირდება, თუმცა, ასეთი ვარაუდი უკვე არსებობს. საუბრის დასასრულს გეტყვით, რომ თუ პარლამენტი მარჯვენა საჭიან მანქანებთან დაკავშირებულ აკრძალვებს დაეთანხმება, ეს მოსახლეობას და ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად დააზარალებს.

კარგად დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ და რატომ ვაკეთებთ. რა სარგებელს და უარყოფით შედეგებს მოუტანს ეს ჩვენს ეკონიმიკას და მოსახლეობას და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან?“

***1945 წლის აპრილში, ბოლო ოპერატიულ თათბირზე საკუთარ უწყებაში, იოზეფ ჰებელსმა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ხელქვეითების კამათში არ ერეოდა, უცებ თავი აწია და თქვა: „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან“, — ადგა და ისე გავიდა, რომ პროპაგანდის სამინისტროს პირდაღებულ ჩინოვნიკებს ზედაც არ შეხედა.***



ჰიტლერი და გებელსი

## რატომ დუმს სამართალი?!

სამეგრელოში მიკვლეული სამალავიდან ამოღებულ ვიდეოფირებზე გადაღებული კადრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ერთ-ერთ სადავო საკითხად იქცა განსაზღვრა, ცალკეული პირები იყვნენ დამნაშავეები და კონკრეტულად მათ უნდა აგონ პასუხი თუ სისტემური დანაშაული იყო და სისტემის შემქნელებმა უნდა აგონ პასუხი; ვინ უნდა დაისაჯოს, დანაშაულის ჩამდენი თუ ჩანაწერების გამავრცელებელი...

როგორც ჩანს, ფაშისტური გერმანის ერთ-ერთი მთავარი თავკაცი ბევრად სამართლიანი ყოფილა, ვიდრე დღევანდელი ქართული სამართალი, ხოლო ფაშიზმის იდეოლოგები ბევრად ვაჟკაცები, ვიდრე ქართული ფაშიზმის შემქმნელი იდეოლოგ-პროპაგანდისტები.

ნიურნბერგის პროცესიდან ასი წლის შემდეგ რომ ჰკითხონ თვით გერმანელ ერს, ხელებს გაასავსავებს... ასი წელი არ არის საჭირო, მაშინვე, როდესაც ამერიკულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში გერმანელ სამხედრო ტყვეებს აჩვენეს რა სისტემას ემსახურებოდნენ, თვალებზე ხელს იფარებდნენ შეძრწუნებულები... მხოლოდ ცალკეულმა პირებმა კი არა, მსოფლიომ ნახა ფაშისტების მიერვე გადაღებული საზარელი კადრები და არავის მოსვლია სისტემის შემქნელ კაცთმოძულეებთან თანაცხოვრება და ამით ჩამოირეცხა ეროვნული სირცხვილი გერმანიამ...

„კოჰაბიტაცია „ნაცების“ გადასარჩენად შემოაგდეს ამერიკელებმა და ამათაც მეტი გზა არ აქვთ“, — ერთი დასკვნა აქვს გამოტანილი საქართველოს მოსახლეობის ნაწილს..

რადგან ამერიკელის სიტყვა გადამწყვეტი ყოფილა, ამერიკელსვე მოვუსმინოთ, ჭკუისსაკითხავ სოციოლოგსა და პოლიტოლოგ **სამუელ ჰანტინგტონს**: „საკითხთა ფართო წრეში იაპონელმა და სხვა აზიელმა ლიდერებმა ისწავლეს „არა-ს“ თქმა თავიანთი ამერიკელი კოლეგებისთვის. ზოგჯერ აზიური თავაზიანობით, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, ასე ჟღერს „დაახვიე აქედან!“ აზიურმა სახელმწიფოებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებას სწორედ ამ „არა-ს“ წყალობით მიაღწიეს.“

სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოების აზრი ასეთია: არ იტყვის საქართველოს ახალი ხელისუფლება „არა კოჰაბიტაციას!“ და თვით მიიღებს ქართველი ხალხისგან „არა-ს“!

ქვეყანას, რომელსაც სამართალწარმოების ისეთი სისტემა აქვს, რომ არაკაცს, რომელსაც ბრალი დაკავებულის სკამის ფეხით გაუპატიურებაში ედება და სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლებენ, თავმოყვარე ქვეყანა არ ჰქვია.

საინტერესოა, თუ სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის დამფარავი, დამნაშავისა და დანაშაულის თანამონაწილეა, რატომ არ ვრცელდება ეს ყველაზე, უპირველესად ხელისუფლების მაღალი რანგის პასუხისმგებელ პირებზე, რომლებმაც იციან ვინ არიან დამანაშავე სისტემის შემქმნელები და სამართლებრივად არ რეაგირებენ?

სამართალი ეჭვმიტანილია დანაშაულის დაფარვაში, განზოგადებულად კი ადამიანები, რომლებიც დანაშაულში ეჭმიტანილების გასამართლებაზე ფეხს ითრევენ და სავარაუდოდ, არც აპირებენ.

## გმირობის ბანალურობა

აბუ-ღრეიბის ცნობილი სკანდალის შემდეგ მსოფლიომ გაიგო „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ შესახებ, რომელსაც მანამდე გრიფი „საიდუმლო“ ედო. ექსპერიმენტმა გამოავლინა ის მექანიზმები, რომლებსაც გამაოგნებელი სისასტიკის გამოწვევა შეუძლია ადამიანებში.

აღმოჩნდა, რომ ყველა ჩვენგანს შეუძლია იქცეს მოძალადედ და მოთხოვოს პატიმარს ცხოველთა შეწყვილების ინსცენირება, რადგან ყველა საშინელება ჩვენშივეა ჩადებული და მის გამოსავლენად საკმარისია ადამიანისთვის ინდივიდუალიზმის ჩამორთმევა და ძალაუფლების მინიჭება. აღმოჩნდა, რომ იზოლაცია, „ჯგუფური ეფექტი“ (ვისაც ლიდერობა უნდა, ის უფრო სასტიკად იქცევა) და მოწყენილობა, ეს სამი ფაქტორი საკმარისია რომ საკუთარი თავის გასართობად სხვა აწამო...

ძალაუფლება სისტემაშია; სისტემა ქმნის სიტუაციას, რომელიც აფუჭებს ინდივიდს და ესაა კანონი — პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემა და კულტურა, სწორედ ეს ქმნის ცუდ გარემოს. ასე რომ, თუ გსურთ შეცვალოთ პიროვნება, უნდა შეცვალოთ სიტუაცია; თუ გსურთ შეცვალოთ სიტუაცია, უნდა იცოდეთ სად არის ძალაუფლება — სისტემაში.

„აბუ-ღრეიბის“ სკანდალის შემდეგ გენერალი ფეის მოხსენებაში საუბარია, რომ დამნაშავეა სისტემა და მიზეზი იყო გარემოება, ვითარება, რომელიც აბუ-ღრეიბში შეიქმნა ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად, რომელმაც ხელი შეუწყო ასეთი დამცირების განვითარებას, ისევე, როგორც იმას, რომ ეს ძალადობა შეუმჩნეველი იყო...

მისცეს მცველებს სრული თავისუფლება რომ ეკეთებინათ რაც სურდათ და მათ იცოდნენ, რომ არავინ არასდროს ჩავიდოდა ამ დილეგში...

არაადამიანური მოპყრობა საკაშვილის ციხეებში წლების მანძილზე გრძელდებოდა. ვინ ადევნებდა თვალყურს? — ყველა და არავინ იღებდა ხმას, რითიც მისცეს სისტემის მცველებს სრული თავისუფლება, რომ ეკეთებინათ რაც სურდათ და მათ იცოდნენ, რომ არავინ არასდროს მოსთხოვდათ პასუხს...

„სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი“ რიგითმა ექსპერიმენტატორმა ქალმა შეაჩერა, როცა დაინახა რა საშინელ ზღვართან მივიდა (ექსპერიმენტის ხელმძღვანელებიც და მონაწილეებიც ჩათრეულები აღმოჩდნენ ექსპერიმენტში) ადამიანებით თამაში; აბუ-ღრეიბში რიგითმა ჯო დარბიმ შეაჩერა ის კოშმარი; საქართველოში გლდანის №8 საპყრობილის თანამშრომელმა ვლადიმერ ბედუკაძემ ამხილა სისტემა. რომელიმე გმირია? — არა. ჯო დარბი იძულებული იყო დამალულიყო ოჯახთან ერთად, დაფარულის გათქმის გამო მისი ცოლისა და დედის მოკვლა უნდოდათ, ისინი სამი წელი იმალებოდნენ; თუ ასე გაგრძელდა ვლადიმარ ბედუკაძესაც შეიძლება დასამალდ შეექმნას საქმე...

**ფილიპ ზიმბარდო, ფსიქოლოგი, „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ ხელმძღვანელი:** — „გმირობის ბანალურობა იმაშია, რომ გმირულად იქცევიან ჩვეულებრივი ადამიანები, ხოლო გმირობა არაჩვეულებრივია...

ადამიანთა უმეტესობა დამნაშავეა უმოქმედობის გამო!...“

საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში 250 000-მა ადამიანმა გაიარა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, 70 000-თან აქვთ გაფორმებული საპროცესო გარიგება, 30 000 ადამიანს ადმინისტრაციული სასჯელი მიუსაჯეს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, 600-ზე მეტი პატიმარი დაიღუპა საპატიმროებში, 300-ზე მეტი ადამიანი ქუჩაში ჩაცხრილეს — ცალკე საკითხია ცოცხლად დარჩენილთა ფსიქიკური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ გმირობა ბანალურია, გმირობა ყველას არ შეუძლია. თუმცა, რომელ გმირობაზეა საუბარი, როცა ხალხის წინაშე პასუხისმგებელ ადამიანთა გუნდი, სახელად „ხელისუფლება“ უმოქმედოდაა და არხეინად განაგრძობს თანაცხოვრებას დანაშაულებრივი სისტემის იდეოლოგებთან, შემქმნელებთან და დანაშაულებრივი ბრძანებების უშუალო გამცემებთან...



საქართველოში არ აღმოჩნდა „ვინმე ფეი“, რომ დაარქვას სახელი იმას, რაც საკაშვილის მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეუმჩნეველი არ იყო, ყველამ კარგად იცოდა რა ხდებოდა საქართველოს ციხეებსა თუ მის გარეთ, შინაურმაც და გარეულმაც, ადამიანის უფლებების ამყრელებმაც და ადამიანის უფლებების დამცველებმაც...

არაადამიანური მოპყრობა აბუ-ღრეიბში სამი თვის მანძილზე გრძელდებოდა. ვინ ადევნებდა თვალ-ყურს? — არავინ და ეჭვია, რომ განზრახ. პირიქით,

კოჰაბიტირებულო ხელისუფლებავ, უმოქმედობის გამო თქვენ დანაშაულში დაგედებათ ბრალი!

**ჯეიმს ლეზინგერის სიტყვებია:** — „სტენფორდის ძალიან მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი გვაფრთხილებს ჩვენს თითოეულ სამხედრო ოპერაციაზე. თუ ადამიანებს მისცემ ძალაუფლებას ზედამხედველობის გარეშე, ეს ძალადობის რეცეპტია.“

უახლოეს წარსულში საქართველომ საკუთარ თავზე უკვე გადაიტანა აბუ-ღრეიბი. საქართველოს ნებისმიერო ხელისუფალო, ფრთხილად, ნუ ამოიყვანთ ჯინს ბოთლიდან...

**გიორგი ჩხეიძე**


ლიანა ისაკაძე

# საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის" ერთობლივი პროექტი

# მისი სახლი იქ არის, სადაც მისი ვიოლინოა

ლიანა ისაკაძე მუსიკასთან ერთად დაიბადა, და დღემდე მუსიკით ცხოვრობს. სამი წლისა იყო, თავისივე მუსიკალური თხზულება რომ დაუკრა როიალზე, დამოუკიდებლად – ეს მისთვის არავის უსწავლებია. პირველად „დედა" ან „მამა" კი არ უთქვამს, არამედ უმღერია. როცა მისი მუსიკოსი ძმა, მასზე ათი წლით უფროსი ელდარ ისაკაძე მეცადინეობდა, უკრძალავდნენ ოთახში შესვლას, ის კი მაინც შეიპარებოდა, როიალის ქვეშ დაიმალებოდა და გასუსული ისმენდა კლასიკურ მუსიკას. უნიკალურ შესაძლებლობებს ყველა ამჩნევდა, ამიტომაც მშობლების არჩევანი, კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა ათწლედში შვილის შეყვანის შესახებ, ბუნებრივი გადაწყვეტილება იყო. კიდევ ერთი არჩევანი – ფორტეპიანოს სპეციალობაც ასევე ბუნებრივი იყო, რადგან პატარა გოგონამ დამოუკიდებლად ისწავლა როიალზე დაკვრა. მაგრამ...

**„იმ დღეს, როცა ფორტეპიანოს გამოცდა ტარდებოდა, ავად გავხდი. ერთი წელი მომიწევდა ლოდინი, რომ მომავალ წელს ფორტეპიანოს კლასში შევსულიყავი. ამ დროს კონსერვატორიის რექტორი იყო იონა ტუსკია, რომელიც თავიდანვე ამბობდა, ეს ბავშვი ისეთი ნიჭიერია, პირველი, რაც სჭირდება, ვიოლინოზე დაკვრააო. მაშინ ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს: ფორტეპიანოს კლასს ერთ წელს ხომ არ დაველოდებითო და, ერთი კვირის შემდეგ ვიოლინოს კლასის გამოცდაზე გავედი. ჩავაბარე და მიმიღეს. გენიალურ პროფესორთან, ლეო შიუკაშვილთან მოვხვდი. ის იყო ჩემი პირველი აღმზრდელი".**

ხელში ვიოლინო აიღო და სამი თვის შემდეგ უკვე მსმენელის წინაშე უკრავდა. 9 წლისას აკომპანემენტს უწევდა სახელმწიფო ორკესტრი, ხოლო 10 წლის მევიოლინემ უკვე სოლო კონცერტი გამართა. ნამდვილი ვუნდერკინდი იყო. მისი სახელი მთელს საბჭოთა კავშირს გასწვდა. საბედნიეროდ, ამ ასაკში გამოვლენილი უნიკალური შესაძლებლობები ბავშვობაში არ დარჩენილა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ვუნდერკინდებში. მისმა ნიჭმა დაუბრკოლებლად გაიკვლია გზა მუსიკალური ოლიმპისკენ.

**„ათი წლის ასაკში რატომღაც უკვე ძალიან ცნობილი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში. გამგზავნეს ბაქოში ბავშვების კონკურსზე და გავიმარჯვე. 14 წლის ვიყავი, როდესაც მეორედ უკვე საკავშირო კონკურსზე გამიშვეს. იქ დავით ოისტრახი იყო ჟიურის თავმჯდომარე. ჰოდა, მაშინ თქვა, ეს გოგონა სასწრაფოდ მოსკოვის კონსერვატორიაში უნდა წამოვიყვანოთო. არადა, მე კიდევ ერთი წელი უნდა მესწავლა აქ, სკოლაში. ერთი წლით ადრე დავამთავრე ცენტრალური მუსიკალური სკოლა და მოსკოვში წავედი. დედაჩემიც წამომყვა. მაგრამ, სანამ მოსკოვში წავიდოდი, აქაც, თბილისშიც, ვინც კი ჩამოდიოდა, ასმენინებდნენ ჩემს შესრულებას. მაგალითად ვან კლიბერნს, რომელმაც სწორედ მაშინ გაიმარჯვა ჩაიკოვსკის კონკურსში და თბილისში ჩამოვიდა; კულტურის სამინისტრომ, გინდა თუ არა უნდა დაუკრა მის წინაშეო. ვან კლიბერნი ისე გაგიჟდა ჩემი დაკვრით, რომ მუხლებზე დამისვა, ჩამიხუტა, დამიწერა ბევრი ავტოგრაფი. ასე რომ, ბავშვობიდან უკვე განსაზღვრული იყო, რომ მუსიკოსი ვიქნებოდი".**

მალევე გახდა პრესტიჟული მუსიკალური კონკურსების ლაურეატი: 1965 წელს 18 წლის ლიანამ პარიზში, მარგარეტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსზე „გრან პრი" და პირველი პრემია მოიპოვა; 1970 წელს მოსკოვში გამართული პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა; და იმავე წელს, სიბელიუსის საერთაშორისო კონკურსზე, ჰელსინკიში, მას პირველი პრემია და სიბელიუსის კონცერტის საუკეთესო შესრულების სპეციალური პრიზი მიენიჭა...

ერთი შეხედვით იოლად გახდა სახელგანთქმული, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი გამუდმებით მუშაობდა საკუთარ თავზე. თუმცა მუშაობაში მაინცდამაინც ვიოლინოზე დაკვრასა და მეცადინეობას არ გულისხმობს.

1970 წლიდან მოყოლებული, ორი ათეული წლის განმავლობაში, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი იყო და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორკესტრთან და მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად გასტროლებით მოგზაურობდა ევროპაში, ამერიკასა და აზიაში. უკრავდა გამოჩენილ დირიჟორებთან ერთად. ლიანა ისაკაძის სახელი მთელს მსოფლიოს გასწვდა.

ლიანა ისაკაძის მეორე საყვარელი საქმე დირიჟორობაა, რომელიც არ ყოფილა მისი პირადი არჩევანი, ეს გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა მიაღებინა.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა, როცა 1990 წელს, უცხოეთში წავიდა საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია საზღვარგარეთ ცხოვრობს, აფიშებზე კვლავინდებურად წერია: „ლიანა ისაკაძე, საქართველო".

**„ასე იქნება მუდამ. ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა. 90-იანი წლების ბოლოს უკვე ვგრძნობდი, რომ სიტუაცია იძაბებოდა. მაშინ – გამსახურდიას დროს – ბევრ ჩემ კოლეგას დევნიდნენ იმის გამო, რომ რუსულად ლაპარაკობდნენ, რეპეტიციებს რუსულად უძღვებოდნენ, მოსკოვში დადიოდნენ. იმ პერიოდში მოსკოვში ვცხოვრობდი და ორკესტრსაც ვხელმძღვანელობდი. ჩემზეც დაწერეს ცუდი რაღაცები მაშინ! არასდროს დამავიწყდება, როგორ დამიცვა მთელმა საქართველომ... ძალიან მადლობელი ვარ. ვხვდებოდი, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო, ამიტომ მინდოდა, რომ ჩემი ორკესტრი გადამერჩინა და წამეყვანა. 1989 წელს სპეციალურად წავედი გერმანიაში – ფესტივალზე კონცერტი გვქონდა მე და ჩემს ორკესტრს. იქიდან კი ავტობუსით პირდაპირ ინგოლშტადში, ბავარიაში გავემგზავრეთ... როცა რეჟიმი შეიცვალა, უკვე აღარ შემეძლო დაბრუნება, რადგან ჩემს მუსიკოსებს ვერ დავტოვებდი. ხშირად ჩამოვდივარ თბილისში. აქაურობა ჩემი სამშობლოა და აქაურ პასპორტს არასოდეს არაფერზე არ გავცვლი".**


მაქსიმ შოსტაკოვიჩი, ლიანა ისაკაძე, ევგენი სვეტლანოვი

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ქალბატონ ლიანას საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს, უფრო სწორად, ქვეყნისა და წყობის კი არა, არამედ იმ ფასეულობებისა, რომლებითაც გაჟღენთილი იყო იმდროინდელი სახელოვნებო სამყარო:

**„მძულს ის ხალხი, ახალ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად წარსულს რომ აძაგებს. საბჭოთა კავშირში ცნობილი ბევრი არტისტი, დასავლეთში წასვლის შემდეგ, სხვა ქვეყანაში წარმატების მოსაპოვებლად ჰყვებოდნენ, რა საშინელება გამოიარეს. ამით ისინი ხომ საკუთარ სულს ჰყიდდნენ?! ამის გაგებას ვერასდროს შევძლებ. მაშინ არ არსებობდა ფულის კულტი, რაც ახლა ყველას რყვნის. ჩვენ გვქონდა ჩვენი საქმე, ჩვენი ფასეულობები, და ფულის მოხვეჭას არ ვცდილობდით. ვინც „რევოლუცია" მოაწყო, ერთი ცუდი სისტემიდან მეორეში გადაგვაგდო. ახლა სხვანაირად ყვებიან იმას, რაც სინამდვილეში იყო. არ უშვებდნენ საზღვარგარეთ? რასაკვირველია, ეს გაუმართლებელი იყო, მაგრამ ამას ნერვებს ხომ არ დაახარჯავდი ტყუილუბრალოდ?! ზიხარ სახლში და მუშაობ. სხვა არაფერი არ იტაცებს შენს ყურადღებას".**

მაგრამ ლიანა ისაკაძე ხომ ძირითადად უცხოეთში ცხოვრობს? ოპონენტთა, გნებავთ ჟურნალისტთა ამ „ჩამჭრელ" კითხვაზეც აქვს პასუხი:

**„ვმუშაობ სიწყნარეში, სიჩუმეში. სწორედ ამიტომ ვიყიდე სახლი საფრანგეთში, კანის სიახლოვეს – გრასში. იქ სიმშვიდეა, არავინ მიცნობს, სრულიად თავისუფალი ვარ. სახლის ყიდვას, რასაკვირველია, სჭირდებოდა ფული, მაგრამ შენი თავისუფლება მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. საბჭოთა კავშირშიც თავისუფალი ვიყავი. ნამდვილ ხელოვნებას ვემსახურებოდით, არ არსებობდა მატერიალური საცდური, და ეს კარგი იყო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხელოვნება ფულის გარეშე ვერ იარსებებს, ცდება. ნოსტალგიით ვიხსენებ საბჭოთა კავშირთან ერთად დაკარგულ მორალურ თვისებებს, უანგარობას. არავის ვკიცხავ, ყველა თავისას ირჩევს. უკან არ ვიხედები, მომხდარს გარეშე თვალით ვუყურებ. მე ჩემი სამყარო მაქვს, ის რეალურია და განსხვავდება იმისგან, რაც გარშემო ხდება".**


მშობლებთან

ლიანა ისაკაძე 1983 წლიდან გამართული არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელია. იყო „ღამის სერენადები" – აფხაზეთში, ბიჭვინთაში, ფესტივალი ღია ცის ქვეშ – ბათუმში, „ხელოვნების ზეიმი" – ბორჯომში... მერე ისევ ბათუმში...

ვიდრე ორკესტრთან ერთად გერმანიაში გაემგზავრებოდა, ბიჭვინთაში რვაჯერ გაიმართა დაუვიწყარი საღამოები. მერე ომი დაიწყო... ბიჭვინთის ნაცვლად ფესტივალი ერთხანს ბორჯომში იმართებოდა, ბათუმის „სერენადებისთვის" კი საგანგებოდ შეირჩა უძველესი ციხესიმაგრე, სადაც ათასობით ადამიანი ღია ცის ქვეშ ფანტასტიკური სანახაობისა და ვირტუოზულად შესრულებული მუსიკის მოწმე გახდა. ქალბატონი ლიანა შეჩვეულია, რომ მის ნებისმიერ კონცერტს მსმენელ-მაყურებელი „ბრავოს" შეძახილებით ხვდება და არაერთხელ უწევს „ბისზე" გამოსვლაც. ასე იყო სექტემბერში, როცა კონსერვატორიის დიდ საკინცერტო დარბაზში ორი დაუვიწყარი კონცერტი აჩუქა თბილისელ მელომანებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

1964-1981 წლებში უკრავდა სტრადივარიუსის ვიოლინოზე, რომელიც მას მოსკოვის ინსტრუმენტების სახელმწიფო კოლექციამ გამონაკლისის სახით დაუთმო. ახლა გვარნერის ვიოლინოზე უკრავს, თუმცა თვითონ მუსიკოსს არ უყვარს ამ თემაზე საუბარი და არასოდეს პასუხობს ჟურნალისტთა აბეზარ შეკითხვას, რამდენად არის შეფასებული მისი ვიოლინო, რომელიც გერმანელი მეცენატის საჩუქარია, ერთადერთს ამბობს ხოლმე, 1677 წელს არის დაბადებულიო.

**„მამა მღეროდა შესანიშნავად, მისი ხმა დღემდე მესმის, და ჩემი მიზანი იყო, ასეთივე ჟღერადობა მიმეღო ვიოლინოსგან, რომ მას ღვთიური ხმა გამოეცა, ისეთი, როგორიც მამაჩემისგან მესმოდა. ვიოლინო ყველაზე კარგი, ყველაზე ნატიფი და ფაქიზი სარკეა სხვა, უზენაესი სამყაროს გადმოსაცემად... ვიოლინო ჩემი სხეულის ნაწილია და თუკი ვიღლები, ეს იმას ნიშნავს, რომ ისიც დაიღალა. ადრინდელი ყველა ინსტრუმენტი შემომრჩა, ჩვენ მეგობრებად დავრჩით".**



ბევრი ჯილდო და წოდება მიუღია, მაგრამ მათგან ყველაზე ძვირფასი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებაა, რომელიც საბჭოთა მუსიკოსებს შორის ყველაზე ახალგაზრდას მიენიჭა, და რასაკვირველია, „მსოფლიო მევიოლინის" წოდება – მსმენელისა და მუსიკალური საზოგადოებების საერთაშორისო აღიარება.

ლიანა ისაკაძე მსოფლიო მოქალაქეა – ასეთად აღიქვამს საკუთარ თავს. სახლი აქვს ოთხ ქვეყანაში – რუსეთში, საქართველოში, საფრანგეთსა და გერმანიაში. უპირველეს ყოვლისა, ქართველია, მაგრამ მისი სახლი იქ არის, სადაც მისი ვიოლინოა.

**ელზა ნაბახტეველი**



# ოთო კობახიძე — ქართულ ფეხბურთს პერსპექტიული სპორტსმენი შეემატება

*19 წლის* ***ოთო კობახიძე****, რომელიც ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელია, დღეს ბოლნისის „სიონის" მარცხენა ფლანგის თავდამსხმელი გახლავთ. უმაღლეს ლიგაში იგი ახლახან გამოჩნდა, ბოლო თამაშები შესანიშნავად ჩაატარა და წინა ტურში სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.*



„7 წლიდან დავიწყე ფეხბურთის თამაში. ფიზკულტურის ინსტიტუტის მინისტადიონზე ვვარჯიშობდით, ჩემი მწვრთნელი გია მაჭარაშვილი იყო. 13 წლამდე ბატონი გიას ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი, ამ ადამიანმა მასწავლა ფეხბურთის ანა-ბანა და დღემდე მადლობელი ვარ მისი.

შემდეგი სამი წელი 35-ე საფეხბურთო სკოლაში დავყავი. თავიდან ცოტა ხნით **გოჩა ავსაჯანიშვილთან,** შემდეგ **კახა გოგიჩაიშვილთან** და **ზურა თარაშვილთან** ვვარჯიშობდი და მათთან გატარებული ამ სამი წლისთვის დიდად მადლობელი ვარ. ეს პერიოდი ჩემი ბავშვობის ყველაზე კარგი მოგონება იყო. რადგან, პირადად ჩემ თამაშს რომ თავი დავანებო, თამამად შემიძლია ვთქვა, საქართველოში საუკეთესო გუნდი ვიყავით, ყველა ტურნირს ვიგებდით.

სისტემატიურად ვთამაშობდი 15, 16 და 17 წლამდე ნაკრებებში, თუმცა ამის მერე მქონდა პატარა ჩავარდნა, ორივე მუხლზე მენისკის ოპერაციები დამჭირდა. მსგავსი ტრავმები ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელია ფეხბურთელისთვის, თუმცა ეს წინაღობა დავძლიე, რადგან ფეხბურთით ვსუნთქავ. ესაა დღეს მთელი ჩემი ცხოვრება და მიზანი.

რეაბილიტაციის შემდეგ გაასმაგებული მოტივაციით დავიწყე ვარჯიში და გადავედი „დინამოში".

ჩემთვის სერიოზული ეტაპი „დინამოში" გადასვლის პერიოდიდან იწყება. კარგი გამოცდილება მივიღე, გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი. გვერდში მედგნენ შესანიშნავი ადამიანები. ჩემი სურვილით ვცხოვრობდი აკადემიის ბაზაზე, თავისუფალი დრო ბევრი მქონდა, რასაც მუდმივ ვარჯიშს ვუთმობდი.

**— ოთო, თქვენ გერმანიაში პრესტიჟულ ტურნირზეც ისახელეთ თავი.**

– 2014 წელს გერმანიაში რურის თასი მოვიგეთ. როგორც აღნიშნეთ, ეს ძალიან პრესტიჟული ტურნირია. ამ ტურნირში ისეთი გრანდები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან დორტმუნდის „ბორუსია", ლისაბონის „ბენფიკა", „გლადბახი" და ა.შ.

შარშან საქართველოში დუბლების ჩემპიონატიც მოვიგეთ და მოვიპოვეთ ბენდელას თასი.

იყო სხვა ბევრი გამარჯვებებიც და კარგი მოგონებებიც.

**— ახლა ბოლნისის „სიონში" თამაშობთ.**

– წლეულს ზაფხულში მე და ჩემი გუნდელი ზურა ჯაპიაშვილი განათხოვრებით გადავედით ბოლნისის „სიონში" 6 თვით, რადგან ამ ეტაპზე „დინამოში" პირველ გუნდში ჩემი თამაში ვერ მოხერხდა.

მინდა აღვნიშნო, მეოთხე ადგილზე ვიმყოფებით. გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, გვყავს შესანიშნავი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია**. ძალიან კარგი სამწვრთნელო შტაბია მთლიანად...

ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დავამთავროთ ჩემპიონატი და ევროსაგზურიც მოვიპოვოთ.

**— დეკემბრის მერე რას აპირებთ?**

— დეკემბერში „დინამოსა" და ბოლნისის ორმხრივი შეთანხმების შემდეგ გაჩნია, რა მოხდება. მერე გადაწყდება, სად გავაგრძელებ ასპარეზობას. არის შემოთავაზებები სხვა გუნდებიდანაც, თუმცა ამაზე ლაპარაკისგან ამჯერად თავს შევიკავებ. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

*როგორც ხედავთ, ოთო კობახიძის სახით ქართულ ფეხბურთს პრესპექტიული სპორტსმენი შეემატება.*

*წარმატებებს ვუსურვებთ ოთოს.*

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.



იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-როგორ ხდება განქორწინება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში?**

თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს სამოქალაქო კოდექსის 1124-1125-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 1124. სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების წესი.

თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა, განქორწინება ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ერთობლივი განცხადების საფუძველზე. 2. მეუღლეები ვალდებული არიან განქორწინების შესახებ განცხადებაში დაადასტურონ ურთიერთთანხმობა. 3. განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის დაუსწრებლად, თუ მას (მათ) საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და თუ მისი (მათი) სახელით წარმოდგენილია სათანადოდ დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად. 4. განქორწინება ხდება მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 1110-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა / ეს შემთხვევებია: ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა მსგავსი გარემოებები/. 5. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.)

მუხლი 1125. განქორწინება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც: ა) კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ბ) სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ცნობილია ქმედუუნაროდ; გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

* * *

**- მეუღლეთა შორის თანასაკუთრების გაყოფისას გათვალისწინებულია თუ არა არასრულწლოვანი შვილების ინტერესები და რა ფორმით?**

- დიახ, ასეთს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 1168. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას 1. იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 2. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა - თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. 3. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

* * *

**-როგორია თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა?**

-განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა /მუხლი 1171/.

* * *

**- რა შემთხვევაში ცხადდება ბავშვი მიტოვებულად?**

-სამოქალაქო კოდექსის მუხლი 119 31. ბავშვის მიტოვებულად აღიარება

ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ: ა) ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა; ბ) დადგინდა ნაპოვნი ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ ვერ ხერხდება მშობლის (მშობლების) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან მასთან (მათთან) სხვაგვარად დაკავშირება ან/და ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას; გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მშობლისათვის (მშობლებისათვის) შეთავაზებული პრევენციის ან რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად, მშობელი (მშობლები) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას (ბავშვი მიატოვა (მიატოვეს) ან განაცხადა (განაცხადეს) მისი მიტოვების თაობაზე), თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.)

# ვაკიჯვრის კალმახი

## საქართველოში ყველაზე დიდი საკალმახე მეურნეობა გურიაშია


რეზო ნიკოლაიშვილი და ოთარ ჩხარტიშვილი



საზოგადოებისთვის ცნობილია სახელმწიფოს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც ახლადშექმნილ და მოქმედ საწარმოებს აფინანსებს. ასეთ საწარმოთა შორის აღმოჩნდა ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობა, რომელსაც წელს, როგორც დარგის ლიდერს ეროვნული სერტიფიკატი გადაეცა.

ჩვენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვარში საკალმახე მეურნეობას ვეწვიეთ და საწარმოს იხტიოლოგს, ბატონ **რეზო ნიკოლაიშვილს** გავესაუბრეთ.

**- ბატონო რეზომ უდავოდ ულამაზესია გარემო, სადაც თქვენი საკალმახე მეურნეობა მდებარეობს. როგორც ვიცი, ასეთი სიდიდის თევზის მეურნეობა საქართველოში არ არის. როდის შეიქმნა ეს საკალმახე,ვინ არიან მფლობელები?**

- ჩვენი საკალმახე მეურნეობა მართლაც ყველაზე დიდია საქართველოში და არა მარტო. ვაკიჯვარში საკალმახეს შექმნის იდეა, იქედან დაიბადა,რომ ადგილობრივ მდინარე ნატანებში ბუნებრივად არის კალმახი. შესაბამისად გარემო პირობები იყო შესაფერისი. თავდაპირველად, 1995 წელს შეიქმნა პატარა მეურნეობა, რომელიც საკმაოდ წარმატებულ ბიზნესად გადაიქცა. 2006 წელს ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობით „ფირმა „ნიკორა'' დაინტერესდა და თანამფლობელიც გახდა. მან თავიდან ბიზნესის 60% შეისყიდა, დღეისათვის კი უკვე 80%-ის მფლობელია. საწარმოს დირექტორი გახლავთ ოთარ ჩხარტიშვილი.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი საკალმახე სახელმწიფოს მიერ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში დაფინანსებულ საწარმოთა ნუსხაში მოხვდა. რა რაოდენობის თანხა გამოეყო საკალმახე მეურნეობას და რისთვის გამოიყენეთ?**

- დიახ, სახელმწიფომ იაფი კრედიტის სახით 2014 წელს გამოგვიყო 400 000 დოლარის ექვივალენტი თანხა, რომლის ნაწილი აუზების და შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის გამოვიყენეთ ნაწილი კი სპეციალური ტექნიკის შესაძენად. ტექნიკაში ვგულისხმობ ფრანგულ დანადგარს რომელიც, ახარისხებს თევზს ზომისა და წონის მიხედვით, მრიცხველებს რომელიც ითვლის თევზის რაოდენობას და თევზის შნეკურ ამომყვანს, რომელსაც ამოყავს თევზი ცოცხლად და დაუზიანებლად. ჩამოთვლილი ტექნიკის ერთმანეთთან კავშირით წარმოების სამეურნეო პროცესები მნიშვნელოვნად იოლდება და შედეგებიც არის უფრო ეფექტური. ჩვენი მეურნეობიდან ნიკორას სპეციალური მანქანით ცოცხალი კალმახი თბილისში ჩადის და იქ



ნაწილდება სავაჭრო ობიექტებში. ასევე სპეციალური სადისტრიბუციო მანქანებით ვამარაგებთ აჭარას, სამეგრელოს და იმერეთს.

**- ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ხიზილალასაც აწარმოებთ...**

- ჩვენს მეურნეობაში 60-მდე აუზია, რომლებშიც 100 ტონაზე მეტი კალმახია, ლიფსიტებისა და ე.წ. „სადედე თევზების'' ჩათვლით, ხოლო წლიური რეალიზაცია 250 ტონაა. მაქსიმალური რესურსი კი შეიძლება იყოს 300-400 ტონა.

რაც შეეხება ხიზილალის წარმოებას, ჩვენ ვაწარმოებთ ხარისხიან წითელ ხიზილალას, რომლის გაყიდვების რაოდენობამ გასულ წელს ასევე 3 ტონამდე შეადგინა. ხიზილალის მიღებამდე სადედე თევზს ვკვებავთ სპეციალური საკვებით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული ხიზილალის უმაღლეს ხარისხს.

**- სად ხდება ვაკიჯვრის კალმახის რეალიზება? სად აქვს საწარმოს გასაღების ბაზარი?**

- ჩვენი კალმახი ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. „ნიკორას“ სპეციალური მანქანებით თბილისში ჩადის ცოცხალი თევზი და ნაწილდება ნიკორას ქსელის მარკეტებში და ასევე სხვა სავაჭრო ობიექტებში. ადგილზე 1 კგ კალმახი 10 ლარი ღირს.

ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივი ბაზრით შემოვიფარგლებით, თუმცა ამ საწარმოს აქვს შესაძლებლობა ორჯერ მეტი თევზი აწარმოოს.

ვემზადებით კალმახის ექსპორტზე გასატანად. ამისთვის აუცილებელია საწარმოს წარმადობის გაზრდა, რომელიც ითხოვს დამატებით ინვესტიციას რათა შევიძინოთ შესაბამისი ოდენობის ნედლეული (თევზის საკვები), რომელიც იმპორტირებულია და ძალიან ძვირი ჯდება.

**- საკვები. რომელი ქვეყნიდან შემოგაქვთ?**

- რასაც კალმახის გამოსაკვებად ვიყენებთ, უმაღლესი ხარისხის, ვიტამინებით გაჯერებული, სპეციალური საკვებია, რომელიც იტალიიდან ჩამოდის, ძალიან ძვირი ღირს და შესაბამისად ჩვენი თევზის თვითღირებულებაც მაღალია.

ძალიან კარგი იქნებოდა აქვე რომ შეგვეძლოს თევზის საკვების ადგილზე დამზადება. ამით ნედლეულზე მნიშვნელოვანი თანხები დაიზოგება და შესაძლებელი იქნება ამ თანხის სხვა კუთხით გამოყენება.

**- რითი გამოირჩევა თქვენი კალმახი სხვა მეურნეობებში წარმოებული კალმახისაგან?**

-პირველ რიგში ხარისხით და გემოვნური თვისებებით, რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები, ესენია ეკოლოგიურად სუფთა გარემო, წყლის სისუფთავე, ხარისხი და ნედლეული. ასევე დიდი მნიშვნელობას ვანიჭებთ და მკაცრად ვიცავთ სანიტარულ ნორმებს, რასაც აწესებს სურსათის ეროვნული სააგენტო. ამიტომაც არ ავადდება ჩვენი თევზი.





**- ბატონო რეზო, დავათვალიერე მეურნეობის ტერიტორია და მინდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული ვარ ნანახით. ახლაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. რამდენი ადამიანია დასაქმებული და სამომავლოდ ხომ არ იგეგმება, რომ ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობა მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდეს?**

- გეთანხმებით, აქ ყველაფერი ძალიან ლამაზია, ჩვენი დირექტორი პროფესიით მხატვარ-დიზაინერია და აქაურობასაც ატყვია შემოქმედის ხელი, ასევე სოფელი ვაკიჯვარი გამორჩეულია მისი ბუნებრივი სილამაზით და ამ ორი ფაქტორის სინთეზი გვაძლევს იმ მშვენიერებას რასაც ხედავთ. ჩვენს მეურნეობაში 40 ადამიანია დასაქმებული, რიმელთა დაუღალავი შრომის შედეგია საკალმახის დღევანდელი სახე.

თუკი წარმატებით განვახორციელეთ ყველა იდეა, და მოვაწყვეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობა ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ობიექტი გახდება, თუმცა ეს მხოლოდ მომავლის პერსპექტივაა.

**ელენე გურგენაძე**
557715568



ISSN 2233-3983
9 772233 398001